# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

19 ნოემბერი **პარასკევი** 2010
№273 (13261) ფასი 60 თეთრი




## ჩემპიონატი დამშვიდდა

ძიუდო. საქართველოს პირველობა

გვ. 10

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო-LIVE

## მსოფლიო რაგბის მამებმა დაგვლოცეს: თქვენ გაიზარდეთ!





## IRB-ის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში

გვ. 13

# ქეცბაიას გუნდმა მთავარი მოიგო: ქომაგის გული



გამარჯვების ექო გვ. 2-3

სლოვენია-საქართველოს შემდეგ

რას წერენ ჩვენზე

# სლოვენიამ თავში ხელი შემოირტყა: ბავშვებთან წავაგეთ



კოპერში სლოვენიის ძლევით ჩვენმა ნაკრებმა წაუგებელი სერია 8 მატჩამდე გაზარდა. ამ თამაშს სლოვენიური ვებგვერდები აქტიურად გამოეხმაურნენ.

*„კეკის ნაცად შემადგენლობას უცნობი კონტინგენტით მოასპარეზე საქართველოს ნაკრებმა შეცდომები არ აპატია და ცივი შხაპი გადაასხა. ჩვენი გუნდი შესვენების შემდეგ კი დაწინაურდა, მაგრამ მხოლოდ პირველ ტაიმში ითამაშა ხეირიანად. მეორე ნახევარში სლოვენიელთა მოქმედებაში ბევრი წუნი იყო. ამას გაუტანელი პენალტიც დაემატა, იღბალიც ქართველებისკენ მოტრიალდა და სტუმართა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მატჩი მოგებამდე მიიყვანეს. არადა, მათ გუნდში მხოლოდ სამი-ოთხი ისეთი ფეხბურთელი იყო, ვინც ევრო 2012-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშა“*, - ვკითხულობთ dnevnik.si-ში.

*„სლოვენია წლის მიწურულამდე წარმატებებით მივიდა, მაგრამ ბოლო გამოცდა ვერ ჩააბარა საქართველოს ნაკრებთან, რომელშიც ბევრი დებიუტანტი იყო. ყველაფერი კი „იმ“ წუთმა გადაწყვიტა, რომელიც კეკის გუნდისთვის შავი აღმოჩნდა, სტუმრებისთვის კი ჯადოსნური“*, - წერს ვებგვერდი Primorska.info.

*„საქართველომ წელიწადი მოგებით დაასრულა. მატიაჟ კეკსაც ეს სურდა, მაგრამ მისი გუნდი შეცდომების გამო დაისაჯა. სტუმრებმა დებიუტანტებით მოგვიგეს. ამ წაგებამ ნაკრების მწვრთნელი და ფეხბურთელები უნდა დააფიქროს. ფიფას რეიტინგში ჩვენზე ბევრით უკან მყოფი გუნდი შინ არ უნდა გვიგებდეს“*, - დაიჩივლა zurnal24.si-მ.

ვებგვერდმა siol.net-მა კი საინტერესო შედარება მოიყვანა:

*„ეს ორი განსხვავებული ნოემბერი იყო. შარშან რუსეთი პლეი ოფში დავამარცხეთ და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოვიპოვეთ. ეს ღირსსახსოვარი დღე 18 ნოემბერი იყო. ამჯერად კი 17 ნოემბერს საქართველოსთან დავმარცხდით, გუნდთან რომელსაც ხმაურიანი მოგებებით არავინ იცნობს“.*

სლოვენიურ ვებგვერდებზე მწვრთნელებსა და მიმომხილველებს **მატიაჟ კეკის** გუნდის მარცხის სხვადასხვა ვერსია აქვთ. ზოგის აზრით ნაკრების კულისებში რაღაც ხდება. მეორენი ამ ვერსიას გადაჭარბებულად მიიჩნევენ. არადა როგორი ამბავია, ჩვენს ნაკრებთან მატჩის დაწყებამდე 2 საათით ადრე სლოვენიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი **ივან შიმიჩი** პოსტიდან გადადგა. ამ ფაქტს დიდად აღუშფოთებია ეროვნული გუნდის თავკაცი, რომელმაც აღნიშნა: „თუ ეს გადაწყვეტილება გარდაუვალი იყო, მაშინ გონივრული იქნებოდა, პრეზიდენტს ეს ნაბიჯი მატჩამდე არ გადაედგა. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი ჩვენთვის უმნიშვნელო არ ყოფილა“.

მატიაჟ კეკს ჩვენებთან წაგება ასოციაციის პრეზიდენტის გადადგომისთვის არ დაუბრალებია:

*„იმიტომ დავმარცხდით, რომ ჩემმა ფეხბურთელებმა კონცენტრაცია ვერ შეინარჩუნეს. წუთიერი მოდუნება ორი გოლის ფასად დაგვიჯდა. ეს წლის ბოლო მატჩი იყო, თანაც ამხანაგური, მაგრამ წაგების გასამართლებელ არგუმენტად ეს არ გამოდგება. ამ მარცხმა უნდა დაგვაფიქროს. საქართველოს ნაკრებმა კარგად ითამაშა, ბოლომდე იბრძოლა და სასურველი შედეგიც შეინარჩუნა“*, - წერს ვებგვერდი 24ur.si. აქვეა **თემურ ქეცბაიას** კომენტარიც მატჩისშემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე:

*„ჩემმა გუნდმა ბოლომდე იბრძოლა და ამან შედეგი მოგვიტანა. ეს მოგება ძალიან გვჭირდებოდა. სლოვენიამ ჩვენზე კარგად ითამაშა. ხორვატიასთან მატჩამდე ასეთ მეტოქესთან გაჯიბრება ნამდვილად წაგვადგება. ახლა მარტის მატჩებისთვის უნდა ვემზადოთ“.*

ვეტერანთა აზრით

# სახეზე ვიტყობთ კმაყოფილებას

**ჩვენმა ნაკრებმა ბოლო მუნდიალის მონაწილე სლოვენია ექსპერიმენტული შემადგენლობით დაამარცხა. ეს უმნიშვნელო მატჩი და მოგება არ იყო. ამიტომ შესაფასებლად ვეტერან ფეხბურთელთა ორი თაობის წარმომადგენლებს, რამაზ შენგელიასა და არჩილ არველაძეს დავუკავშირდით.**

## რამაზ შენგელია: მომავალი გამოჩნდა. ოღონდ...



- ოქტომბერში ლატვიასთან თამაშის შემდეგ თემურ ქეცბაიამ თქვა, რომ სლოვენიასთან გადახალისებული შემადგენლობით ათამაშებდა გუნდს. ამხანაგურ მატჩებს ახალწვეულთა გამოსაცდელად იყენებენ და თემურის გადაწყვეტილებაც სწორი იყო. ყველას გვაინტერესებდა იმ ფეხბურთელების საქმეში ნახვა, რომელთაც ეროვნულ გუნდში თამაშის უნარი და ამბიცია აქვთ. ყველამ ვიცით, რომ ეროვნულის სტაჟიანი ნევრები, კალაძე, ასათიანი, კობიაშვილი, ხიზანიშვილი, იაშვილი ხვალ-ზეგ დაასრულებენ კარიერას. ხშირად ისმოდა კითხვა, ისინი რომ წავლენ, ვინ შეცვლის მათ, რა გვეშველებაო. სლოვენიასთან მატჩმა ამ კითხვას პასუხი გასცა. გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც თავის დროზე მათ შეცვლიან.

**- თაობათა ცვლის პროცესი გარდაუვალია. ზოგი მწვრთნელი ამას ეტაპობრივად აკეთებს, ზოგიც - დაჩქარებული ტემპით. ჩვენთვის რა იქნება შედეგიანი?**

- გუნდი ცოცხალი ორგანიზმია და, ჩემი აზრით, პროცესების ხელოვნური დაჩქარება სასარგებლო არ იქნება. რადგან ქეცბაიამ ახალი ფეხბურთელები მიიწვია და გამოსცადა ნაკრებში, მას შემდგომი ნაბიჯიც მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი ექნება.

ნაკრების მწვრთნელი ჩვენზე უკეთ ხედავს, რა დროს რა არის საჭირო და რა დოზით. თემური მაღალი დონის მწვრთნელია და ეს მას არ შეეშლება. ფაქტი ერთია, სლოვენიასთან მატჩს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გამოჩნდნენ ფეხბურთელები, რომლებიც ეროვნულში ითამაშებენ. შეგნებულად არ მინდა მათი გვარების .ჩამოთვლა. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, შესაძლოა, გამართლებულიც არ იყოს. საკუთარ თავზე მათ კიდევ ბევრი უნდა იმუშაონ. ამ ბიჭებს დახვეწა და კლასის ამაღლება სჭირდებათ. ვირწმუნოთ, რომ გვაქვს მომავალი... ბოლო-ბოლო, ნუკრი რევიშვილის გარდა კიდევ ერთი მეკარე გამოჩნდა.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ამ ბიჭებმა შეიგრძნეს მოგების გემო, თანაც ეროვნული ნაკრების მაისურით. ეს მათ ფსიქოლოგიურადაც სჭირდებოდათ. უკვე რვა თამაშია, არ წაგვიგია. თუ არ ვცდები, შარშან ჩვენმა ნაკრებმა მოუგებლად ითამაშა. ამ მარცხთა შემდეგ გუნდს წაგებულის ფსიქოლოგია ჰქონდა ჩამოყალიბებული, რაც უკვე სასიკეთოდ შეიცვალა. ხალხსაც იმედი გაუჩნდა... ასე რომ, ეს ძალიან საჭირო მოგება იყო.

## არჩილ არველაძე: პენალტი არ იყო!



- კოპერში მოგებამ ძალიან გამახარა. თემურსა და ფეხბურთელებს ამ გამარჯვებას ვულოცავ. მართალია, მატჩი ამხანაგური იყო, მაგრამ მოგება, თუნდაც შინაგანი რწმენის განმტკიცებისთვის, აუცილებელი იყო.

**- ჩვენი გუნდის თამაშში რას გამოარჩევდით?**

- ბურთს ვიჭერდით და ცენტრამდე კარგად ამოგვქონდა. არ იყო გაუაზრებელი გადაცემები და ბურთის უმისამართოდ მოგერიება. აშკარად ჩანდა, რომ ფეხბურთელები უბურთოდ მოძრაობდნენ, პასს ითხოვდნენ და იღებდნენ კიდეც. ამ შემადგენლობამ ერთად პირველად ითამაშა, მაგრამ გუნდი ფსიქოლოგიურად კარგად იყო მომზადებული, ფეხბურთელებს შიში არ ჰქონდათ. თვალში საცემი იყო მეკარე გიორგი ლორიას კარგი თამაში. ამით მასსა და რევიშვილს შორის კონკურენცია გაიზრდება, რაც გუნდისთვის და ორივე მათგანისთვის სასარგებლოა. ლორია საიმედოდ იდგა კარში და ეს გუნდსაც დაეტყო, ფეხბურთელები ნნეხის გარეშე თამაშობდნენ. სლოვენია გამორჩეულია „სტანდარტულების“ კარგი შემსრულებლებით, მაგრამ ჩვენები ამაშიც გაუმკლავდნენ მეტოქეს. ერთსაც დავამატებ, არბიტრმა ჩვენს კარში არასწორად დანიშნა პენალტი.

**- ფეხბურთელების გარჯას როგორ შეაფასებდით?**

- ანანიძე, ჩვეულებისამებრ, მოსვენებას არ აძლევდა ბევრად უფროს მეტოქეებს. ხუბუტიამ თავით მოიგო ორთაბრძოლები და დებიუტის კვალობაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მას კიდევ შეუძლია მოუმატოს.შეცვლაზე შესული ფეხბურთელისთვის იოლი არ არის თამაშში სათანადოდ ჩართვა. მით უმეტეს, სტუმრად, თანაც ასეთ გუნდთან. თუმცა ვაწაძე, კაკუბავა და გურული კარგად შევიდნენ და თამაშის გარდატეხაში თავიანთი წვლილი შეიტანეს.

არ დაგიმალავთ და, ხოჯავას, კაშიასა და მოდებაძეს მეტი შეუძლიათ... გამიხარდა, დიდი პაუზის შემდეგ კანკავა ნაკრებს რომ დაუბრუნდა.

ამ კონტინგენტიდან ოთხ-ხუთ ფეხბურთელს კარგი შანსი აქვს, ნაკრებში ადგილი დაიმკვიდროს. სხვებიც არ არიან უშანსოდ, მაგრამ საკუთარ თავზე ყველამ უნდა იმუშაოს. დაცვაში და შუა ხაზში გუნდი კარგად გამოიყურება, მაგრამ წინ, ცენტრფორვარდის პოზიციაზე გვიჭირს. ამჟამად ნაკრებში სხვებზე უკეთესი გამტანი სირაძეა. სწრაფი ფორვარდი გვინდა. მჭედლიძე თუ გამოჯანმრთელდება და სტაბილურად ითამაშებს, მას შეუძლია იმედის გამართლება.

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**




დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სლოვენია-საქართველოს შემდეგ



გიორგი ლორიას ორგზის გამოცნობილი პენალტი

# ქეცბაიამ მთავარი მოიგო: ქომაგის გული

## ლორიამ თამაშამდე იცოდა, პენალტს რომ დაურტყამდნენ

**თემურ ქეცბაიამ** დაუძლურებული ნაკრები ფეხზე დააყენა და გამარჯვების გემო გაგვახსენა. წელი და ზედიზედ რვა შეხვედრა წაუგებლად – ქეცბაიამ საქართველოს ნაკრების ისტორიაში საუკეთესო შედეგს მიაღწია და გულშემატკივრის გული მოიგო. სლოვენიაში გამარჯვებულ ნაკრებს თბილისის აეროპორტში მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი დახვდა. ფეხბურთელებს ჩვენც მივულოცეთ და, ცხადია, გავესაუბრეთ.

### მათე ვაწაძე

### ვოლგაზე მერე ვილაპარაკოთ

თბილისის "დინამოს" თავდამსხმელ **მათე ვაწაძეს** გოლით თავი არ გამოუჩენია, მაგრამ გადამწყვეტი ბურთი მისი მშვენიერი გადაცემით **ჯანო ანანიძემ** გაიტანა.

**- მასპინძელთა გოლამდე მატჩის შემოტრიალების შანსი არ ჩანდა. თუმცა უცებ ყველაფერი შეიცვალა – როგორ, რანაირად?**

- გეთანხმებით, თამაში სლოვენიელებს მიჰყავდათ, მაგრამ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. ფეხბურთში კი ესაა მთავარი. ბიჭებს მადლობა ეკუთვნით, რომ 0:1-ზე საკუთარი ძალების რწმენა შეინარჩუნეს. გამოჩნდა, რომ ჩვენ არ გვყავს ცუდი ნაკრები და ცუდი ფეხბურთელები. ფეხბურთში იგებს ის, ვინც უფრო ჭკვიანურად თამაშობს. აზრი არ აქვს, ტერიტორიულ უპირატესობას და ბურთს უფრო ხშირად ვინ ფლობს, მთავარია, მეტოქეზე მეტი გაიტანო და ჩვენ ეს მოვახერხეთ.

**- ეს ყველაფერი კარგი და, "ვოლგაში" შენი გადასვლის შესახებაც გვითხარი.**

- ამ დღეებში შეკრებაზე ვიყავი ჩაკეტილი და მალე გავარკვევ, "ვოლგას" თაობაზე რა ხდება.

### გიორგი ლორია

### კაკუბავას თამაშამდე ვუთხარი, პენალტს დაარტყამენ და ავილებ-მეთქი

საქართველოს ნაკრებს მეკარე ჰყოლია – მიმდინარე შესარჩევ ციკლში ეს ჯერ **ნუკრი რევიშვილზე** ვთქვით, სლოვენიაში კი მეორე მეკარეც აღმოვაჩინეთ – თბილისის "დინამოს" კარის დარაჯი **გიორგი ლორია**. საერთოდ, სუსტ ნაკრებში კარგი მეკარეც სუსტად ჩანს და სწორედ ამან შეიწირა **გიორგი ლომაია**, რომელიც ჩამოსაწერი არ იყო. თუმცა ეს სხვა თემაა.

გუშინ აეროპორტში შეკრებილი ქართული სპორტის ქომაგები ფეხბურთელებს ოვაციებით ხვდებოდნენ, მაგრამ ლაშა-გიორგის (ლორიას სწორედ ასე ჰქვია) განსაკუთრებული სიყვარულით შეეგებნენ. 23 წლის მეკარემ ეს კოპერში მშვენიერი თამაშით დაიმსახურა, პენალტი და რამდენიმე სახიფათო დარტყმა მოიგერია და სლოვენიასთან გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

**- პენალტის მოგერიებით მატჩის გმირი გახდი...**

- საკმაოდ რთული თამაში იყო. მატჩი საქართველოში გადაიცემოდა და თავადაც დარწმუნდებოდით, რომ სლოვენია ძლიერი ნაკრებია. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე ზედიზედ რამდენჯერმე გასვლა ამაზე მეტყველებს.

**- გაშვებულ ბურთზე რას გვეტყვი?**

- აუღებელთა რიცხვს ნამდვილად არ განეკუთვნებოდა, ვფიქრობ, მოგერიება შეიძლებოდა. უბრალოდ, ცესარმა ძალიან ახლოდან დამირტყა და ვერ ავიღე.

**- გაშვებულ გოლამდე საქართველოს ნაკრები დამაჯერებლად ვერ გამოიყურებოდა. თამაშის შემოტრიალება როგორ მოახერხეთ?**

- სწორედ ამ გოლის დამსახურებაა, რომ გამოვფხიზლდით, თამაშში გარდატეხა შევიტანეთ და მოვიგეთ. იმანაც იმოქმედა, ქეცბაიამ ახალწვეულები რომ დააყენა, თავის გამოჩენა ყველას გვსურდა.

**- ოფიციალური მატჩის ძირითადში მოხვედრის იმედი გაგიჩნდებოდა.**

- ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. თუმცა, ცხადია, ძირითადში მოხვედრა მინდა.

**- კარგად გვახსოვს შენი ძველი სანაკრებო შეხვედრები. იმ დროიდან კოპერამდე ბევრი რამ შეცვლილა და კარში სხვა ლორია ვიხილეთ.**

- ალბათ, გამოცდილებამ და თავდაჯერებულობამ თავისი მოიტანა. ადრინდელისგან განსხვავებით, აღარ მინერვიულია. მოედანზე იმ განწყობით გავედი, რომ კარგად უნდა მეთამაშა და ღმერთმაც გადმომხედა.

**- დღეს გმირი ხარ, არადა, იყო დრო, ნაკრების წაგებებს მხოლოდ შენ გაბრალებდნენ.**

- ამ ყველაფერს ძალიან განვიცდიდი, რადგან ნაკრებში უთამაშებელი დამაყენეს, მაშინ "დინამოს" მეორე მეკარედ ვითვლებოდი და სანაკრებო დონეზე კარგად როგორ უნდა მეთამაშა?!

**- იმ დროს საკუთარი ძალების რწმენა ხომ არ დაკარგე?**

- არანაირი იმედგაცრუება, კარგად ვიცოდი, რა იყო ჩემი ცუდი თამაშის მიზეზი. უბრალოდ, იყო რაღაც ეტაპი, რომელიც უნდა გადამელახა.

**- ფიქრობ, კოპერში ეს ეტაპი გადალახე?**

- შეიძლება ასეც ითქვას. სლოვენიასთან შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგა. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი მხოლოდ ამ თამაშის დამსახურებაა. აქამდე ნაბიჯ-ნაბიჯ მოვდიოდი. ეროვნულ ჩემპიონატში, ახალგაზრდულ ნაკრებში და ევროთასებზე საკმაო გამოცდილება დამიგროვდა, რაც მეკარისთვის ბევრს ნიშნავს.

**- მატჩის შემდეგ თემურ ქეცბაიასთან თუ ისაუბრე?**

- ცხადია, ძალიან გაუხარდა, წელი წაუგებლად რომ დავასრულეთ და ყველას მოგვილოცა. მეტი არაფერი, პირადად არ გვისაუბრია.

**- 2010 წლამდე ნაკრები ისე თამაშობდა, მისი წევრობა ვერაფერი სასახელო საქმე იყო. ახლა ვითარება შეიცვლებოდა.**

- რა თქმა უნდა, ამ ნაკრებში მოხვედრით ბედნიერი ვარ. სლოვენიაში მწვრთნელები, ფეხბურთელები, ექიმები თუ ჩვენი დელეგაციის სხვა წევრები მეცხრე ცაზე ვიყავით, საქართველოს ასეთი სიხარული რომ მივანიჭეთ.

**- "დინამოს" დღევანდელ ხელმძღვანელობას შენ მიმართ გამოჩენილი ნდობა დიდ პლუსად ჩაეწერება - ნაკრებში წარუმატებლობის შემდეგაც გათამაშებდნენ და წინსვლაში დაგეხმარნენ.**

- ტყავაძე მართლაც მენდობოდა და, რაც მთავარია, ამას მწვრთნელ კახა კაჭარავასგანაც ვგრძნობდი. ალბათ, მეც იმედებს ვუმართლებდი. მწვრთნელი მეკარეს აუცილებლად უნდა გენდოს და გათამაშოს, სხვაგვარად ვერ გაიზრდები.

**- ყველას აინტერესებს ნაკრების მეკარის მომავალი – თბილისის „დინამოში" რჩები თუ სხვა გუნდში გადადიხარ?**

- მე ჯერ „დინამოსთან" მაქვს კონტრაქტი.

**- როდის გიმთავრდება?**

- ეს საიდუმლოა.

**- კოპერში მოგერიებული პენალტისას კუთხე გამოიცანი თუ წინასწარ გადახტი?**

- უბრალოდ, ძალიან გამიმართლა და მოვიგერიე.

**- ეს მხოლოდ გამართლება იყო?**

- დიახ, მხოლოდ გამართლება.

**- არადა, თამაშამდე კოპერში გითქვამს, პენალტს აუცილებლად მოვიგერიებო.**

- ესეც იყო... მე და ლევან კაკუბავა ერთ ოთახში დაგვაბინავეს. თამაშამდე ვუთხარი, რომ სლოვენიის სასარგებლოდ პენალტი დაინიშნება, მარცხნივ დაარტყამენ და აუცილებლად ავილებ-მეთქი.

**- ეს რა, სიზმარში ნახე?**

- სიზმარში არა. უბრალოდ, პენალტი ვარჯიშებზე ავილე თბილისშიც და სლოვენიაშიც. რატომღაც სულ პენალტზე ვფიქრობდი, წინათგრძნობა მქონდა.

**მერაბ მამულაშვილი**

● რეპლიკა

# რუსები და ტრუსები

**საქართველოს ნაკრების გამარჯვება რუსულმა მედიამ ორიგინალურად გადაფარა. გაზეთმა "ვზგლიადმა", როგორც წერს, სტატია ქართულ წყაროზე დაყრდნობით გამოაცხო:**

**საქართველოს ნაკრებს ტრუსები არ ეყო**

*"საქართველოს ნაკრებს, რომელმაც სლოვენიაში 2:1 მოიგო, კურიოზი შეემთხვა. ქართველებს ფორმების პრობლემა შეექმნათ. საქმე ისაა, რომ ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრებისთვის ნახევარი მილიონი ევროს ღირებულების ფორმები შეუკვეთა. თუმცა თბილისის ნაცვლად პროდუქცია შეცდომით ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში გააგზავნეს.*

*შედეგად, საქართველოს ნაკრები სლოვენიაში ფორმის ერთი კომპლექტით გაემგზავრა, ამიტომ ზოგიერთ მოთამაშეს მაისურის შესაფერისი ზომის ტრუსი არ შეხვდებოდა და შეცვლაზე შესულ ფეხბურთელებს რეზერვში დარჩენილთა ტრუსების მორგება მოუხდებოდათ. საქმე ისაა, რომ საქართველოს ნაკრების წევრები შესვენებაზე ფორმას იცვლიან და მეორე კომპლექტი ამიტომ სჭირდებოდათ".*

როგორც დავადგინეთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ნახევარი მილიონი ევროს ღირებულების სათამაშო ფორმები და სხვადასხვა ატრიბუტიკა ფირმა „ჯაკოს" მართლაც შეუკვეთა. შეკვეთილი ფორმებით სავსე კონტეინერი კი მართლაც ჩეხეთში გაიგზავნა. ისე გამოვიდა, სლოვენიაში ნაკრების გაფრენის წინა დღესაც გაურკვეველი იყო, ჩამოასწრებდა თუ არა ტვირთი თბილისში. თუ ვერა, ნაკრები ერთადერთი კომპლექტის იმედად რჩებოდა და ყველა მაისურისთვის შესაბამისი ტრუსებიც არ იყო.

ეს ყველაფერი სიმართლეა, მაგრამ ტყუილი ისაა, რომ მატჩის მსვლელობისას მსგავსი რამ არ მომხდარა - პრობლემა თამაშამდე მოგვარდა. არადა, ამბავი ისეა მიწოდებული, იფიქრებ, ეს ყველაფერი მატჩის დროს ხდებოდა. ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე **ლაშა დვალიშვილი** ფაქტის რუსულ ვერსიას კატეგორიულად უარყოფს და ამბობს, რომ ფორმის სრული კომპლექტი ყველას ჰქონდა.

პოლიტიკასა და პოლიტტექნოლოგიებში მთავარი მანევრებია: "ტრუსების სკანდალით", რუსულენოვან ინტერნეტსამყაროს საქართველოს გამარჯვების გაფერმკრთალება სურს – მარტივი ამბავია.

**მერაბ მამულაშვილი**



# მალადეც, ჟანო!

როცა ჩვენი ნაკრები აგებს, მაშინ რუსული გამოცემების კითხვა გულისმომკვლელად ძნელი საქმეა: სარკაზმის, დაცინვისა და დამცირების ნიაღვარი მოედინება. სლოვენიაში გამარჯვების შემდეგ კი „წელგამართული" შევედით „რუნეტის" (ანუ რუსული ინტერნეტსივრცის) უკიდეგანო სამყაროში და... „გაზეტას რუს" სათაური მოგვხვდა თვალში: *„მოსკოვის „სპარტაკის" ახალგაზრდა ფეხბურთელმა რუსეთისთვის შური იძია". როგორია?!*

ლაპარაკია სლოვენიელთა კარში გამარჯვების გოლის ავტორ **ჯანო ანანიძეზე**. ტექსტში განსაკუთრებული არაფერი წერია, აი, სათაური კი დიდებულია. თურმე, ახალგაზრდა, უწვერულ ჯანო ანანიძეს ღამეები არ ეძინა და სულ იმას ფიქრობდა, როგორ დაემწუხრებინა სლოვენიელები, რომელთაც გაბედეს და რუსეთის ეროვნული გუნდი მუნდიალის მიღმა დატოვეს. იხარე ჭერო, მტერი ზუსტად ერთი წლის თავზე (მას შემდეგ, რაც **დედიჩმა** რუსთათვის საბედისწერო გოლი გაიტანა, წელიწადი გასულა) დაეცა! მალადეც, ჟანო!!!

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ქართული ფეხბურთი

ქართველთა წვლილი

# ოსურ-რუსულ ლეგენდებში ქართველებიც მოხვდნენ



მურთაზ შელია (მარცხნივ) და სოსო გრიშიკაშვილი

23 ნოემბერს ვლადიკავკაზში 90-იანი წლების "ალანიასა" და მოსკოვის "სპარტაკის" ვეტერანთა შეხვედრა ხმაურიანი სახელწოდებით გაიმართება - ლეგენდების მატჩი. ვლადიკავკაზელებმა ის ფეხბურთელები მიიწვიეს, რომლებმაც კლუბს 1995 წლის ისტორიული გამარჯვება, რუსეთის ჩემპიონის ტიტული მოუტანეს. მიწვეულთა შორის თბილისის "დინამოს" ყოფილი ფეხბურთელებიც აღმოჩნდნენ, ვინც ვლადიკავკაზელთა მაშინდელ წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს: **ზაურ ხაპოვი, ომარ თეთრაძე, მურთაზ შელია, მიხეილ ყაველაშვილი, ზაზა რევიშვილი** და **სოსო გრიშიკაშვილი.**

**მიხეილ ყაველაშვილი** 1995 წელს 12 გოლით "ალანიასა" და რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, დაცვაში საიმედოდ თამაშობდა **მურთაზ შელია, ზაზა რევიშვილი** კი "ალანიას" მაშინდელი მთავარი მწვრთნელის, **ვალერი გაზაევის** ერთ-ერთი ფავორიტი გახლდათ.

*"ქართველების წვლილს "ალანიას" გამარჯვებაში დღემდე აფასებენ და მეგობრული ურთიერთობები არ გაგვიწყვეტია. ვლადიკავკაზში მე და გრიშიკაშვილი 22 ნოემბერს მივემგზავრებით, იმედია ყაველაშვილი და რევიშვილიც ჩამოვლენ, – მოსაწვევი ყველას გამოგვიგზავნეს",* - გვითხრა მურთაზ შელიამ.

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტზალი. საქართველოს ჩემპიონატი. სუპერლიგა. III ტური

# იბერია ალმატიში გაემგზავრა

**17 ნოემბერი**

**თსუ-ალგო 1:3**

გოლები: ასათიანი – სებისკვერაძე (2), ლუკავა

გაფრთხილება: ბოკერია, სოზაშვილი – სებისკვერაძე (2)

გაძევება: სებისკვერაძე

**იბერია-ჯუნგლები 14:3**

გოლები: ვასორა (4), რონი (3), ბრუნო მელო (2), ალთუნაშვილი (2), ბეტინიო, ძაბირაძე, კუბლაშვილი – გიორგაძე (2), სიგუნავა

გაფრთხილება: კვალიაშვილი, გოგოხია (ჯუნგლები)

**გაძევება:** ფომასა (იბერია)

**აჭარა-თელავი** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| იბერია | 3 | 3 | 0 | 0 | 40:5 | 9 |
| ალგო | 3 | 3 | 0 | 0 | 19:6 | 9 |
| თსუ | 3 | 1 | 0 | 2 | 6:11 | 3 |
| ჯუნგლები | 3 | 1 | 0 | 2 | 12:21 | 3 |
| თელავი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:13 | 0 |
| აჭარა | 2 | 0 | 0 | 2 | 3:27 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| რონი (იბერია) | 11 |
| ვასორა (იბერია) | 6 |
| სებისკვერაძე (ალგო) | 6 |

როგორც მოსალოდნელი იყო, ტურის გამორჩეული თამაში თბილისურ გუნდებს შორის გაიმართა, რომელთა დაპირისპირებასაც თავისი ისტორია აქვს. წინა სეზონში "ალგომ" თსუ ბოლო წამებზე 10-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით დაამარცხა და ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა. სამაგიეროდ, სტუდენტებმა მეტოქე თასის ნახევარფინალიდან გამოთიშეს.

ახალ სეზონს "ალგო" გაძლიერებული შეხვდა, თსუ კი შედარებით დასუსტდა, მაგრამ დედაქალაქურ დერბიში მაინც უშელავათო ბრძოლა გაიმართა. "ალგოს" პირველ ტაიმში ყოფილი თსუელი **არჩილ სებისკვერაძეც** გაუძევეს, მაგრამ ალგოელებმა მაინც გაიმარჯვეს და ჩემპიონ "იბერიას" კვლავ კვალში უდგანან.

"იბერიას" ქუთაისელებთან თამაში უცნაურად დაიწყო – სტუმრებმა მეორე წუთზე გახსნეს ანგარიში, მეოთხეზე კი "იბერიას" ბრაზილიელი ლეგიონერი **ფომასა** გაუძევეს. თუმცა შემდეგ ყველაფერი ლოგიკურ კალაპოტში მოექცა და "იბერიამ" დიდი ანგარიშით მოიგო.

გუშინ კი "იბერია" ალმატიში უეფას ფუტსალის თასის ელიტრაუნდში მონაწილეობისთვის გაემგზავრა. შეგახსენებთ, რომ "იბერია" მინი-ტურნირის მასპინძელ "კაირატთან" ერთად ოთხთა ფინალში გასვლის მთავარ პრეტენდენტად ითვლება, სხვა ორი გუნდი კი სლოვაკეთის და პოლონეთის ჩემპიონები არიან. ჯგუფიდან ერთი გუნდი გადის, "იბერია" კი პირველ მატჩს 20 ნოემბერს სლოვაკურ "სლოვ-მატიკთან" გამართავს. "იბერიას" მატჩების ტექსტური რეპორტაჟები კლუბის ვებგვერდზე (iberia2003.ge) შეგიძლიათ იხილოთ.

**მერაბ მამულაშვილი**



ინტერვიუ ბესიკ შეროზიასთან



ბესიკ შეროზია ავტორის ფოტო

# გადავრჩით?

## იმის ნახევარი პორტისგან და...

**უმაღლეს ლიგაში ხუთი წლის მერე დაბრუნებულმა "კოლხეთმა" სეზონი რიხიანად დაიწყო და ეროვნული ჩემპიონატის ლიდერებს შორისაც კი მოექცა, მაგრამ მალე ფინანსური კრიზისი დაეწყო, რაც შედეგებზეც აისახა და ამჟამად ფოთელები გათამაშების ცხრილში მერვე ადგილზე არიან. ამას საქართველოს თასიდან გავარდნა დაემატა, რამაც გუნდის წევრებს გუნება კიდევ უფრო გაუფუჭა. თუმცა "კოლხეთის" მთავარმა მწვრთნელმა ბესიკ შეროზიამ გუნდის ქომაგთათვის დამაიმედებელი ერთი ამბავი მაინც გვამცნო...**

- უკვე გადაწყვეტილია, რომ ამ დღეებში ფეხბურთელებს ბოლო ერთი თვის ანაზღაურებას გავუსტუმრებთ. მეტი დავალიანება არც გვაქვს და მოხარული ვარ, რომ ეს ლოკალური პრობლემა გადაიჭრა. საამისო თანხას ფოთის პორტი გადმოგვირიცხავს და ბუნებრივია, მისი ხელმძღვანელობის მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. დიდი იმედი გვაქვს, რომ ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

**- უსახსრობის გამო ოქტომბერში საწვრთნელი პროცესი ჩაგეშალათ...**

- დიახ, მაშინდელი სანაკრებო პაუზა უმაღლესი ლიგის სხვა გუნდებმა ნაყოფიერად გამოიყენეს, ჩვენ კი რამდენიმე დღე გაგვიცდა და სწორედ ამას მოჰყვა უკუსვლა. თავად განსაჯეთ, "სამტრედიასთან" სათამაშოდ რომ გავედით, ვარჯიში მხოლოდ ორი დღის განახლებული გვქონდა. ამის მიუხედავად, ამ შეხვედრაში ფრეს მივაღწიეთ, მაგრამ შემდეგ ჩავარდნას მაინც ვერ ავცდით. სამწუხაროა, სეზონის დასაწყისში მოპოვებული პოზიციები რომ დავთმეთ, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს სავსებით ლოგიკური იყო. რაც მოხდა, იმას ალარაფერი ეშველება, ახლა მთავარია, გუნდმა არსებობა ნორმალურ რეჟიმში განაგრძოს და ყველაფერი რიგზე იქნება.

**- უსახსრობის გამო ზუგდიდის "ბაია" სეზონის პერიოდშივე რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. ამგვარი საშიშროების წინაშე "კოლხეთიც" ხომ არ იდგა?**

- არა, ყველა პრობლემის მიუხედავად, შემადგენლობის სრულად შენარჩუნება შევძელით. "ბაიასგან" განსხვავებით, წამყვანი მოთამაშეების დაკარგვა ჩვენთვის ფუფუნებაა, ზუგდიდელებს კი მრავლად ჰყავთ ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელთაც დღესვე შეუძლიათ უმაღლეს ლიგაში თამაში. ჩვენც გვყავს იმედისმომცემი ჭაბუკები, მაგრამ მაღალ დონეზე გამოსვლას ისინი ორი წლის შემდეგ თუ შეძლებენ.

**- დიდი ხანია, "კოლხეთს" გამარჯვება არ მოუპოვებია...**

- ასეა, უიმედოდ დავმარცხდით "დინამოსა" და "ვიტ ჯორჯიასთან", მაგრამ გუნდის ბოლოდროინდელი თამაში მარწმუნებს, რომ კრიზისს მალე დავძლევთ და გამარჯვებებიც მოვა. მთავარი ისაა, რომ ყველაზე მძიმე პერიოდი გადავიტანეთ და დარწმუნებული ვარ, მალე უკეთესობა დაგვეტყობა.

**- საქართველოს თასის მერვედფინალში "გაგრასთან" დამარცხების შემდეგ თქვენი გუნდის წევრებმა მსაჯობით უკმაყოფილება გამოთქვეს.**

- პრეტენზია გვქონდა გოლზე, რომელიც მსაჯებმა არ ჩაგვითვალეს. დანამდვილებით ვერ გეტყვით, იყო თუ არა თამაშგარე მდგომარეობა, მაგრამ, ერთი შეხედვით, ბურთი წესების სრული დაცვით გავიტანეთ.

**- ვიდეოგამეორებაზე არ ჩანს, იყო თუ არა გოლი?**

- მოგეხსენებათ, საქართველოში მატჩებს არცთუ ხარისხიანად იღებენ და ამიტომაც ვიდეოჩანაწერში მკაფიოდ არაფერი ჩანს. მოკლედ, რაც იყო, იყო – მართალია, თასიდან გამოვარდნამ გული ძალიან დაგვწყვიტა, მაგრამ მთავარი ისაა, რაც "გაგრას" წინააღმდეგ ჩატარებულმა შეხვედრამ დაგვანახა – "კოლხეთმა" თამაშის ხარისხი აშკარად გამოასწორა და მალე ნებისმიერი მეტოქისთვის კვლავ ანგარიშგასაწევი ძალა გავხდებით. გამარჯვება "გაგრასთანაც" შეგვეძლო, მაგრამ რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. რას ვიზამთ, ასეთია ფეხბურთი, თუ ვერ გაიტან, სათამაშო უპირატესობა ყოველგვარ აზრს კარგავს. რაც შეეხება ჩაუთვლელი გოლის თემას, თუკი "გაგრასთან" მატჩზე გადაჭრით ვერაფერს გეტყვით, დანამდვილებით შემიძლია იმის თქმა, რომ "ვიტ ჯორჯიასთან" ასპროცენტიანი გოლი არ ჩაგვითვალეს. თანაც, იმ დროისთვის ანგარიში გახსნილი არ იყო და არავინ იცის, როგორ წარიმართებოდა მოვლენები, მსაჯებს უხეში შეცდომა რომ არ დაეშვათ.

**- მივუბრუნდეთ "კოლხეთის" დაფინანსების პრობლემას. სპონსორის საკითხის დადებითად გადაწყვეტა რამდენად რეალურია?**

- ისევ და ისევ პორტის იმედი გვაქვს. დიდია იმის ალბათობა, რომ მისი წყალობით კლუბის წლიური ბიუჯეტი დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარი იყოს. მართალია, გუნდის სრულყოფილად ფუნქციონირებას მილიონი მაინც სჭირდება, მაგრამ ამას ვინ დაეძებს, შევეცდებით, ნახევარი მილიონითაც გავიდეთ ფონს. პორტის გარდა ქალაქის მერიის დიდი იმედიც გვაქვს.

**- თუკი ყველაფერი სასიკეთოდ წარიმართა, რა იქნება "კოლხეთის" მიზანი მიმდინარე სეზონში?**

- ღმერთმა ქნას, მართლაც არ დაგვიდგეს ყოფნა-არყოფნის პრობლემა. ფოთი ნამდვილადაა იმის ღირსი, რომ უმაღლეს ლიგაში ძლიერი გუნდი ჰყავდეს და "კოლხეთში" მომუშავე თუ მოთამაშე თითოეული ადამიანი მაქსიმალურად ვეცდებით, რომ ეს ასე იყოს. ამ სეზონში ჩვენი უმთავრესი მიზანი, რალა თქმა უნდა, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა, მაგრამ სატურნირო ცხრილში ისეთი სიმჭიდროვეა, უფრო სერიოზულ მიზნებზე ფიქრიც შეიძლება. მთავარია, "კოლხეთს" ნორმალური პირობები ჰქონდეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ნაკრები

# ულიმღამო ფრე ბრწყინვალე პერსპექტივით

## გაისად ბუნდესგუნდში ბევრი რამ შეიცვლება



იოახიმ ლიოვი და მისი ახალი შეგირდები, მარიო გიოტცე და ანდრე შიურლე

გერმანიის ნაკრებმა წლის ბოლო მატჩი ვერ მოიგო და ეს უკვე ტრადიციაა, რადგან ბუნდესგუნდმა წლის ბოლოს თამაშის მოგება ბოლოს 2004 წლის 21 დეკემბერს მოახერხა, როცა გერმანელებმა ტაილანდი 5:1 გაანადგურეს, რაც ასევე არ იყო განსაკუთრებული მოვლენა. ოთხშაბათს, შვედეთში დაფიქსირებული 0:0 კი მორიგი **წარუმატებელი მატჩი გამოდგა, რომლითაც გერმანიის ნაკრებმა 2010 წელი ზუსტად ისე ულიმლამოდ დახურა, როგორც წინა წლები - 2009, 2008, 2007, 2006 და 2005.**

სუფთა სპორტული თვალსაზრისით, ამ შეხვედრამ გერმანიას ფაქტობრივად არაფერი მისცა, რაც ნამდვილად არაა გასაკვირი, რადგან შემადგენლობა ძლიერ გადახალისებული იყო და როგორც გულშემატკივრები, ასევე ექსპერტები ბუნდესგუნდისგან ბევრს არაფერს ელოდნენ - ამ შემადგენლობამ ერთად ხომ მხოლოდ ერთხელ ივარჯიშა. ახალგაზრდა ფეხბურთელების გამოძახებისა და ძირითად შემადგენლობაში გამწესებით (სასტარტოში იყვნენ **ჰუმელსი, გროსკროიტცი, შმელცერი, ჰოლტბი** და **მარინი**) კი ის გამოვიდა, რომ გერმანიის ნაკრების ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდული სასტარტო შემადგენლობებიდან, შვედეთთან სათამაშოდ გაყვანილი თერთმეტეული მეორე ადგილზე დადგა - გუნდის საშუალო ასაკი 23 წელი და 217 დღე იყო. ამაზე ახალგაზრდული ძირითადი შემადგენლობა კი ბუნდესგუნდს ბოლოს 1960 წლის 3 აგვისტოს ჰყავდა (ისლანდიასთან მატჩში, რომელიც გერმანელებმა 5:0 მოიგეს).

შვედეთში დაფიქსირებულმა უგოლო ფრემ ნამდვილად არაფერი შეცვალა იმ მხრივ, რომ **იოახიმ ლიოვს** თამამად შეუძლია მტკიცება, 2010 წელი ძალიან წარმატებული იყოო. 2011 წლისთვის კი იოგის ასეთი პროგნოზი აქვს: *„პერსპექტივა ბრწყინვალეა და ჩვენ მას გამოვიყენებთ!“* ლიოვი არ ქმნის ტრაგედიას იმის გამო, რომ შვედებთან ახალგაზრდული გუნდით, სადაც მეტწილად მეორეხარისხოვანმა ფეხბურთელებმა ითამაშეს, მხოლოდ ფრე დააფიქსირა. მთავარი ისაა, რომ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ბუნდესგუნდი მართლა ბრწყინვალედ გამოიყურება - ოთხი თამაშიდან, ოთხივე მოგებული აქვს და დიდი შანსია, რომ ევრო 2012-ის საგზური სულაც ნაადრევად მოიპოვოს. ესეც რომ არ იყოს, ლიოვს ფეხბურთელების მხრივ დღეს გაცილებით დიდი, თითქმის სამჯერ დიდი არჩევანი აქვს, ვიდრე 2006 წელს ჰქონდა, როცა გერმანიის ნაკრებს სათავეში ჩაუდგა.

*„ბევრ ახალგაზრდა ფეხბურთელს აქვს ძალიან დიდი პოტენციალი, რაც მხოლოდ და მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ გერმანულმა ფეხბურთმა ბოლო წლებში უდიდესი პროგრესი განიცადა. ამ თვალსაზრისით არაერთ ჩვენნაირ მოწინავე საფეხბურთო ქვეყანას ვუსწრებთ,“* - ეს **ბასტიან შვაინშტაიგერის** სიტყვებია, რომელიც შვედეთში გუნდის კაპიტანი გახლდათ (**მიხაელ ბალაკი** ტრავმირებულია, **ფილიპ ლამი** კი ისვენებდა).

ჯერ მარსელ შმელცერი და ლუის ჰოლტბი გახდნენ დებიუტანტები, რადგან ისინი ძირითად შემადგენლობაში იყვნენ გამწესებულები, მეორე ტაიმში კი ლიოვმა ბუნდესგუნდის ფორმა პირველად მოარგო 20 წლის **ანდრე შიურლეს** და 18 წლის **მარიო გიოტცეს**. ამრიგად, 2006 წლიდან დღემდე, გერმანიის ნაკრებში, ლიოვის ხელმძღვანელობით 44 ფეხბურთელს ჰქონდა დებიუტი. მატს ჰუმელსს და კევინ გროსკროიტცს აქამდეც ჰქონდათ ნათამაშები, სამაგიეროდ, ახლა პირველად მოხვდნენ ძირითად შემადგენლობაში. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ 2010 წელს გამართულ 17 სანაკრებო მატჩში ლიოვმა სულ 42 ფეხბურთელი გამოიყენა, რითაც მან 1998 წელს **ბერტი ფოგტსისა** და **ერიხ რიბეკის** მიერ დამყარებული რეკორდი გაიმეორა - რეკორდი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შედგა. შვაინშტაიგერი: *„ლიოვს ფეხბურთელების შერჩევა უფრო და უფრო უჭირს, გერმანული ფეხბურთისთვის და გერმანიის ნაკრებისთვის კი ეს ძალიან კარგია.“*

### ლიდერები საუკეთესო ასაკში არიან, პრობლემა უკან, მარცხნივ

2010 მსოფლიოს ჩემპიონატის წელიწადი იყო, სადაც ბუნდესგუნდმა თავი ძალიან კარგად წარმოაჩინა. მეტიც: გერმანელებმა მთელი მსოფლიო აალაპარაკეს, მაგრამ საგაისოდ, ლიოვი არანაკლებ მნიშვნელოვანი და მძიმე ამოცანის წინაშე დგას. მან უნდა ჩამოაყალიბოს გუნდი, რომელიც 2012 წელს პოლონეთსა და უკრაინაში ევროპის ჩემპიონობისთვის იბრძოლებს - ტიტულისთვის, რომელიც გერმანელებს 16 წელია, არ მოუგიათ. თუკი მსოფლიოს ჩემპიონატზე იოგის ისტორიულად ახალგაზრდული გუნდი ჰყავდა, ევროპის პირველობაზე ბუნდესნაკრების წამყვანი ფეხბურთელები (**ლამი**, შვაინშტაიგერი, **ხედირა** და ა.შ.) საუკეთესო საფეხბურთო ასაკში იქნებიან.

თუმცა იოგის პრობლემებიც თავზესაყრელად აქვს. ყველაზე პრობლემური ზონა ბუნდესგუნდში დაცვის ხაზია. უკვე რამდენიმე თვეა, რაც იოგი დაცვის მარცხენა ფლანგისთვის ღირსეული კანდიდატის ძიებაშია. დორტმუნდელი მარსელ შმელცერის სახით, ამ პოზიციისთვის ძალიან ნიჭიერი, ახალგაზრდა და თანაც, უკვე საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელი გამოჩნდა, მაგრამ შეძლებს თუ არა მარსელი გერმანიის ნაკრებში თავის დამკვიდრებას, ამას დრო გვიჩვენებს.

სანერვიულოა და კითხვის ნიშნის ქვეშაა დაცვის ცენტრიც. მუნდიალზე გერმანიის ნაკრების უკანა ხაზის ცენტრში **პერ მერტეზაკერისა** და **არნე ფრიდრიხის** წყვილი თამაშობდა. ფრიდრიხი ტრავმირებულია და გამოჯანმრთელების შემდეგ ფორმაში შესვლისთვის დრო დასჭირდება, მერტეზაკერი კი მიმდინარე სეზონში ძალიან ცუდად გამოიყურება. ერთ-ერთის ან ორივეს შეცვლისთვის პირველი ალტერნატივა **ჰოლგერ ბადშტუბერია**, მეორე კი, ოთხშაბათის შემდეგ, მატს ჰუმელსი. ფაქტია, რომ მუნდიალის 23-კაციანი განაცხადიდან, ლიოვი სათვალავში აღარ აგდებს **ჰანს-იორგ ბუტს, პიოტრ ტროხოვსკის** და **სერდარ ტასკის**. აქედანვე შეგვიძლია იმის თქმაც, რომ 2011 წელს გერმანიის ნაკრებში ყველა პოზიციაზე დიდი კონკურენცია იქნება.

ლიოვს **მიხაელ ბალაკის** შესახებაც მოუწევს გადაწყვეტილების მიღება. გერმანიას მომდევნო მატჩი 9 თებერვალს უწევს - დორტმუნდში, იტალიასთან და ბუნდესგუნდის კაპიტანი ბალაკი იმ დროისთვის უკვე გამოჯანმრთელებული იქნება. შესაბამისად, მიხაელს ძირითად შემადგენლობაში დაბრუნების პრეტენზია ექნება. ისევე, როგორც „ლევერკუზენის“ საყრდენ ნახევარმცველ **სიმონ როლფესს**, რომელიც ასევე გერმანიის ნაკრების წევრად მიიჩნევა. ასე რომ, სამი ხედირა და ბასტიან შვაინშტაიგერი კონკურენციას იგრძნობენ. ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, გასარკვევი მხოლოდ ის არის, ვინ ითამაშებს ძირითად შემადგენლობაში: ბალაკი თუ ხედირა.

ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: გერმანიის ნაკრებისთვის 2011 წელი ძალიან საინტერესო და დაძაბული იქნება. მიუხედავად შვედეთში ნათამაშები 0:0-ისა, ბუნდესგუნდის მომავალი დღევანდელი გადასახედიდან ნათელი ჩანს.

ბაიერნი



ფრანც ბეკენბაუერი და ლუის ვან გაალი

# კაიზერი: ვერ ამოვქაჩავთ!

## ბეკენბაუერმა ბაიერნის ჩემპიონობა გამორიცხა

სეზონის დაწყებიდან 12 ტურის შემდეგ, „ბაიერნი“ ბუნდესლიგის ლიდერს, დორტმუნდის „ბორუსიას“ 12 ქულით ჩამორჩება, რაც საკმაოდ ბევრია, მაგრამ არც იმდენად ბევრი, რომ „ბაიერნისთვის“ ამ ჩამორჩენის ამოქაჩვა უტოპია იყოს. შეუძლია თუ არა რეკორდმაისტერს რეალურად „დორტმუნდისთვის“ სერიოზული კონკურენციის გაწევა, ამაზე „ბაიერნშიც“ ძალიან ბევრს ბჭობენ და ერთმანეთისგან განსხვავებული მოსაზრებები აქვთ.

მაგალითად, **ფრანკ რიბერი** დარწმუნებულია, რომ მიუნხენელები მაინც გახდებიან გერმანიის ჩემპიონები და მზადაა, ამაზე ფსონსაც კი ჩამოვიდეს. სამაგიეროდ, „ბაიერნის“ საპატიო პრეზიდენტი **ფრანც ბეკენბაუერი** ფიქრობს, რომ მიუნხენელებს შეუძლიათ, „ვერცხლის სინი“ დაივიწყონ.

*„დღესდღეობით საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ დორტმუნდელებს ამ სეზონში ალარაფერი შეეშლებათ და უპრობლემოდ გახდებიან ჩემპიონები. ცხადია, ჩავარდნა ექნებათ, მაგრამ არა ისეთი, რომ სერიოზული საფრთხის წინაშე დადგნენ. ამ ეტაპზე „ბაიერნი“ არ ჰგავს იმ გუნდს, რომელიც თორმეტქულიან ჩამორჩენას აღმოფხვრის და საბოლოოდ გერმანიის ჩემპიონი გახდება,“* - უთხრა ბეკენბაუერმა „მიუნხენერ თაგესცაითუნგს“.

ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა კაიზერს, რა თქმა უნდა, „ბაიერნის“ პრეზიდენტ **ული ჰიონესისა** და მწვრთნელ **ლუის ვან გაალის** დაპირისპირებაზეც ჰკითხეს. ბეკენბაუერის პასუხი ასეთი იყო: *„მე რომ ვან გაალის ადგილზე ვყოფილიყავი, ისეთ გამოცდილ და საქმეში ჩახედულ ადამიანებს, როგორებიც ული ჰიონესი და კარლ-ჰაინც რუმენიგე არიან, რაც შეიძლება ხშირად ვკითხავდი რჩევებს და მათთან მუდმივად კონსულტაციებს გავივლიდი. რუმენიგესა და ჰიონესის სახით მას გვერდში ძალიან გამოცდილი ადამიანები უდგანან და წესით, ეს პლუსი უნდა გამოიყენოს. ვან გაალის წინამორბედებიც ასე იქცეოდნენ, ულისთვის და კალეთვის რჩევების კითხვა არ ეთაკილებოდათ და ვფიქრობ, ვან გაალზე ნაკლებად თავმოყვარე არც იურგენ კლინსმანი იყო, არც ფელიქს მაგათი და მით უმეტეს, არც ოტმარ ჰიტცფელდი.“*

ჰამბურგი

# ჰამბურგი შოკშია: მატიისენიც დაიმტვრა!

## ფეხს დაცვის ჰოლანდიელი ბურჯი გამოეცალა

„ჰამბურგი“ ისედაც შავ დღეშია იმის გამო, რომ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ჰყავს დაშავებული და მათ საკმაოდ გრძელ სიას გუშინწინ ცენტრალური მცველი, ჩრდილოგერმანული კლუბის დაცვის ბურჯი **იორის მატიისენიც** შეემატა. 30 წლის ჰოლანდიელმა ტრავმა ჰოლანდიისა და თურქეთის ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრის დროს მიიღო - შეხვედრისა, რომელიც ჰოლანდიელებმა 1:0 მოიგეს (**კლაას-იან ჰუნტელაარის** გოლით).

ეს მატჩის პირველი ტაიმის დამატებულ დროში მოხდა: იორისი ერთ-ერთ თურქ ფეხბურთელთან ორთაბრძოლის მერე მინდორზე გაიშხლართა და ტკივილებისგან დიდხანს იკლაკნებოდა. ექიმებს საბოლოო დიაგნოზი ჯერ არ დაუსვამთ, მაგრამ პირველადი ინფორმაციით, მატიისენი მინიმუმ წლის ბოლომდე ვერ ითამაშებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბუნდესლიგის პირველი წრე მისთვის დამთავრებულია. არადა, იორისი „ჰამბურგისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა. მან HSV-ს 2006 წლის ზაფხულში „ალკმაარიდან“ მიაშურა და მას მერე ყოველთვის ძირითად შემადგენლობაში თამაშობს. მატიისენი „ჰამბურგის“ ერთ-ერთი ლიდერი და როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დაცვის ბურჯია.



იორის მატიისენმა ტრავმა თურქეთთან ამხანაგურ მატჩში მიიღო

ამბები

### მაგათი: რაკიტიჩს არსად გავუშვებ!

თითქმის გადაწყვეტილია, რომ „შალკეს“ ხორვატი ნახევარმცველი **ივან რაკიტიჩი** გელზენკირხენულ კლუბთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს. *„ივანთან მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს და ვფიქრობ, რომ საბოლოო გადაწყვეტილება უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი. მჯერა, რაკიტიჩი „შალკესთან“ ახალ კონტრაქტს გააფორმებს“*, - აცხადებს „ხუმარების“ მენეჯერი და მთავარი მწვრთნელი **ფელიქს მაგათი** და იქვე დასძენს, - *„ივანი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და პროგრესისთვის „შალკეზე“ უკეთეს გუნდს ვერსად ნახავს. ახალი კონტრაქტის გაფორმება მისთვისაც ძალიან კარგია და „შალკესთვისაც“.*

22 წლის რაკიტიჩს **ლევან ყენიას** კლუბთან კონტრაქტი 2011 წელს, ანუ, მიმდინარე სეზონის მიწურულს უმთავრდება. შეგახსენებთ, რომ რაკიტიჩი „შალკეში“ 2007 წელს, შვეიცარიული „ბაზელიდან“ გადავიდა. „შალკემ“ მაშინ ივანის სანაცვლოდ ხუთი მილიონი ევრო გადაიხადა. ამ სეზონში რაკიტიჩმა ბუნდესლიგის ათ მატჩში ისპარეზა. მის ანგარიშზე ერთი გოლია.

### პინოლას ოთხი აქმარეს

გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიამ „ნიურნბერგის“ მარცხენა მცველ **ხავიერ პინოლას** „მხოლოდ“ ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. სიტყვა „მხოლოდ“ იმიტომ ვახსენეთ, რომ ნიურნბერგელები უფრო ხანგრძლივ სასჯელს ელოდნენ, რადგან 27 წლის არგენტინელმა ფეხბურთელმა გერმანის ჩემპიონატის წინა, მე-12 ტურში, „ბაიერნთან“ შეხვედრის დროს, მიუნხენური გრანდის ლიდერ **ბასტიან შვაინშტაიგერს** შეაფურთხა, ასეთი საქციელი კი უფრო ხანგრძლივ დისკვალიფიკაციას ითვალისწინებს. პინოლას დანაშაული იმ ფაქტორმა შეამსუბუქა, რომ ზემოთ ხსენებულ მომენტამდე, შვაინშტაიგერმა მას სახეში იდაყვი ჩაარტყა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ინგლისის ნაკრები

# ის, რასაც ფრანგები სიბერეში გაიხსენებენ



ენდი ქეროლისა და იან მვილას საჰაერო ორთაბრძოლა

იმსალამოს ინგლისელობა მაინცდამაინც საამაყო საქმე არ იყოო, წერს „დეილი მეილი". თან, გაზეთი ფეხბურთელობასაც გულისხმობს და გულშემატკივრობასაც. ზედაც **სტივენ ჯერარდი** რომ დაშავდა... „სანი" თავიანთ ნაკრებს ფრანგებისას ადარებს და ამბობს, რომ „ლურჯებს" სამხრეთ აფრიკაში თავისი გასჭირვებოდათ, მაგრამ ახლა, ფერფლიდან აღდგომის გზაზე ინგლისელებთან შედარებით გაცილებით წინ არიან – მოუგეს კიდეც 2:1.

თუ გახსოვთ, ბოლო დღეებში ინგლისში ერთი ამბავი იყო, ჩვენი ფეხბურთელები სვამენ და უმაღლეს დონეზე იმიტომ ველარ თამაშობენო. თამაშის შემდეგ უკვე ნახსენები „მეილი" ირონიულად აღნიშნავდა, ინგლისმა რომ ითამაშა, ისეთი ფეხბურთის გამო სმისთვის თავის დანებება ნამდვილად არ ღირსო. მეტიც, **ენდი ქეროლს** მოედანზე გასვლის წინ 10 კათხა ლუდი რომ დაელია, თავის სანაკრებო დებიუტს გემოს მაინც ჩაატანდაო, დასძენს გაზეთი ტრადიციული ინგლისური ენამწარობით.

ერთი სიტყვით, **ფაბიო კაპელომ** საფრანგეთის წინააღმდეგ ექსპერიმენტული შემადგენლობა, ასე ვთქვათ ინგლისის ხვალინდელი ნაკრები ათამაშა და საშინელი რისხვა დაიმსახურა. მასპინძლებმა სასეირო და სახეირო ვერც სტუმრებს შესთავაზეს რამე და ვერც მაყურებელს. ხსენებული ქეროლი მოედანზე თამაშის დამთავრებამდე 18 წუთით ადრე შევიდა და ბევრი ვერაფერი მოასწრო... ფანებს გული ცოტა **პიტერ კრაუჩმა** მოფხანა, რომელმაც 85-ე წუთზე სტივენ ჯერარდი შეცვალა და ერთ წუთში გოლიც გაიტანა, მაგრამ ვაგლახ, მაგ დროისთვის ფრანგები უკვე 2:0-ს იგებდნენ. ცნობისათვის: ეს გახლდათ კრაუჩის 22-ე გოლი ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში. „ტოტენჰემის" ფორვარდმა **ეშლი იანგის** მიერ კუთხურიდან ჩაწოდებული გადაგზავნა „ლურჯების" კარში.

ინგლისის ნაკრებმა საჯარიმოში მაღალი ბურთების ჩაწოდებით ვერაფერი დააკლო გუნდს, რომელიც მას სჯობდა. სტუმართაგან ანგარიში **ქარიმ ბენზემამ** გახსნა, მეორე კი **მატიო ვალბუენამ** შეაგდო. ეს გახლდათ კაპელოს გუნდის პირველი წაგება სამხრეთ აფრიკის ქალაქ ბლუმფონტეინში გერმანიასთან მსოფლიოს ჩემპიონატზე დამარცხების შემდეგ.

მატჩის შემდეგ კაპელოს რაღაც დადებითი ხომ უნდა ეთქვა და ენდი ქეროლის თამაშზე გაამახვილა ყურადღება: *„მისი თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ. ქეროლი ინგლისის ნაკრების მომავლისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია".*

კაპელოს თქმით, რთული და ინგლისის ნაკრებისთვის წინააღმდეგობრივი 2010 წლის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარი სწორედ ენდი ქეროლის აღმოჩენა იყო. შემდეგ, ინგლისელთა იტალიელმა თავკაცმა ზოგადად, ამ დღეს საქმეში ნანახ ახალგაზრდებზე ილაპარაკა:

*„ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ ის, რომ ისეთ ძლიერ გუნდთან, როგორიც საფრანგეთის ნაკრებია, თავი ახალგაზრდათა მთელმა ჯგუფმა გამოცადა. მათი რეალური ფასი სწორედ ამ ტიპის შეხვედრებში უნდა გამოჩნდეს. მე ბიჭებს ვუთხარი, რომ 21-წლამდელთა ნაკრებში თამაში სულ სხვაა, დიდი ნაკრების შემადგენლობაში „უემბლიზე" საფრანგეთის წინააღმდეგ თამაში კი სხვა. პირველ ტაიმში ფრანგებმა გვაჯობეს, მეორეში ჩვენ უფრო კარგად ვითამაშეთ".*

ხოლო „ლურჯების" თავკაცმა **ლორან ბლანმა** პრესკონფერენციაზე ასე თქვა:

*„ჩვენ კარგად გვქონდა მოფიქრებული და დამუშავებული, როგორ მოგვექცია მოწინააღმდეგე ზეწოლის ქვეშ და პირველ ტაიმში სიტუაციის ბატონ-პატრონებიც ვიყავით. მინდოდა ბიჭებს თავიანთი თამაშითა და დღევანდელი დღით ესიამოვნათ. ამიტომაც ვუთხარი, ისეთ ადგილზე, როგორიც „უემბლია", შეიძლება სულ ერთი ან ორი შანსი მოგეცეთ და სწორედ ის უნდა გამოიყენოთ მეთქი. „უემბლიზე" გამარჯვება ისეთი რამ არის, რასაც მთელი ცხოვრების განმავლობაში გაიხსენებ და როგორც მოგონებას, გაუფრთხილდები. ჩვენ გუნდის შენებას კვლავაც განვაგრძობთ და ინგლისის ნაკრებთან მოგებამ ეს პროცესი შეიძლება დაგვიჩქაროს, მაგრამ საქმე მაინც ბევრი გვაქვს გასაკეთებელი".*

ინგლისელთა კაპიტანმა **რიო ფერდინანდმა** თქვა: *„რასაკვირველია, უკეთ შეგვეძლო თამაში. ბოლო 15 წუთს თუ არ ჩავთვლით, ფაქტობრივად, კომბინაციური ფეხბურთი ვერ ვითამაშეთ და ჩვენი ძალა ვერ გამოვამჟღავნეთ. ვერც ბურთს ვფლობდით და ინიციატივაც მოწინააღმდეგეს გადავაბარეთ".*

## კაპელო ლივერპულის წინააღმდეგ

საფრანგეთის ნაკრებთან წაგებამ კაპელოს ბევრი თავსატკივარი გაუჩინა და ერთ-ერთი მათგანი „ლივერპულთან" საქმის გარჩევა იქნება. მერსისაიდელები ჩივიან, რომ მათ ინგლისის ნაკრების თავკაცთან შეთანხმება ჰქონდათ, რომლის თანახმადაც, სტივენ ჯერარდს მხოლოდ 60 წუთი უნდა ეთამაშა, იტალიელმა კი ისინი მოატყუა და მხოლოდ 85-ე წუთზე შეცვალა, ისიც იმიტომ, რომ ფეხბურთელმა ორთავა კუნთის სერიოზული ტრავმა მიიღო და სხვა გზა აღარ ჰქონდა.

კაპელოს საქციელმა „ლივერპულის" ხელმძღვანელთა ბანაკი ძალიან აღაშფოთა. „წითლების" ფიზიკური მომზადების განყოფილების ხელმძღვანელმა **დარენ ბარჯისმა** განაცხადა:

*„ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ და ნაკრების ხელმძღვანელობამ წარმოუდგენელი რამ ჩაიდინეს. მათ ჩვენს შეთანხმებასა და წარსულ ურთიერთობებს სრულიად გადაუსვეს ხაზი და უღირსი რამ გააკეთეს".*

კაპელომ თავის მხრივ, მომხდარი ასე განმარტა: *„ჩვენ სტივს თამაშის წინ ველაპარაკეთ და შევუთანხმდით, რომ ის მხოლოდ ერთ საათს ითამაშებდა, მაგრამ გარეთ ბერის ტრავმამ (ბერიმ მოედანი პირველი ტაიმის შემდეგ დატოვა) ყველაფერი აგვირია. ჯერარდი მოედანზე სწორედ ამიტომ დარჩა. რასაკვირველია, ჩვეულებრივ, ფეხბურთელები მოედანზე იმდენ ხანს რჩებიან, რამდენზეც მათ კლუბებს შევუთანხმდით, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ დადებული პირობის დაცვა შეგვიძლია. „ლივერპულმა" გვთხოვა, თუ შესაძლებელი იყო, ჯერარდი მხოლოდ 60 წუთი გვეთამაშებინა, მაგრამ კლუბი ვერასდროს დაგვიდგენს, რამდენი ხანი უნდა ვათამაშოთ ფეხბურთელი ეროვნულ გუნდში. რომ შემძლებოდა, დიახაც, მხოლოდ ერთ საათს ვათამაშებდი.*

*ის, რაც სტივს შეემთხვა, რასაკვირველია, დიდი პრობლემაა და ლივერპულელთა გულისტკივილიც კარგად მესმის".*

ექსპერტთა აზრით

# ის, რასაც ინგლისელები ველარ ისწავლიან

ვის უნდა შეეფასებინა ინგლისისა და საფრანგეთის ნაკრებთა თამაში საუკეთესოდ თუ არა ინგლისში მოღვაწე ფრანგ მწვრთნელს, „არსენალის" თავკაც **არსენ ვენგერს**", რომელმაც თქვა, რომ მის თანამემამულეთაგან ინგლისელების ასე იოლად დამარცხებას ნამდვილად არ ელოდა. აქ, მთავარი იმდენად ანგარიში (2:1) არ არის, რამდენადაც ის, თუ როგორ ითამაშა მასპინძლეთა გუნდმა – ეს გახლდათ **ფაბიო კაპელოს** პირველი მარცხი „უემბლიზე", ინგლისის ნაკრების თავკაცის რანგში.

ვენგერმა თქვა: *„ინგლისელების ასეთი დამარცხება ძალიან საწყენი გახლდათ. კარგი ფეხბურთელები კარგი მწვრთნელის გარეშე ვერაფერს მიაღწევენ, ისევე, როგორც კარგი მწვრთნელი ვერ მიაღწევს ვერაფერს კარგი მოთამაშეების გარეშე. დღეს ჩვენ ძალიან უსუსური ინგლისის ნაკრები ვიხილეთ. ამ გუნდმა მოწინააღმდეგეს ინიციატივა სრულიად დაუთმო, თან საკუთარ მოედანზე, რაც ძალიან გასაკვირი გახლდათ. აი, რას ნიშნავს ამხანაგური თამაში ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.*

*სტივენ ჯერარდი მოედანზე საერთოდ ჩაკარგული ჩანდა. როდესაც ის ბურთს კარგავდა, საშინელება იწყებოდა. მერე, ინგლისელები ამ ბურთს როგორც იქნა დაიბრუნებდნენ, მაგრამ ისევ ძალიან იოლად შეელეოდნენ ხოლმე. ფეხბურთელები ორთაბრძოლებს ერიდებოდნენ. ბურთი პირველივე გადაცემის შემდეგ მოწინააღმდეგეს უვარდებოდა, თან, ინგლისელების ნახევარზევე. მოედანზე ერთადერთი გუნდი იყო – საფრანგეთის ნაკრები".*

„არსენალის" თავკაცმა ამ შეხვედრას თვალი ტრიბუნიდან ადევნა და ასეთი რამ დაასკვნა:

*„როდესაც ინგლისელები „უემბლიზე" თამაშობენ, რაღაც ემართებათ. მორცხვები თუ მორიდებულები ხდებიან. დევიდ ბექჰემი მიყვებოდა, პრესისგან თამაშების წინ ისეთი ზეწოლაა, რომ ფეხბურთელები შებორკილები ვხდებითო.*

*საერთოდ, მდიდარი იმ საფეხბურთო ქვეყანას ეთქმის, რომელსაც ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავს. ინგლისის ნაკრებს კი საკმარისია ხუთი მოთამაშე დააკლდეს, რომ შემცვლელებს ველარ ხედავთ. დღეს, „უემბლიზე" ბევრი ისეთი ფეხბურთელი თამაშობდა, რომელთა დონე საფრანგეთის ნაკრების დასამარცხებლად საკმარისი არ იყო".*

ინგლისში ლეგენდად დარჩენილმა კიდევ ერთმა ფრანგმა, „ნიუკასლ იუნაიტედისა" და „ტოტენჰემ ჰოთსპურის" ყოფილმა გარემარბმა **დავიდ ჟინოლამ**, რომელიც 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის მოსაპოვებლად ბრძოლაში ინგლისელთა ელჩი გახლავთ, კაპელოს გუნდს ტექნიკა დაუწუნა:

*„ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებს ისეთი რამ აკლიათ, რასაც ახლა ველარ ისწავლიან. ეს ისეთი რამ არის, რასაც ექვსი-შვიდი წლისანი სწავლობენ. გუნდურ თამაშსა და ბრძოლას არ ვგულისხმობ, ბურთაობაზე ვამბობ. მახსოვს, „ნიუკასლში" რომ გადავედი, ბურთით ვვარჯიშობდი და ყმაწვილთა გუნდის ერთ-ერთმა მწვრთნელმა მითხრა, რას აკეთებ, დანახვას ვერ ვასწრებო. რასაკვირველია, ასეც უნდა იყოს, მეთქი, მე ვუპასუხე. მან კიდევ ცოტა ხანი მიყურა და მკითხა, ასეთი რამეების კეთება სად ისწავლე, ჩვენ, აქ, ინგლისში, ფეხბურთელებს ასეთ რაღაცებს არ ვასწავლითო. ვფიქრობ, დროა ამ ქვეყანაში ბავშვებს სწორედ ასეთი რამეების სწავლება დაუწყონ".*



დავიდ ჟინოლა

ამბები

## დროგბამ მალარია ვერ მოიგერიდა



დიდიე დროგბა ისევ ავადაა

კოტ დ'ივუარის ნაკრების ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ **დიდიე დროგბას** კვლავ მალარია სჭირს. მოგეხსენებათ, „ჩელსის" 32 წლის თავდამსხმელი პრემიერლიგის კლუბმა გასულ კვირას „სანდერლენდის" წინააღმდეგ ჩვეულებრივად ათამაშა, რადგან ლონდონელ ექიმებს ის სრულიად გამოჯანმრთელებულად მიაჩნდათ, მაგრამ ჩავიდა თუ არა ვარსკვლავი ეროვნული გუნდის ბანაკში, იქაურმა მედიკოსებმა თამაში აუკრძალეს – სპილოს ძვლის ნაპირთა ნაკრებმა პოლონეთში 3:1 წააგო.

აფრიკელების ოფიციალურ ვებ-გვერდზე წერია: *„ფეხბურთელს ჩავუტარეთ ტესტები და დადგინდა, რომ იგი მალარიით არის ავად. შესაბამისად, იგი პოლონეთის ნაკრებთან შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა".*

შაბათს „ჩელსის" ბირმინგემის „სენტ ენდრიუზე" აქვს თამაში, თუმცა, კოტ დ'ივუარელთა ასეთი განცხადების შემდეგ მას, რასაკვირველია, ჯერ კარგად გამოიკვლევენ და მხოლოდ მერე გადაწყვეტენ ათამაშონ თუ არა.

## ფრედის ვარიანტები

„ჩიკაგო ფაიარის" ნახევარმცველი **ფრედი ლიუნგბერგი** პრემიერლიგაში დაბრუნებას ეშურება. როგორც ფეხბურთელის აგენტი ამბობს, მის კლიენტს საამისოდ, რამდენიმე ვარიანტი აქვს.

33 წლის შვედს „არსენალის" შემადგენლობაში ორჯერ აქვს ინგლისის ჩემპიონის ტიტული მოპოვებული. შემდეგ ის „ვესტ ჰემში" იყო ცოტა ხანს, თუმცა 2009 წელს ოკეანე გადალახა და კარიერა აშშ-ის MLS-ში განაგრძო.

ყოფილი მეთოფის აგენტი **ფილ სმიტი** ამბობს: *„გადაწყვეტილი ჯერ არაფერია და რაიმეს განცხადებასაც მოვერიდებოდი, მაგრამ ფრედი მზად არის ინგლისში დაბრუნდეს და რამდენიმე შემოთავაზებაც აქვს".*

თუმცა, ამ სიტყვებს სმიტმა ისიც დააყოლა, რომ ლიუნგბერგს სხვა ქვეყნებიდანაც ეპატიჟებიან, ასე რომ, ჯერჯერობით გადაწყვეტილი მართლაც არაფერია:

*„იანვრამდე გარკვევით ვერაფერს ვიტყვით"* - დასძინა აგენტმა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩი

# იტალია იტალიელებისთვის

## ბალოტელი და ლედესმა ტიფოზებმა არ მიიღეს

იტალიის ნაკრებმა რუმინეთის ეროვნულ გუნდთან ავსტრიაში, ნეიტრალურ მოედანზე გამართა ამხანაგური შეხვედრა და საყაიმო რეზულტატს დასჯერდა, 1:1. თუმცა, თამაშის პერიპეტიები ტრიბუნებზე მიმდინარე მოვლენებმა დაჩრდილა. სპეციალურად ამ მატჩისთვის მეზობელ ქვეყანაში ჩასულმა აპენინელმა ტიფოზებმა საკუთარი ნაკრების ორი ფეხბურთელის: **მარიო ბალოტელის** და **კრისტიან ლედესმას** წინააღმდეგ გაილაშქრეს. ჯერ თამაშზე ვთქვათ და შემდეგ ამ თემასაც მივუბრუნდებით...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ იტალიის ნაკრების თავკაცმა **ჩეზარე პრანდელიმ** რუმინეთთან გამართულ ამხანაგურ პაექრობაში ექსპერიმენტალური შემადგენლობა ათამაშა. უფრო სწორად, ძირითადი შემადგენლობა გახლდათ ექსპერიმენტალური და ჩვენი სიტყვების სისწორეში რომ დარწმუნდეთ, კიდევ ერთხელ გადავხედოთ სასტარტო თერთმეტეულს: **ვივიანო - სანტონი, ბონუჩი, რანოკია, ბალცარეტი - ლედესმა, მაური, აკვილანი - დიამანტი - როსი, ბალოტელი.**

როგორც ხედავთ, ძირითადში ერთბაშად რამდენიმე დებიუტანტია, რომლებსაც შანსი მიეცათ და რამდენად გამოიყენეს ეს შანსი, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. „გაძეტა დელო სპორტმა“ **ალესანდრო დიამანტის** გარჯა 4.5 ბალით შეაფასა. ეს კატასტროფულად დაბალი მაჩვენებელია და ასე მხოლოდ მათ აფასებენ, ვინც შეხვედრა მთლიანად ჩააგდო. და რას იტყვით **კრისტიან ლედესმას** 4.0-ზე? - კიდევ უარესი, ანუ არგენტინული წარმოშობის იტალიელი არათუ ვერაფერში დაეხმარა „აძურას“, აშკარად ზედმეტი იყო მოედანზე. ლედესმამ ძალიან ცუდად იასპარეზა, უამრავი შეცდომა დაუშვა და ერთი ხეირიანი პასიც კი არ გაუკეთებია. ბევრი ვერაფრით წარმოჩინდა დაცვის ცენტრში გამწესებული **ანდრეა რანოკია**, ვისი გარჯაც 5.5 ბალით შეფასდა. „ჯენოას“ ნიჭიერი მცველი ცოტა დაბნეული ჩანდა და რუმინელებისგან გაშვებული გოლი დიდწილად მისი ბრალი იყო - პოზიციური შეცდომა დაუშვა და ბუნებრივია, ეს იტალიელ ჟურნალისტებს არ გამოჰპარვიათ. ერთადერთი დებიუტანტი, ვინც თავი დადებითად წარმოაჩინა, **ფედერიკო ბალცარეტი** გახლავთ. „პალერმოს“ ჯეჯგვმა უკანახაზელმა ბევრი იბრძოლა და უშუალო მოვალეობის გარდა, შეტევაშიც აქტიურად ერთვებოდა. მისი თამაში ავტორიტეტულმა გამოცემამ 6.5 ბალით შეაფასა. მოკლედ, პირველი მატჩისთვის მშვენიერია და უნდა ვივარაუდოთ, რომ პრანდელი მას მომავალშიც იხმობს.

დებიუტანტებით დავიწყეთ, რადგან იტალიურ სპორტულ პრესაში სწორედ მათზე კეთდება აქცენტი. პრინციპში, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან ამხანაგური მატჩები სწორედ ახალი ფეხბურთელების გამოსაცდელად და ექსპერიმენტების ჩასატარებლად ტარდება. მოკლედ, დებიუტანტებმა ბევრი ვერაფერი და აი, სასტარტოში გამწარესებულმა დანარჩენმა ფეხბურთელებმა შედარებით უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს - თუნდაც, მარიო ბალოტელიმ, **სტეფანო მაურიმ**, **დავიდე სანტონმა** და **ალბერტო აკვილანიმ**. აქტიური იყო **ჯუზეპე როსიც**, თუმცა მისგან იტალიელები გაცილებით მეტს ელოდნენ.

შეხვედრის პირველი ტაიმი რუმინელთა უპირატესობით წარიმართა, რაც ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირი სულაც არ არის. „აძურა“ ქაოტურად ცდილობდა მეტოქის კართან ხიფათის შექმნას და რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მოედანზე არა გუნდი, არამედ თერთმეტი ერთმანეთისთვის აბსოლუტურად უცხო მოთამაშე დარბოდა. გამომდინარე აქედან, **ჩიპრიან მარიკას** მიერ გატანილი გოლი სრულიად კანონზომიერი გახლდათ. მარიკამ მეორე ტაიმშიც გაიტანა და ამაზე ქვემოთ ვიტყვით...

მეორე ნახევარში, ჩეზარე პრანდელიმ ნაკრების ძირითადი ბირთვი ჩართო საქმეში და იტალიამ თამაში სათავისოდ შეატრიალა. მოედანზე გამოჩნდნენ **ანდრეა პირლო, დანიელე დე როსი, ალბერტო ჯილარდინო** და **ფაბიო კვალიარელა**. „აძურა“ გუნდს დაემსგავსა, ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას დაეუფლა, რასაც სახიფათო იერიშებიც მოჰყვა. ერთ-ერთი ასეთი შეტევისას მარიკამ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი და შეხვედრის საბოლოო რეზულტატი დააფიქსირა. აქვე ვთქვათ, რომ მეტად აქტიურმა ჯილარდინომ ერთ-ერთ ეპიზოდში მეტოქის კარის ბადე შეარხია, თუმცა ლაინსმენმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. ჯილას კიდევ ჰქონდა მომენტები, თუმცა დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდა. კარგად წარმოჩინდა ფაბიო კვალიარელაც, ვინაც ერთ ეპიზოდში ვარდნაში გზავნიდა ბურთს მეტოქის კარში, თუმცა დარტყმა მცირედით არაზუსტი აღმოჩნდა. მთლიანობაში, ლოგიკური, საყაიმო შედეგი დაფიქსირდა, პრანდელიმ კი ალბათ უამრავი ხარვეზი აღმოაჩინა შეგირდების თამაშში.



ბალოტელი შავ დღეში ჩააგდეს

„გაძეტა დელო სპორტს“ რუმინეთთან პაექრობის შემდეგ ასეთი დასკვნა გამოაქვს: *„ექსპერიმენტი არ შედგა, ძირითადში ძველებმა უნდა ითამაშონ“*... ძველებმა მართლაც გადაარჩინეს „აძურა“ მარცხისგან და ისეთი პირი უჩანს, რომ მომავალშიც მათ მოუწევთ ეროვნული გუნდის ფორმის, ამ მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო ტვირთის ტარება. ნამატჩევს, პრანდელიმ შემდეგი კომენტარი გააკეთა: *„სამუშაო ძალიან ბევრია და რუმინეთთან მატჩმა ამაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა. თამაში ამხანაგური იყო და არაერთი ახალი ფეხბურთელი გამოვცადე. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ საქმეში ვნახე დებიუტანტები და გარკვეული დასკვნებიც გამოვიტანე. დღეს ნამდვილად ვერ გეტყვით, ვისზე რა წარმოდგენა შემექმნა, მაგრამ როდესაც მომდევნო სანაკრებო მატჩისთვის ჩემ მიერ დასახელებულ შემადგენლობას გაეცნობით, ყველაფერი ცხადი გახდება. ფაქტია, არ შეიძლება ერთი ხელის მოსმით უარი თქვა გამოცდილ ფეხბურთელებზე, რომლებსაც ნაკრებისთვის ჯერ კიდევ დიდი სარგებლის მოტანა შეუძლიათ. მხოლოდ მათ მხარდამხარ ასპარეზობით მიიღებ ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშისგან მაქსიმუმს“.*

ეს ყველაფერი უშუალოდ თამაშის შესახებ და მივადექით იმას, რაზეც სათაურში გავამახვილეთ ყურადღება. იტალია-რუმინეთის პაექრობა ავსტრიაში გაიმართა, თუმცა ამან არ შეუშალა ხელი იმას, რომ იტალიელ ტიფოზებს დანაპირები შეესრულებინათ. აქამდე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ აპენინებზე ძალიან არ მოსწონთ ნაკრების ლურჯ მაისურაში გამოწყობილი შავკანიანი ფეხბურთელის, კერძოდ კი მარიო ბალოტელის ხილვა, რასაც თან არგენტინელი კრისტიან ლედესმას გაიტალიელება დაერთო. მაშინ, როდესაც ევროპის მთელი რიგი ქვეყნები მრავალეთნიკურობისკენ ისწრაფვიან და ამ თემით აქტიურად სპეკულირებენ, იტალიაში აშკარად ნაციზმი და რასიზმი მძვინვარებს - სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ იმას, რაც იტალია-რუმინეთის პაექრობის დროს ტრიბუნებზე ხდებოდა. ტიფოზებმა რამდენიმე ბანერი გამოფინეს, რომელთა შორის ერთი ყველაზე დიდი და გამორჩეული გახლდათ: *„იტალია იტალიელებისთვის“*. მიიღებდა თუ არა ბურთს მარიო ბალოტელი, იტალიელთა ტრიბუნიდან გამაყრუებელი სტვენა ისმოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ უწმაწური სიტყვების კორიანტელზე. დაახლოებით ანალოგიური რამ ხდებოდა, როდესაც ბურთს კრისტიან ლედესმა იღებდა. ამან იმდენად დაზაფრა არგენტინელი, რომ როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი შეხვედრა ჩაატარა. რაც მთავარია, ეს არ არის მხოლოდ რამდენიმე ტიფოზის ახირება - ავსტრიაში ასობით აგრესიულად განწყობილი გულშემატკივარი ჩავიდა და ზოგადად, იტალიაში ეს თემა მეტად აქტუალურია. საინტერესოა, რომ ქომაგთა ასეთ საქციელს მაინცდამაინც არც ჟურნალისტები გმობენ - როგორც ჩანს, დიდად არც მედიის წარმომადგენლებს სიამოვნებთ, რომ „აძურა“ ინტერნაციონალური ხდება. კიდევ ერთი ბანერი, რომელიც სტადიონზე ტიფოზებმა გამოფინეს, ასეთი შინაარსის გახლდათ: *„არ არსებობს მრავალეთნიკური იტალია“*. ერთი სიტყვით, თუ ასე გაგრძელდა, პრანდელის ბევრი მტერი გამოუჩნდება და საინტერესოა, გაუწევს თუ არა „აძურას“ თავკაცი ანგარიშს გულშემატკივართა აზრს. ბალოტელი კი ძალიან იმედგაცრუებულია და პრესასთან საუბარში შემდეგ კომენტარს აკეთებს:

*„დიდი სურვილი მქონდა, რომ თამაში შეწყვეტილიყო - ამის შესახებ პრანდელის ვუთხარი კიდეც, მაგრამ ასეთი რადიკალური ნაბიჯისგან თავი შეიკავა. უკვე წლებია, რაც იტალიაში ასეთ პრობლემას ვაწყდები და ვერაფრით ვხვდები, რა დავუშავე ამ ხალხს. ჩემი სახლი ქალაქ ბრეშაშია, იქ გავიზარდე და თავს იტალიელად ვთვლი. უზომოდ მეამაყება, რომ ეროვნული ნაკრების ღირსებას ვიცავ, მაგრამ როგორც ვხვდები, ეს ძალიან ბევრს არ მოსწონს. ტიფოზები აგრესიულად იყვნენ განწყობილნი კრისტიან ლედესმას მიმართაც - ასეთი რამ სხვაგან არსად ხდება“.*

მართლაც და, ასეთი რამ სხვაგან არ ხდება. მაშინ, როდესაც გერმანიის ნაკრებში ათასი რჯულის ხალხი თამაშობს; მაშინ, როდესაც საფრანგეთის ნაკრებში ძალიან უკვირთ და იშვიათი მოვლენაა ეთნიკური ფრანგი; მაშინ, როდესაც იგივე გერმანიის ნაკრები თურქეთის უმთავრეს გუნდს **მესუთ იოზილის** გოლით ამარცხებს, კალჩოში ნაციზმი მძვინვარებს.

აძურინი

# ფერარას წარმატებული დებიუტი

ვფიქრობთ, იტალიური ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის საინტერესო უნდა იყოს, თუ როგორი დებიუტი ჰქონდა „აძურინის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ჩირო ფერარას**. „იუვენტუსის“ ექსთავკაცმა დიდი ენთუზიაზმით მოკიდა ხელი ახალ საქმეს და იტალიის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობა გვარიანად გადაახალისა. „აძურინი“ თურქეთის ახალგაზრდულ გუნდს დაუპირისპირდა და მეტოქე მინიმალური ანგარიშით, 2:1 დაამარცხა. აპენინელთაგან ორივე გოლი „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელმა **ფედერიკო მაკედამ** გაიტანა, რომელმაც ჟურნალისტებისგან უმაღლესი შეფასებები მიიღო. აქვე, იმ ფეხბურთელთა გვარებს გავეცნოთ, რომლებზეც ჩირო ფერარამ შეაჩერა არჩევანი და თურქეთს ორ შემადგენლობად, ტაიმების მიხედვით დაუპირისპირა:



მაკედას გოლს ულოცავენ

**პირველი ტაიმი:** *სეკულინი (ფიორენტინა) - დონატი (ლეჩე), ბროსკო (ტრიესტინა), კალდიროლა (ვიტესი, ჰოლანდია), კრეშინცი (კროტონე) - ფაბიანი (ემპოლი), რომიცი (რეჯანა), სორიანო (ემპოლი), დალესანდრო (ბარი) - მაკედა (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), დესტრო (ჯენოა).*

**მეორე ტამი:** *პერინი (ჯენოა) - ტონელი (ემპოლი), კამპორეზე (ფიორენტინა), ფარაონი (ინტერი) - ბირაგი (ინტერი), მიზურაკა (ვიჩენცა), რიცო (რეჯინა), ჯანდონატო (იუვენტუსი) - ტატინი (პავია), ბორინი (ჩელსი, ინგლისი).*

გვერდი მოამზადა

**ლაშა ნიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ესპანეთის ნაკრები

# ამაზე უარესად თამაში არ შეგვიძლია

## ნანი: ბოდიში რონალდო, შედევრი მოგპარე!

ესუკვე მეტისმეტია - მსოფლიოს ჩემპიონი, რომლის პოსტმუნდიალური „საყვარელი" ანგარიში 0:4-ია! მოკლედ, „ფურია როხას" ის დაემართა, რასაც გულშემატკივრები ყველაზე მეტად უფრთხოდნენ: გაუთავებელი ბანკეტები, მიღებები, დაჯილდოებები, ტიტულები, ფეხბურთელების ცაში აყვანა და... გუნდი „იშლება" ნებისმიერი სერიოზული მეტოქის ზეწოლის ქვეშ. ასე იყო არგენტინაში და ასე მოხდა ახლა ლისაბონშიც: „ესტადიუ დე ლუში" მსოფლიოს ჩემპიონთა მინასთან გასწორებას ზეიმობდა - 4:0.

**პაულუ ბენტუმ** და **ვისენტე დელ ბოსკემ** თითქოს ერთნაირი ტაქტიკური სქემით ათამაშეს გუნდები - 4-3-3. თუმცა მსოფლიოს ჩემპიონებმა ნაკლებად შემტევი შემადგენლობა დააყენეს, საკმარისია აღინიშნოს, რომ ნამდვილი ფორვარდი შემტევი ტრიოდან მხოლოდ **დავიდ ვილია** იყო, რომელსაც ფლანგებიდან **დავიდ სილვა** და **ანდრეს ინიესტა** ეხმარებოდნენ. შუა ხაზში **ჩავი, სერხიო ბუსკეტსი** და **ჩაბი ალონსო** მოქმედებდნენ. მოკლედ, ესპანეთის ნაკრებმა უძლიერესი შემადგენლობით ითამაშა. პორტუგალიაც სამი კაცით უტევდა, ცენტრში **ელდერ პოშტიგა** აქტიურობდა, ფლანგებიდან - **ნანი** და **რონალდო**. ნახევარდაცვის ცენტრში **კარლუშ მარტინში** მოქმედებდა, რომელსაც წლეულს არნახული პროგრესი აქვს, მას **მეირელეში** და **მოუტინიო** ეხმარებოდნენ. ყველას აინტერესებდა, როგორ გადაწყვეტდა მარცხენა მცველის პრობლემას ბენტუ, მან მარჯვენა მცველი **ბოსინგვა** გადაიყვანა საპირისპირო ფლანგზე, მარჯვნივ კი **პერეირამ** ითამაშა.

თამაში ნანის „ჩხვლეტით" დაიწყო, მაგრამ ნელ-ნელა ესპანელმა ნახევარმცველებმა შეძლეს ბურთის გაკონტროლება, გააქტიურდა ინიესტა, სტუმრებმა ტემპსაც უმატეს და პორტუგალიას უკან დაახევინეს. ამან მასპინძლებს უკეთესი სამსახური გაუწია - ახლა მათი კოზირი სწრაფი კონტრშეტევები იყო, როცა გუნდში ნანი და კრიშტიანო რონალდო გყავს, ეს უკვე დიდი უპირატესობაა.

ერთი ასეთი კონტრშეტევისას რონალდომ თავზე გადაუგდო ბურთი **კასილიასს**, ნანი ბურთთან ერთად შევიდა კარში, აღმოჩნდა, რომ თამაშგარე პოზიციიდან (ისე, მანჩესტერელს ეპიზოდში „ცხვირი რომ არ ჩაეყო", რონალდოს სუპერგოლი გამოუვიდოდა). ტაიმი მაინც ლუზიტანიელებმა მოიგეს - რონალდოს ჩაწოდებული იკერმა უხეიროდ მოიგერია და 10 მეტრიდან „ფურია როხას" კარი „ბენფიკას" ლიდერმა მარტინშმა აიღო.

მეორე ტაიმში ესპანელებს უარესი დაემართათ - რესტარტიდან სულ რაღაც 4 წუთი იყო გასული, როცა ჟოაუ მოუტინიო ისე გასცდა ესპანელთა მცველებს, თითქოს ისინი ცვილის ფიგურები იყვნენ და არა მსოფლიოს ჩემპიონები, გადააწოდა პოშტიგას, რომლის ლამაზ დარტყმულს მიმართულება **სერხიო რამოსმა** „შეუსწორა".

0:2-ზე „როხა" ისევ ძველებურად ათამაშდა, შეუტია და შეცვლაზე შესული **სესკ ფაბრეგასიც** ახლოს იყო ერთი ბურთის გაქვითვასთან, როცა მასპინძელთა კარში აკრობატულ ნახტომში ურტყამდა, მაგრამ ეს არ იყო ესპანელთა დღე და გოლიც ისევ საპირისპირო კარში გავიდა - პოშტიგამ კი გაიტანა, მაგრამ მთავარი მაინც ამ ეპიზოდში **დანის** ვირტუოზული თამაში იყო. მსაჯის მიერ დამატებულ დროში **უგო ალმეიდამ** მთლად შეარცხვინა მსოფლიოს საუკეთესო გუნდი. აი, ასეთი იბერიული დერბი ვიხილეთ...

ორიოდე სიტყვით რომ დავახასიათოთ მატჩი, ეს იყო პორტუგალიური სისწრაფე, რომელმაც ნამსხვრევებად აქცია ესპანელთა დაცვის ხაზი, რომელსაც ერთი ქართული სიტყვა შეეფერება - უბადრუკი. ეს იყო მატჩი, რომელსაც ამხანაგურს ჭკუადამჯდარი კაცი ვერ უწოდებდა, მუდმივი ქიშპობა მოედანზე, რონალდომ და ბუსკეტსმა ერთმანეთში ლამის იჩხუბეს კიდეც, საშინელი ანტიესპანური განწყობა „დე ლუშზე" და ამ ორ ქვეყანას სურს 2018 წლის მუნდიალის ერთობლივი მასპინძლობა?!

*„ამაზე უარესად თამაში ჩვენ, უბრალოდ, არ შეგვიძლია"*, - ზუსტი სიტყვებია. ერთია მხოლოდ, ნაგებაში მთავარი დამნაშავე ხომ ამ სიტყვების ავტორი დელ ბოსკეა. კარგი რამ თქვა პაულუ ბენტუმაც: *„მოგება, რომელმაც ქულები ვერა, მაგრამ უკეთესი - პრესტიჟი მოგვიტანა"*.



**გამწარებულმა რონალდომ კაპიტნის სამკლავური დააგდო**

ალბათ, იმის მიხვედრას არ უნდა დიდი ჯაფა, თუ რას იტყოდა რონალდო თამაშის შემდეგ. საყოველთაო ზეიმის მიუხედავად, მადეირელი მაინც თავის „გოლს" მისტიროდა: *„ბრმაც კი შენიშნავდა, რომ ეს ნაღდი გოლი იყო, ნახევარი მეტრით შესული კარში, როცა ნანი შეეხო მას. არ ვიცი, რას მივაწერო, მაგრამ ჩემი ყველა ლამაზი გოლი ნაკრების მაისურით მსაჯებმა არ ჩათვალეს"* - რონალდოს ვეთანხმებით, „გოლი" მართლაც დიდებული იყო, მაგრამ ისევ თავის თანაგუნდელ ნანის დააბრალოს, რომ არ ჩაუთვალეს...

სხვათა შორის, ნანიმ აღიარა, რომ მისი ბრალია ყველაფერი: *„თამაშის მერე მივედი და მოვუბოდიშე რონალდოს, რომელსაც ძალიან დიდი ტრავმა მიაყენა, ამ გოლის არჩათვლამ. არ ვიცოდი, რომ თამაშგარეში ვიყავი, თორემ ბურთს ახლოსაც არ მივეკარებოდი"*.

სამწვრთნელო ცვლილება

# ხავიერ აგირე, სარაგოსას ახალი მხსნელი



**ხავიერ აგირე**

ესპანურ პრიმერაში კიდევ ერთი სამწვრთნელო ცვლილება მოხდა - „სარაგოსას" თავკაც **ხოსე აურელიო გაის** კარზე მიუთითეს და მის ნაცვლად ცნობილი მექსიკელი სპეციალისტი **ხავიერ აგირე** დანიშნეს. აგირე უკვე გუშინ ჩავიდა ესპანეთში. მექსიკელი იმ დღესვე ფეხბურთელებს გაეცნო, დღეიდან კი არაგონელებს „ხეტაფესთან" მატჩისთვის მოამზადებს. აგირესთან შეთანხმება ასეთია - ის სეზონის ბოლომდე მუშაობს არაგონის დედაქალაქში, თუ გუნდი პრიმერაში ადგილს შეინარჩუნებს, ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება ერთი წლით. შეგახსენებთ, რომ „სარაგოსას" საშინელი სტარტი აქვს - 11 ტურია გასული და არაგონელები 7 ქულით პრიმერას ცხრილის ფსკერზე არიან.

გაი „სარაგოსას" პრესკონფერენციით დაემშვიდობა, სადაც ან უკვე ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა აღნიშნა, რომ კარგად ესმის კლუბის ხელმძღვანელების: *„ძალიან მსურდა მუშაობის გაგრძელება, თამაშების მოგება. 11-თვიანი ასრულებული ოცნება დასრულდა, მაგრამ ძალიან დიდი გამოცდილებაც მივიღე. ვერაფერს გავაწყობ, მე ხომ ხელმძღვანელებმა არ მომხსნეს, არამედ იმ შედეგებმა, ჩემი გუნდი რომ აჩვენებდა. გასამართლებლად მხოლოდ ერთს ვიტყვი, კლუბს არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ სათანადო დონის ფეხბურთელები შეიძინოს"*.

ალბათ არავის სჭირდება შეხსენება, რომ აგირე ბოლოს მექსიკის ნაკრებს წვრთნიდა მუნდიალზე. 51 წლის სპეციალისტმა 2009 წლის აპრილში ჩაიბარა ნაკრები, რომელიც საბოლოოდ მუნდიალის მერვედფინალში 1:3 დამარცხდა არგენტინის ნაკრებთან. აგირეს ნაკრებში მუშაობისას ბევრი კრიტიკოსი ჰყავდა, მას **რაიმონ დომენეკის** შემდეგ მუნდიალის ყველაზე ცუდი მწვრთნელიც კი უწოდეს. ნაკრებამდე ბასკური გვარის მექსიკელი 7 წლის განმავლობაში მუშაობდა ესპანეთში, ჯერ „ოსასუნაში", შემდეგ კი მადრიდის „ატლეტიკოში". ასე რომ, ესპანური პრიმერა მისთვის უცხო ხილი კი არა, საკმაოდ მშობლიური პირველობაა.

ამბები

## დანი ალვეში მიდის

თითქმის გადაწყვეტილია - **დანი ალვეში** არ დარჩება „ბარსელონაში", ბრაზილიელი ფეხბურთელის აგენტისა და კლუბის მოლაპარაკება ჩიხში შევიდა. კატალონიელებმა თითქმის ყველა მოწინავე ფეხბურთელს გაუხანგრძლივეს კონტრაქტები, მაგრამ დანი ალვეშის ხელშეკრულებას საშველი ვერ დაადგა.

**სანდრო როსელმა** ალვეშის აგენტი უარით გაისტუმრა, როცა ბრაზილიელის მოთხოვნას ხელფასის გაზრდის შესახებ გაეცნო. „ბარსელონას" ურჩევნია ალვეში იანვრის სატრანსფერო ბაზარზე გაყიდოს, ვიდრე ხელშეკრულების გასვლას დაელოდოს და უნიჭიერესი მარჯვენა მცველი სულ არაფრად დაკარგოს.

27 წლის დანი ალვეშს კლუბთან ხელშეკრულება კიდევ წელინად-ნახევარი აქვს, მერე კი 2008 წელს „სევილიასგან" 32 მილიონ ევროდ ნაყიდი ბრაზილიელი ბოსმანის წესით დატოვებს კლუბს. ალვეშის შეძენა „მანჩესტერ სიტის" და „ჩელსის" სურთ.

## რა უნდოდა ყატარში ზიდანს?

მადრიდის „რეალმა" ყატარის დედაქალაქში არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრებთა შეხვედრაზე **ზინედინ ზიდანი** და **აიტორ კარანკა** მიავლინა. ოფიციალურად მოურინიოს თანაშემწე კარანკა იქ „რეალის" ფეხბურთელების **გონსალო იგუაინისა** და **ანხელ დი მარიას** თამაშს აკვირდებოდა, ხოლო **ფლორენტინო პერესის** მრჩეველი ზიდანი ყატარის ელჩია 2022 წლის მუნდიალის მასპინძლობის კამპანიაში. ზიდანი **ალექს ფერგიუსონის, რონალდ დე ბურის, მარიო კემპესისა** და **ოსვალდო არდილესის** გვერდით იჯდა ტრიბუნებზე. ესპანური მედია „რეალის" ბასკი და ფრანგი „მსტოვრების" მიზნად **ხავიერ პასტორეს** თამაშის დაზვერვას ასახელებს. ხავიერ პასტორემ ამას წინათ აღნიშნა, რომ მან, შესაძლოა, 70 მილიონი ევროს სანაცვლოდ „პალერმო" დატოვოს.

## კლასიკო გონსალესს ანდვეს

სამსაჯო კარიერაში მესამედ „ელ-კლასიკოს" ცნობილი ესპანელი არბიტრი **იტურალდე გონსალესი** განსჯის. 29 ნოემბერს „კამპ ნოუზე" ესპანურ დერბიში „ბარსელონა" მადრიდის „რეალს" მასპინძლობს. ამ სუპერშეხვედრას გაუძღვება ბასკი, რომლის მსაჯობაც კატალონიელებს კარგად აქვთ დაცდილი - 1998/99 წლების სეზონში „კამპ ნოუზე" „ბარსელონამ" 3:0 გაანადგურა მეტოქე, 2005/06 წლების სეზონში კი კატალონიელებმა ამავე ანგარიშით სულაც „სანტიაგო ბერნაბეუზე" გაიმარჯვეს. იტურალდეს პირველი „კლასიკო" გამორჩეული იმით იყო, რომ უკვე მე-20 წუთზე **ლუიშ ფიგუსთან** უხეშობისთვის მოედნიდან რობერტო კარლოსი გააძევა. მეორე თამაში კი რონალდინიოს ბენეფისად იქცა, პირველად „კლასიკოს" ისტორიაში „ბერნაბეუს" ტრიბუნებმა ოვაციებით დააჯილდოეს ბარსელონელი ფეხბურთელი. მიღწევა, რომელსაც ალბათ ველარავინ გაიმეორებს.

## ფული არ გვინდა, გვინდა ლორენტე...

იანვრის სატრანსფერო სეზონი ახლოვდება, ესპანეთში კი ყველაზე მეტს **ფერნანდო ლორენტეს** შესაძლო ტრანსფერზე საუბრობენ. ბასკ ფორვარდს ლამის ყველა ევროპული გრანდი ეპატიჟება, მაგრამ „ატლეტიკის" ხელმძღვანელობა მის გაშვებას სულაც არ აპირებს. პოტენციურ მყიდველებს ჰგონიათ, რომ ამით ბილბაოელები ლორენტეს ფასს მაღლა სწევენ, არადა, სულ სხვა აზრისაა „ატლეტიკის" პრეზიდენტი **ფერნანდო გარსია მაკუა**: *„არ მჭირდება ფული, მჭირდება ლორენტე"*. თუკი ადრე 30-40 მილიონ ევროზე მიდიოდა ლაპარაკი, „მარკას" თანახმად, ლორენტეს ფასი გაორმაგდა, ახლა ის 63 მილიონი ევრო ღირს.

## დე ხეა ალბიონზე მაინც მიდის

„მანჩესტერ იუნაიტედი" ძალიან ახლოსაა მადრიდის „ატლეტიკოს" 20 წლის გოლკიპერ **დავიდ დე ხეას** შეძენასთან. „თაიმსის" ინფორმაციით, დე ხეა მანკუნიანელებს 17,5 მილიონი ევრო დაუჯდებათ. კლუბები უკვე შეთანხმდნენ ძირითად საკითხებზე, თუმცა ჯერ უცნობია, როდის გადავა დე ხეა მანჩესტერში სეზონის ბოლოს თუ იანვარში. „იუნაიტედის" ხელმძღვანელობას ესპანელი 40 წლის **ედვინ ვან დერ სარის** მემკვიდრედ ესახება.

## ორი დერბი მერვედფინალში

გაიმართა „სამეფო თასის" მერვედფინალური ეტაპის კენჭისყრა. პირველი მატჩები 22 დეკემბერს გაიმართება, ხოლო საპასუხო შეხვედრები უკვე 2011 წელს, 5 იანვარს. განსაკუთრებით საინტერესო იქნება „ბარსელონასა" და ბილბაოს „ატლეტიკის" დაპირისპირება. გაიმართება ორი დერბი, ვალენსიური (ვალენსია-ვილიარეალი) და ანდალუსიური (სევილია-მალაგა). გუნდები ასე დაწყვილდნენ:

ვალენსია-ვილიარეალი
ატლეტიკო-ესპანიოლი
რეალი-ლევანტე
სევილია-მალაგა
ალმერია-მალიორკა
ბეტისი-ხეტაფე
კორდობა-დეპორტივო
ბარსელონა-ბილბაო

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

● მწვრთნელი



ალექს ფერგიუსონი

# სერ ალექსი: მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ

„მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარულმა მწვრთნელმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** განაცხადა, რომ საქმისთვის თავის დანებება მისთვის ჯერ ძალიან ადრეა, რადგან საამისოდ ახალგაზრდაა და სანამ ჯანმრთელობა საშუალებას მისცემს კლუბში დარჩება. შეგახსენებთ, რომ იმ 24 წლის განმავლობაში, რაც „მანჩესტერ იუნაიტედს" სათავეში უდგას, ფერგიუსონმა რამდენჯერმე თქვა, რომ მწვრთნელობას თავს ანებებს, მაგრამ მერე გადაწყვეტილება შეცვალა. ერთხელ ასეც კი იხუმრა, სახლში რა ვაკეთო, ცოლს ლოტოს ხომ არ ვეთამაშებიო.

სამი წლის წინ, როდესაც ფერგის „იუნაიტედიდან" წასვლაზე ერთხელაც ჩამოვარდა ლაპარაკი, მან ახალი ვადა დათქვა: გუნდში ოთხ სეზონსაც დავრჩები და პენსიაში მერე გავალო. დღეს, როდესაც თავისივე დათქმული ვადა იწურება, სერ ალექსი ახალი ძალების მოზღვავებას გრძნობს:

„სამსახურიდან წასვლა ახალგაზრდების საქმეა. მოხუცებულობაში სამუშაო თუ დატოვე, სადღა მოეწყობი? ჰოდა, სანამ ჯანმრთელობა ხელს შემიწყობს, „მანჩესტერ იუნაიტედში" ვიქნები. როგორ ფიქრობთ, ახლა რომ გავჩერდე, რა დამემართება? რასაკვირველია, უკან და უკან წავალ".

ფერგიუსონს შეახსენეს, რომ სამი წლის წინ პენსიაში გასვლის თარიღად 2011 წელი ახსენა, რაზეც სქოთმა უპასუხა: „კვლავ გადავიფიქრე. ფენომენური კაცი ვარ, „მანჩესტერ იუნაიტედს" 24 წელიწადია სათავეში ვუდგავარ. გუნდის შექმნა ყველას შეუძლია. მოკლე დროისთვის ეს ძალიან კარგია, მაგრამ მთელი კლუბის შექმნა სულ სხვა საქმეა და ვფიქრობ, ეს ყველა მწვრთნელმა უნდა დაისახოს მიზნად. ყველაფრის აგებას, საძირკვლიდან სახურავამდე – აი, რას აქვს გემო!"

**ილია ბაბუნაშვილი**

● ახალწვეული

# ჯერ სად ხართ!

**კრისტიან პოულსენი** დაბეჯითებით აცხადებს, რომ „ლივერპულში" მისი შესაძლებლობები ჯერ კიდევ არ იციან. შეგახსენებთ, რომ დანიელი ნახევარმცველი „წითლებს" გასულ ზაფხულს „იუვენტუსიდან" 4,5 მილიონ ფუნტად შეუერთდა, მაგრამ ახალ გუნდს თავისი ხელი და ოსტატობა ვერ დაატყო. თავად მერსისაიდელთა მწვრთნელმა **როი ჰოჯსონმაც** კი არ დამალა და პირდაპირ განაცხადა, რომ პოულსენმა „ენფილდზე" კარიერა უხეიროდ დაიწყო. გაზეთ „მიორორისთვის" მიცემულ ინტერვიუში პოულსენმა თქვა:

„მერსისაიდელ ფანებს ჩემი კარგი თამაში ჯერ არ უნახავთ. აქ, ჩვენთან ყველაფერი ახალია: მეპატრონე, მწვრთნელი, მისი ასისტენტები... ასეთ დროს საკუთარი თავის პოვნას დრო სჭირდება. რამდენიმე მნიშვნელოვანი თამაში უკვე მოვიგეთ და ვფიქრობ, ახალი გამარჯვებები ჯერ კიდევ წინ გვაქვს. მართლა ძალიან მინდა, „ლივერპულის" მნიშვნელოვანი ნაწილი რომ გავხდე".

ამის შემდეგ 30 წლის დანიელმა დასძინა, რომ კრიტიკის მიუხედავად, „იუვენტუსიდან" „ლივერპულში" გადასვლას არ ნანობს:

„ტურინში დიდი გამოცდილება შევიძინე და იქ გატარებულ დროს დადებითად ვაფასებ, მაგრამ აშკარა იყო აგრეთვე, რომ იქიდან უნდა წავსულიყავი კიდეც და როგორც კი „ლივერპულმა" კონტრაქტი შემომთავაზა, მივხვდი, რომ უარი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მეთქვა. ყოველ დღე, როდესაც ჩემი მანქანით „მილვუდის" ბაზის ალაყაფში შევდივარ, საკუთარ თავს ვეუბნები, რომ უდიდესი კლუბის წევრი გავხდი. კარგად ვიცოდი, სადაც მოვდიოდი და აქ დიდი კონკურენცია რომ დამხვდებოდა. რასაკვირველია, სეზონის დასაწყისი კარგი არ გამოვიდა და კრიტიკის ობიექტებადაც ამიტომ ვიქეცით, მაგრამ „ლივერპულში" თავს ბედნიერად ვგრძნობ".

**ილია ბაბუნაშვილი**


კრისტიან პოულსენი (შუაში)

# ვილიარეალიდან ვილაში

**რობერ პირესმა** "ასტონ ვილასთან" ნახევარწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 37 წლის ფრანგმა ნახევარმცველმა ესპანური "ვილიარეალი" ზაფხულში დატოვა და მას შემდეგ ლონდონის "არსენალში" ვარჯიშობდა. შეგახსენებთ, მეთოფეთა ღირსებას იგი 2000-2006 წლებში იცავდა, "ვილარეალში" კი ამის შემდეგ ოთხი წელიწადი გაატარა. საფრანგეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში პორტუგალიური წარმოშობის პირესმა 74 მატჩი ჩაატარა და 14 გოლი გაიტანა. "სამფეროვნებთან" ერთად იგი სათადარიგო ფეხბურთელის სტატუსით მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონიც გახდა.

# მანჩესტერი დანიელს იფორმებს

დანიური "ოლესუნდის" პრეზიდენტი **ბიარნე ჰააგენსენი** აცხადებს, რომ "მანიუ" დღე-დღეზე კონტრაქტს გაუფორმებს მისი კლუბის მეკარე **ანდერს ლინდეგაარდს**. ეს უკანასკნელი თავის აგენტთან მანჩესტერში იმყოფება და "იუნაიტედის" ხელმძღვანელობასთან ხელშეკრულების დეტალებს აზუსტებს. 26 წლის ლინდეგაარდის სატრანსფერო ღირებულება 3,5 მილიონ ევროს შეადგენს. დანიის ეროვნულ ნაკრებში მას 4 მატჩი აქვს ჩატარებული. მანჩესტერი მას მთელი წელი აკვირდება და საბოლოოდ **სერ ალექს ფერგიუსონმა** ლინდეგაარდის აყვანა გადაწყვიტა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

INTERNATIONAL BUDO SPORT FEDERATION OF GEORGIA

საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა საერთაშორისო სპორტული ფედერაცია
IBSF GEORGIA

ნებისმიერი ორთაბრძოლისა თუ სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენელს, სქესისა და ასაკის განურჩევლად გთავაზობთ მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე დაყრდნობილი სპეციალური სისტემით ვარჯიშს, რომელიც, დროის უმოკლეს პერიოდში გარანტირებულად აგიმაღლებთ ფიზიკურ-ფუნქციონალურ მაჩვენებლებსა და გამოგიმუშავებთ განსაკუთრებულ ძალასა და გამძლეობას!

საწვრთნელი პროცესი მიმდინარეობს ინდივიდუალურ რეჟიმში და იგი უფასოა!!!

მეცადინეობებს ჩაგიტარებენ მსოფლიო და სხვა საერთაშორისო პრესტიჟულ ჩემპიონატებზე მრავალგზის გამარჯვებულ სპორტსმენთა აღმზრდელი მასწავლებლები!

ვარჯიშები მიმდინარეობს "ლაგუნა-ვერე"-ს ტრენაჟორების დარბაზში
სამშაბათობით და ხუთშაბათობით 18:00-20:00 სთ პერიოდებში, დაგვიკავშირდით: 899 584859

ჩვენთან ვარჯიშით, სპორტის სხვადასხვა სახეობათა წარმომადგენლებს, მაგალითად: ფეხბურთელებს, რაგბისტებს, კალათბურთელებს, ძიუდოისტებს, მოკრივეებს, რეალური საშუალება გექლევათ მიაღწიოთ ფიზიკურ-ფუნქციონალურ მაჩვენებელთა განსაკუთრებულ მაღალ დონეს! მათ შორის, ფეხბურთელებს, იანვრის სატრანსფერო სეზონს შეხვდეთ იდეალურ ფორმაში!!!

საბრძოლო ხელოვნებათა წარმომადგენლებს რეალური პერსპექტივა გექმნებათ გაწევ-რიანდეთ პროფესიულ ორთაბრძოლათა საერთაშორისო ლიგა INTER-FIGHT-ში, რაც, თავის მხრივ შეგიქმნით შესაბამის პირობებს საერთაშორისო პროფესიულ არენაზე ღირსეული გამოსვლის მიმართულებით!











სპორტ-კომპლექსი „ლაგუნა-ვერე"




შეგასწავლით კარატეს უფასოდ!!!
ნებისმიერი თქვენთაგანი ოფიციალურად გაწევრიანდება საბრძოლო ხელოვნებათა საერთაშორისო ფედერაციაში და შესაბამისად, მასზე გაიცემა ინდივიდუალური საერთაშორისო ბუდო-პასპორტი!!!
მობ: 899 584859

侍




www.geofight.ge E-mail: geo.fight@yahoo.com მობ: 899 58 48 59

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

### ქალები ქართულ სპორტში



თაკო ქველიძე (მარჯვნივ) ბურთისთვის ბრძოლაში

# ჭირის დღენი ქალთა ფეხბურთში

ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნები ქალთა ფეხბურთის წინსვლისთვის ძალ-ღონესა არ იშურებენ. უეფას მოთხოვნით, ქვეყნებს, სურთ თუ არა, აუცილებლად უნდა ჰყავდეთ ქალთა ნაკრებები. საქართველოც მათ შორისაა, უამრავი პრობლემითა და სავალალო შედეგებით.

დღევანდელი რუბრიკის სტუმარი საქართველოს ფეხბურთელ ქალთა ნაკრების ცენტრალური მცველი **თაკო ქველიძე** და მარჯვენა ნახევრმცველი **თამთა მალიძე** არიან. გთავაზობთ ფრაგმენტებს მათთან საუბრიდან.

"ფეხბურთს ქუჩაში ბიჭებთან ერთად ვთამაშობდი. 12 წლისას ქალთა ფეხბურთის მწვრთნელმა ნანა შუბითიძემ მითხრა ქვაფენილზე თამაშსა და მუხლების დაზიანებას, გირჩევ "Fox Kids"-ის ტურნირში მიიღე მონაწილეობაო. 8 წელია ფეხბურთს პროფესიულ დონეზე ვთამაშობ", - გვითხრა თაკომ.

მეც ქუჩაში ვისწავლე ფეხბურთის თამაში, - ეს უკვე თამთაა. ხაშურიდან ვარ. 2 წელიწადია თბილისში გადმოვედი რომ დიდი ფეხბურთი ვითამაშო. "Fox Kids"-ის ტურნირში გამარჯვების შემდეგ ჩემი გუნდი ჰოლანდიაში გაემგზავრა... მოგვიანებით ეროვნულ ნაკრებშიც მოვხვდი".

## გოგონათა ვარჯიშები

თაკო ქველიძე: "ჩვენი პირველი მწვრთნელი მაია ჯაფარიძე იყო. ვისთან როგორ ემუშავა, მშვენივრად იცოდა. ნაკრებს მამუკა სვანაძე და აჩიკო ჩხაბერიძე ხელმძღვანელობენ და სამწვრთნელო პროცესს ჩინებულად ატარებენ. ნაკრები საშუალო დატვირთვით ვარჯიშობს, რადგან სეზონი უკვე დავასრულეთ. მთავარია, არ მოვდუნდეთ და ტექნიკაში ხარვეზები გამოვასწოროთ. მოედანზე დაახლოებით 2 საათს ვატარებთ. საღამოს მოთელვითი ვარჯიშია, ეს უკვე ინდივიდუალურად, სურვილისამებრ".

## ლეგიონერები

ოფიციალურად საქართველოში 200 ფეხბურთელი გოგონაა დარეგისტრირებული. თბილისში ერთი გუნდი ვარჯიშობს. ეროვნული ნაკრების ძირითად ბირთვსაც ეს შემადგენლობა ავსებს. მოსამზადებელ პერიოდს 20-22 გოგონა გადის. ნაკრებში 5 ლეგიონერია, მათგან 4 თურქეთში თამაშობს, ერთიც ყაზახეთში. მათ მსგავსად სხვებსაც სურთ საზღვარგარეთ თამაში.

## ზვავად ქცეული პრობლემები

ქალთა ფეხბურთის ქართული რეალობა არასახარბიელოა. ყველას კარგად გვახსოვს 17-წლამდელთა ნაკრების მიერ ერთ შეხვედრაში საკუთარ კარში მიღებული 27 გოლით გამოწვეული სირცხვილი. "ჩვენი და ევროპის შედარება არ შეიძლება. მათ საკუთარი საფეხბურთო მოედნები, საოცარი ინფრასტრუქტურა, ეკიპირება და ყველა პირობა აქვთ, რაც წინსვლისა და სრულფასოვანი ფეხბურთისთვისაა საჭირო. არ ვითხოვთ საკუთარ მოედნებს. რაც არის არის, მთავარია, გვქონდეს ხარისხიანი ფორმები, ბუცები, რომ მოედანზე თავი ფეხბურთელად ვიგრძნოთ. იყო პერიოდი სამი ზომით დიდი მაისურები გვეცვა. გვრცხვენოდა, რომ ვვარჯიშობდით.

პრობლემები თოვლის გუნდას ჰგავს. გროვდება და საბოლოოდ ზვავსაც წარმოქმნის. სამარცხვინო წაგებები კი ამის შედეგია", - დანანებით დასძინეს გოგონებმა.

## SOS!

რა გასაკვირია, ქალთა ფეხბურთშიც თუ აისახება ქართულ ფეხბურთში არსებული მდგომარეობა. გოგონები ფიქრობენ რომ: "ჩვენი გასაჭირი ფეხბურთის ფედერაციამ თუ გაითავისა და შესაბამისი მხარდაჭერაც გაგვიწია, შედეგი გვექნება. ქალთა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ქალბატონი ნინო სორდია გვერდით გვიდგას. მოედანზე არ თამაშობს, თორემ მთელი არსებით ჩვენ გვერდითაა. სამწუხაროდ, ახალი თაობა არ მოდის. ჩვენ კი ყოველთვის ვერ ვითამაშებთ".

## განვლილი სეზონი

გოგონებმა ახლახან მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის შესარჩევი ციკლი დაასრულეს. სამწუხაროდ, არასახარბიელო შედეგი აჩვენეს. წინ კი ევროპაა. "მსოფლიოს შესარჩევზე ბულგარეთს, საბერძნეთს, დანიასა და შოტლანდიას დავუპირისპირდით. შესარჩევის შეხვედრებში ცუდი შედეგები გვქონდა, თუმცა ბოლო მატჩში ბულგარეთთან 1:1 ვითამაშეთ. დღეს ევროპის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრაა და ჩვენი მეტოქეებიც გამოვლინდებიან. ვისურვებდით მაკედონიის, ბულგარეთის, ლიტვისა და შოტლანდიის ნაკრებებს შევხვდეთ".

## შემოგვიერთდი!!!

ვინაიდან მსოფლიოს საფეხბურთო ორგანოები ქვეყნებს ქალთა ფეხბურთის პოპულარიზაციას სთხოვენ, წინსვლისათვის ქართველებსაც შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა გვმართებს. "უმთავრესი მიზანი თაობათა ცვლის პროცესია. დროებით შეწყვეტილი 17-წლამდელთა ნაკრების აღდგენას შესაბამისი ასაკის ბავშვების მოძიება სჭირდება. პრობლემების მიუხედავად სასურველი შედეგის მიღებას ვცდილობთ. ამისათვის გეგმის მიხედვით მუშაობაა საჭირო და შედეგიც აუცილებლად გვექნება".

**სალომე ხარატიშვილი**

***P.S.* *"ლელოს" რედაქციის თაოსნობითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის უშუალო ფინანსური მხარდაჭერით, გასულ თვეში ქალთა ფეხბურთის დასახმარებლად ჩატარდა სპორტულ ჟურნალისტ გოგონათა მინი ტურნირი ფეხბურთში. ტურნირის მიზანი მასობრივი ფეხბურთის პოპულარიზაცია ერთ სიტყვაში გამოვხატეთ - შემოგვიერთდი!!!***

### ძიუდო. საქართველოს ჩემპიონატი

# ჩემპიონატი დამშვიდდა

## ძიუდოს მესვეურნი პირობას ასრულებენ: დისციპლინა მყარდება

არ გვინდა, ძიუდოს ფედერაციისა თუ ეროვნული ნაკრების თავკაცთა ქება პათეტიკაში ჩამოგვერთვას - ამ ბოლოს ისედაც ხშირად გვიწევს მათზე ალმატებულ ხარისხში წერა, მაგრამ ქართულ ძიუდოში მომხდარი დადებითი ძვრები და ტენდენციები ოპტიმიზმით გვავსებს. ამდენი დაპირისპირების, ქაოსისა თუ ქრონიკული წარუმატებლობების შემდეგ, როგორც იქნა, გვირაბის ბოლოს შუქი გამოჩნდა და რა გასაკვირია, ჩვენც თუ გვიხარია, როგორც ქართული სპორტის, ქართული ძიუდოს ქომაგებს. თბილისის სპორტის სასახლეში გუშინ დაწყებული საქართველოს ვაჟთა პირველობაც ამ პოზიტიური ძვრების ერთ-ერთი გამოვლინებაა. ადრეც ვწერდით, რომ ეს ჩემპიონატი ქართული ძიუდოს ახალი მესვეურებისთვის საჯილდაო ქვად იქცეოდა - აქ უნდა დამტკიცებულიყო, დაიცავდნენ თუ არა თავიანთ პრინციპულ პოზიციას და დაამყარებდნენ წესრიგს ძიუდოში. დღეს რა მოხდება ტურნირზე, ღმერთმა უწყის დ ვისურვოთ, ყველაფერი კვლავაც წყნარად ჩატარდეს, მაგრამ გუშინ ნანახით შეიძლება ითქვას, რომ გამოცდა წარმატებით ჩააბარეს. ცხადია, სპორტული მხარე კვლავაც ტოვებს უკეთესის სურვილს, მაგრამ ჭიდაობების შედარებით დაბალი ხარისხი სეზონის ბოლოს არცაა გასაკვირი - ჯერ არ არიან ფორმაში, სხვა მხრივ კი ასეთი მშვიდი პირველობა კარგა ხანია, არ გვინახავს. ეტყობა, გაჭრა წინასწარმა მუქარამ შფოთისთავებისადმი, რომ მკაცრად აგებდნენ პასუხს - გუშინ სასახლეში მხოლოდ ერთხელ მოხდა პატარა ინციდენტი, ისიც ტრიბუნაზე, მაგრამ მალევე აღკვეთეს. ყოველ შემთხვევაში, ამჯერად ნამდვილად არ ყოფილა ადრინდელივით ქუჩური ჩხუბი, აყალ-მაყალი, საქმის გარჩევა, იარაღის ტრიალი, მსაჯებსა თუ კონკურენტებზე გაქაჩვა...

ვევს, მაგრამ ადრინდელთან შედარებით ამ მხრივ ბევრად უკეთესი ვითარება იყო. ასეა - დისციპლინა რომ ყველაფრის თავი და თავია, საყოველთაო ჭეშმარიტებაა, ხოლო თუ მოვინდომებთ, ბევრი წარმატების მიღწევაა შესაძლებელი.

ჩემპიონატი ორგანიზაციულადაც ნორმალურად მიმდინარეობს - მართალია, სპორტის სასახლე უკვე ველარ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, მაგრამ ამაზე უკეთესი ბაზა სადღეისოდ არ გვაქვს და რაკილა წესრიგს იცავენ, შეჯიბრებაც ცივილურად ტარდება. გუშინდელი დღის მთავარ მოულოდნელობად მაყურებლის ინტერესი მიმაჩნია - ცხადია, სასახლე არ გავსებულა, მაგრამ სამუშაო დღის კვალობაზე მაინც ბლომად ხალხი მივიდა. იმედია, დღეს კიდევ უფრო მეტი გულშემატკივარი იქნება, რადგან უფრო ძლიერი წონებია დარჩენილი. შეჯიბრება კვლავაც 11 საათზე დაიწყება, ფინალები - 17-ზე. მათი ნახვა ისევ საზოგადოებრივ მაუწყებელზე შეგიძლიათ პირდაპირ ეთერში, ტურნირზე დასწრება კი უფასოა.

### 60 კგ.

ახლა, როცა ამ წონის ფინალში ძველი კადრები ვიხილეთ, კიდევ უფრო გულდასაწყვეტია **ამირან პაპინაშვილის** ტრავმა! ახალი არც ისაა, მაგრამ კაცმა არ იცის, ფინალში რა მოხდებოდა. შარშან მისი და ასუმბანის პაექრობა საინტერესოდ წარიმართა - საქართველოს ჩემპიონატზე შუკვანმა მოუგო, ასუმბანმა კი რევანში ბრწყინვალე იპონით თბილისის მსოფლიოს თასზე აუღო. ასუმბანმა ამჯერად ფინალამდე გამართული ოთხი შეხვედრიდან სამში წმინდად იმარჯვა, რაც კარგად მიგვანიშნებს მის მომზადებაზე, მაგრამ ფიზიკურად ჯერ კიდევ უნდა მოუმატოს.

მშობლიურ წონაში წლეულს დაბრუნებული მერებაშვილი იმ აკრძალული ილეთისთვის შეჯიბრებიდან მოხსნეს და ვერც ბრინჯაოსთვის იჭიდავა. ბევრს აინტერესებდა, 20 და 23-წლიანთა შორის ევროპის შარშანდელი ჩემპიონი დაძლევდა თუ არა ჩავარდნას და დაიბრუნებდა ძველ ადგილს... სიმართლე გითხრათ, მისგან მეტს ველოდებოდით. თითქოს ურიგოდ არ უჭიდავია, მაგრამ ეს მაინც ვერ იყო ძველებური მერებაშვილი. მან ორი შეხვედრა მსაჯთა გადაწყვეტილებით მოიგო, თუმცა ორივე შემთხვევაში ანგარიშგასაწევ ფალავნებთან - **სოსო ნიჟარაძესა** და ახალგაზრდებში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორ **გიორგი ბროლაშვილთან**, იპონით კი მხოლოდ **გიორგი კაციას** მოუგო. მისმა დისკვალიფიკაციამ **ვაჟა მარგველაშვილს** გაუხსნა გზა ბრინჯაოსკენ, იმავე ხარისხის მეორე მედალი



მსაჯობა ვახსენეთ და ერთი ნიშანდობლივი ფაქტი: ტურნირის დამთავრების შემდეგ ნაკრების თავკაც **სოსო ლიპარტელიანს** კომენტარისთვის მივაკითხეთ. ამ დროს მასთან ერთი საერთაშორისო კატეგორიის ახალგაზრდა მსაჯი მივიდა და მადლობა გადაუხადა, ჩვენზე ზეწოლა არ ხდებოდა და თავისუფლად ვმსაჯობდითო... ცხადია, უნაკლო მსაჯობა არ ყოფილა და ერთიორი შეხვედრის შედეგი სინანულს იწროტერდამის დიდი პრიზის მოგებით მის კარიერაში ახალი ეტაპის დაწყების იმედი გაგვიჩნდა. საინტერესოა, ჩაერეოდა თუ არა ის ლიდერთა დავაში, ან გააგრძელებს თუ არა პროგრესს ლოგიკურად, თუ ჰოლანდიური ოქრო რიგითი გამონათება იქნება;

ვიდრე ის ტრავმებს იშუშებს, მანამდე ჰეგემონობისთვის ქვემოქართლელების - **დავით ასუმბანისა** და **ბეთქილ შუკვანის** პაექრობა გრძელდება. თუმცა რალა პაექრობა - შუკვანი ჩემპიონატში ისედაც ტრავმირებული ხელით ჩაება და წინასწარ შეხვედრებში რამდენჯერმე ექიმთა ჩარევაც დასჭირდა, ნახევარფინალში კი **პაატა მერებაშვილმა** აკრძალული ხერხით ხელი ისე ატკინა, ფინალში ველარ იჭიდავა. იმედია, ტრავმა არაა იმდენად სერიოზული, მის სამომავლო კარიერას საფრთხე შეუქმნას. შუკვანი ახლაც ჩვეულებისამებრ ძლიერად ჭიდაობდა - ნახევარფინალამდე გამართული სამივე შეხვედრა წმინდად მოიგო (მესამე წრეში **ტრისტან ფეიქრიშვილს** ვაზარი ამოუქაჩა) და კი ფეიქრიშვილმა მოიპოვა. საამისოდ მან პირწმინდად დაჩაგრა **ვალერი ლაფერაშვილი** - იუკოებს ბოლოს ვაზარიც მიაყოლა. ფეიქრიშვილიც ქებას იმსახურებს, რადგან ახლებიდან ყველაზე გამორჩეულად იჭიდავა.

**1. დავით ასუმბანი (ქვემო ქართლი), 2. ბეთქილ შუკვანი (ქვემო ქართლი), 3. ვაჟა მარგველაშვილი (შიდა ქართლი), ტრისტან ფეიქრიშვილი (თბილისი).**

### 66 კგ.

ამ წონაში მეტ-ნაკლებად ახალი კადრი **გიორგი შოშიაშვილია**, თუმცა მას უფრო დავიწყებული ძველი ეთქმის - ევროპის ბავშვთა ოლიმპიური ფესტივალისა და ახალგაზრდებს შორის ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი კარგა ხანს ვერ ახერხებდა უფროსებში თავის დამკვიდრებას. რამდენად ლოგიკურია მისი ამჟამინდელი წარმატება, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

>> მე-11 გვერდზე

ძიუდო. საქართველოს ჩემპიონატი

# ჩემპიონატი დამშვიდდა

« მე-10 გვერდიდან

აქ იმდენად სერიოზული საკადრო პრობლემებია, ახალი სახეების გამოჩენას ნაკლებად ელოდნენ და მოულოდნელობა არც მომხდარა. სპეციალისტებსა და ქომაგებს უფრო ის აინტერესებდათ, რამდენად გაამართლებდნენ იმედებს ახალი ტალღის წარმომადგენლები, რომლებიც ანალოგიურ ტურნირებში პერიოდულად ჩნდებიან ხოლმე მედალოსნებში - **შალვა ქარდავა, გიორგი ფერსაშვილი, ალექსანდრე იაკობაშვილი** და სხვები. შედეგებიდან გამომდინარე, სამივემ გაამართლა - მათ მედლები მოიპოვეს. ამათ გარდა, გამოვყოფთ შიდაქართლელ **ზურაბ გუჩმაზოვს** და თბილისელ **ბექა ბერიაშვილს** - უმედლოდ კი დარჩნენ, მაგრამ საკმაოდ დამაიმედებლად იჭიდავეს. ბერიაშვილი ბრინჯაოსთვის შეხვედრაში **ლევან ჩუბინიძეს** ვაზარს უგებდა, მაგრამ გამოცდილებამ თავისი გაიტანა და ჩუბინიძემ სუფთად მოუგო. აი, გუჩმაზოვი დამამშვიდებლის ფინალში ვერაფერს გახდა იაკობაშვილთან, აქაც გამოცდილებამ ითამაშა თავისი როლი - იაკობაშვილმა ჯერ ორი იუკო მიითვალა, მერე კი - იპონიც.

ქარდავამ ძლიერად იასპარეზა, რაც მისგან შიდა პირველობებზე არ გვიკვირს - სახლში, ტრადიციულად, კარგად გამოდის. ღმერთმა ქნას, უცხოეთშიც ასე დამაჯერებლად იჭიდაოს! ჩემპიონმა ქულებით მხოლოდ **მინდია ლილუაშვილს** მოუგო პირველ წრეში, მერე კი **შმაგი ლაგაზაურის, ლაშა ლომიძისა** და ჩუბინიძის ბარიერებს სუფთა გდებებით გადაევლო. ფინალი საკმაოდ უინტერესო გამოდგა, რაც ფსიქოლოგიური ფაქტორით უნდა აიხსნას - გადამწყვეტ შეხვედრებს ხშირად ახასიათებს ხოლმე სიფრთხილე, რადგან მეტოქეები არ რისკავენ. ძირითად დროში მსაჯებმა ფალავნები ორ-ორჯერ გააფრთხილეს, დამატებითში კი ქულა არ გაკეთებულა. საბოლოოდ სამივე მსაჯმა გამარჯვება ქარდავას მიაკუთვნა, რაშიც შედავება ძნელია.

**1. შალვა ქარდავა (რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი), 2. გიორგი შოშიაშვილი (კახეთი), 3. გიორგი ფერსაშვილი (შიდა ქართლი), ალექსანდრე იაკობაშვილი (ქვემო ქართლი).**

**73 კგ.**

გუშინ ეს წონა გამორჩეული აღმოჩნდა. ყველაზე მოულოდნელი და გულდასაწყვეტი შედეგიც აქ ვიხილეთ - **ნუგზარ ტატალაშვილის** ნაადრევი მარცხი; მსაჯთა საეჭვო გადაწყვეტილებებიც ლამის მთლიანად მხოლოდ აქ იყო; ახალი კადრიც ყველაზე მეტად აქ გამოიკვეთა - თბილისელი **ზურაბ ნოზაძე**, მაგრამ ჯერ ჩემპიონ **თენგიზ პაპოშვილზე** ვთქვათ. კახელ ფალავანს ადრეც მოუგია საქართველოს პირველობა და, ქარდავასი არ იყოს, შიდა შეჯიბრებებში კარგი ჭიდაობა არც მისგან გაგვკვირვებია. მან ხუთივე შეხვედრა წმინდად მოიგო და ტატალაშვილიც მანვე დაამარცხა ძალზე დამაჯერებლად - ორი ვაზარით. ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი პრიზიორი და მსოფლიოსა თუ ოლიმპიურ ჩემპიონებთან ტოლ-სწორად მოჭიდავე ტატალაშვილიც კარგად ჩაება ტურნირში, მაგრამ პაპოშვილმა დამაჯერებლად მოუგო - ორი ვაზარის შემდეგ შემთხვევითობაზე და გამართლებაზე ლაპარაკი უადგილოა. მით უფრო, ტატალაშვილმა მერე დამამშვიდებელშიც წააგო **ზებედა რეხვიაშვილთან**, პაპოშვილმა კი ფინალიც ულამაზესი გდებით მოიგო.

რეხვიაშვილის უმედლოდ დარჩენაც არანაკლებ დასანანია, ვიდრე - ტატალაშვილისა. ახალი თაობის კიდევ ერთი ნიჭიერი ფალავანი, ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი და ახალგაზრდებში მსოფლიოს წლევანდელი ბრინჯაოს მედალოსანი ძირითადში **დავით კობერიძესთან** დამარცხდა, დამამშვიდებლის ფინალში - **ზვიად ბაზანდარაშვილთან**. უცნაურია, მაგრამ ორივე შეხვედრაში დამატებითი დრო დასჭირდა და ორივე შემთხვევაში გამარჯვებულის ვინაობა მსაჯებმა გამოავლინეს! კობერიძესთან რეხვიაშვილი თითქოს ოდნავ აქტიური ჩანდა, პასიური არც ბაზანდარაშვილთან ყოფილა, მაგრამ გორელმა ფალავანმა დამატებითი დროის მეორე ნახევარი უფრო აქტიურად ჩაატარა. ეტყობა, მსაჯებზეც ამან მოახდინა გავლენა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ევროპიდან მოწვეულ კომისრებს არც ერთი შედეგი არ შეუცვლიათ. ვეჭვობთ, ეს ორი შეხვედრა დიდხანს იქნება განსჯის საგანი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ქულები არც რეხვიაშვილს გაუკეთებია. არადა, ასეთი ნიჭიერი მოზარდი მსაჯთა იმედზე არ უნდა აგდებდეს საკუთარ ბედს.

ამავე წონას უკავშირდება არბიტრთა მორიგი საკამათო გადაწყვეტილებაც, ამჯერად **ამბაკო ავალიანისა** და ნოზაძის მეოთხედფინალს. იქ იყო მომენტი, როცა ავალიანმა მეტოქე ჰაერში აატრიალა და ერთი შეხედვით, უნაკლო იპონზე დააგდო, მაგრამ მსაჯებმა ვაზარი მისცეს, მოგვიანებით კი ავალიანმა წააგო. თუმცა არც ეს ეპიზოდი გაუპროტესტებიათ და არც შედეგი შეუცვლიათ.

ნოზაძეს თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ ბოლო წუთის მოჭიდავე - **გიორგი გასიტაშვილს, ლაშა ზურაბიანს**, ავალიანსა და ბაზანდარაშვილს სწორედ ბოლო წუთებზე მოუგო. თანაც, გასიტაშვილის გარდა, ყველასთან ვაზარს აგებდა. ფინალში პაპოშვილმა, როგორც იტყვიან, სალამის თქმა არ აცალა, თორემ საქმე ბოლო წუთამდე რომ მისულიყო, ვინძლო, ნოზაძეს ახლაც იგივე გაეკეთებინა.

**1. თენგიზ პაპოშვილი (კახეთი), 2. ზურაბ ნოზაძე (თბილისი), 3. ზვიად ბაზანდარაშვილი (შიდა ქართლი), ამბაკო ავალიანი (ქვემო ქართლი).**

**სოსო ლიპარტელიანი** (ნაკრების მთავარი მწვრთნელი): *„60 და 66 კილოგრამებში დიდ ცვლილებებს არ ველოდებოდით და ასეც მოხდა. 73-ში ძალიან მომეწონა ორივე ფინალისტი. მთლიანობაში, ჩემპიონატის დონე არ იყო ცუდი. იქნებ თავიდან არ იყო იმდენად დაძაბული შეხვედრები, მაგრამ მერვედფინალებიდან ხარისხმა იმატა. ჩემპიონატმა ახალი სახეებიც წარმოაჩინა, გამოჩნდა რამდენიმე კარგი ახალგაზრდა, რომლებიც ლიდერებთან ერთად აუცილებლად ჩაერთვებიან უცხოურ შეჯიბრებებში. ამჯერად უმედლოდ დარჩა რამდენიმე პერსპექტიული მოზარდი, რომლებზეც გარკვეულ იმედებს ვამყარებთ, მაგრამ მათ აუცილებლად მიეცემათ შანსი - ერთ ტურნირზე ნამდვილად გამოვცდით. მსაჯობით და ჩემპიონატის ორგანიზებით კმაყოფილი ვარ.“*

**ირაკლი თავაძე**

ტყვიის სროლა. ქველიაშვილის ტურნირი

# ვაჟებში სტუმრებმა გვაჯობეს

**ნინო სალუქვაძის** სახელობის ტირში გრძელდება შოთა ქველიაშვილის თასის ღია გათამაშება ტყვიის სროლაში. როგორც გაცნობეთ, შეჯიბრებაში ქართველ მსროლელებთან ერთად აზერბაიჯანელთა 17-კაციანი გუნდიც მონაწილეობს, მთლიანად ტურნირში კი, რომელიც მხოოდ პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში იმართება, 50-მდე მსროლელი გამოდის.

გუშინ შეჯიბრებები ვაჟებსა და ახალგაზრდა გოგონებს შორის გაიმართა. ვაჟებში სტუმრებმა დიდი უპირატესობით იმარჯვეს - **რასულ მამედოვმა** და **რუსლან ლუნიოვმა** 666,5 ქულა დააგროვეს და ოქრო-ვერცხლი ერთმანეთში ასეთივე თანმიმდევრობით გაინაწილეს, ბრინჯაო კი მასპინძელ **ლევან ქადაგიძეს** ერგო - 665,1 ქულა.

სამაგიეროდ, ჩვენებმა სამივე მედალი დაისაკუთრეს ახალგაზრდა გოგონათა შეჯიბრებაში. აქ პირველობა არავის დათმო ქუთაისელმა **ნინო ფანჩულიძემ**, რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპი ამჯერად 367 ქულით დაასრულა. ეს საგრძნობლად ჩამორჩება მის პირად რეკორდს - 374 ქულას, რაც ამ გაზაფხულზე მიუნხენის საერთაშორისო ტურნირზე აჩვენა. ვერცხლი 366-ქულიანმა **ანა გაგილაძემ** მოიპოვა, ბრინჯაოს კი **ნია ხაჩიძე** დაეუფლა 356 ქულით.

შეჯიბრება დღეს დამთავრდება ახალგაზრდა ვაჟთა ტურნირით.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი



ნაზი პაიკიძე

# ყაიმს დასჯერდა

გუშინ რუსეთის მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატის სუპერფინალში მესამე ტურის პარტიები გათამაშდა. ქართველი დიდოსტატი **ნაზი პაიკიძე** შავებით **სვეტლანა მატვეევას** დაუპირისპირდა და ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ 26-ე სვლაზე ყაიმს დასჯერდა. მსოფლიოს ჩემპიონი **ალექსანდრა კოსტენიუკი** თეთრი ფიგურებით **ალისა გალიამოვასთან** დამარცხდა. წარმატებით ითამაშეს დებმა **კოსინცევებმა**. ტატიანამ მეორე ტურში პაიკიძესთან წაგებისთვის ჯავრი **ვერა ნებოლსინაზე** იყარა — თეთრებით 25-ე სვლაზე აიძულა მეტოქე, საათი გაეჩერებინა. ნადეჟდამ თანაგუნდელ **ვალენტინა გუნინას** სძლია და გათამაშების ცხრილში მესამე ქულა ჩაიწერა. საგულისხმოა, რომ გუნინა შარშან და წლეულს ეროვნულ ნაკრებში შედეგიანობით გამოირჩეოდა. ამ ჩემპიონატზე კი ზედიზედ მესამე პარტია დათმო. **ტატიანა შადრინამ ოლგა გირიასთან** შეხვედრაში პირველი გამარჯვება იზეიმა. **ნატალია პოგონინა** შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის პრიზიორია. მესამე ტურში იგი თეთრებით **ანასტასია ბოდნარუკს** ხვდებოდა. ამ უკანასკნელმა მიტელშპილში მოპოვებული უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და წააგო.

**სამი ტურის შემდეგ: ნ. კოსინცევა-3, პაიკიძე, გალიამოვა-2,5-2,5, კოსტენიუკი, პოგონინა-2-2, ტ. კოსინცევა, ბოდნარუკი-1,5-1,5, შადრინა, ნებოლსინა-1-1, გირია, მატვეევა-0,5-0,5, გუნინა-0 ქულა.**

**ვაჟა დანელია**

ბატუტზე ხტომა

# მესამე ადგილი ვერ შეინარჩუნეს

ფრანგულ მეცში გრძელდება ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს პირველობა ახალგაზრდებში. 13-14-წლიანებში ჩვენგან **თეონა ჯანჯღავა** გამოდიოდა, რომელმაც 33.000 ქულა მოაგროვა და მეთორმეტე ადგილს დასჯერდა — ფინალში მოსახვედრად 1,300 ქულა დააკლდა. სამაგიეროდ, მან თბილისის მერიის გიორგი ეგნატაშვილის სახელობის სპორტის სახეობათა ფილიალის აღსაზრდელთან, თორმეტწლიანებში მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონ **ანა ოდიშვილთან** ერთად იყოჩაღა სინქრონულ ხტომებში საკვალიფიკაციო ეტაპზე. ჩვენმა გოგონებმა 42.700 ქულით მესამე ადგილი დაიკავეს, მხოლოდ იაპონელების — **იუნა სატო/მეგი უიამას** და **იური მურაიამა/რანა ნაკანოს** წყვილებმა გაუსწრეს. ფინალში ქართველებმა, სამწუხაროდ, პოზიცია ვერ შეინარჩუნეს - 41.100 ქულამ მათ მხოლოდ მე-5 ადგილი მოუტანა, აი, 42.700 ქულით მესამე ადგილი რუსებს - **ლილია კლიმოვას** და **ქსენია ნაუმენკოს ხვდა**. ოქრო-ვერცხლი კი ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებმა ზემოაღნიშნული თანმიმდევრობით გაინაწილეს.

15-16-წლიანთა ინდივიდუალურ ხტომებში **ნანა გოგაშვილი** 65-ე ადგილზე გავიდა.

**ვაჟა დანელია**

პროფესიული კრივი საქართველოში. ინტერვიუ გიორგი კანდელაკთან

# მერწმუნეთ, ძალიან ბევრი შეგვიძლია

**ამას წინათ თბილისში ქართველ პროფესიონალ მოკრივეთა მორიგი სარეიტინგო ორთაბრძოლები გაიმართა. მისი დასრულების შემდეგ საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციის პრეზიდენტ გიორგი კანდელაკთან ვისაუბრეთ.**

— საქართველოში სარეიტინგო ბრძოლებს ორ კვირაში ერთხელ ვმართავთ ვერის ბაღის დარბაზში. მხოლოდ ივლის-აგვისტოში და საშობაო არდადეგებზე ვისვენებთ. შეხვედრებში ძირითადად საქართველოს სპორტსმენები იმაღლებენ რეიტინგს, რაც მათ საშუალებას აძლევს შემდეგ უცხოეთში იბრძოლონ უფრო მაღალი მიზნებისათვის. როცა პროფესიონალებში გადავედი სარეიტინგო შეხვედრებისთვის მე ინგლისში დავდიოდი. ცხადია, ჩვენი სარეიტინგო შეხვედრები ჯერ ვერ უტოლდება თუნდაც ევროპისას, მაგრამ უმნიშვნელოსაც ვერ ვუწოდებთ. უცხოელების ჩამოყვანა რომ შეგვეძლოს, უკეთესი იქნებოდა.

**— ხელს რა გიშლით?**

— ფინანსები. საშინაო შეჯიბრებებში საკუთარი მწირი სახსრებით და მერიის დახმარებით გავდივართ ფონს. ისეთი დაფინანსება მაინც თუ ექნება, რაც ჩვენს ქვეყანაში აქვს სპორტის რომელიმე არცთუ ძალიან მაღალ ბიუჯეტიან ფედერაციას, გპირდებით მოკლე ხანში მსოფლიოს ორი ჩემპიონი მაინც გვეყოლება. პოტენციალი არის. ადრე თუ თითოეულ წონაში სამი-ოთხი მოკრივე გვყავდა, ახლა მაჩვენებელი გასამმაგდა.

**— შედარებით ნაკლები დანახარჯებით ახლო სამეზობლოდან თუ გიცდიათ მოკრივეთა მოწვევა?**

— აზერბაიჯანში ბოლო ორი წელიწადია პროფესიულ კრივს თითქმის ისეთივე მსუყე ბიუჯეტი გაუხადეს, რაც სხვა ფედერაციებს. თუმცა ჯერჯერობით არ ჰყავთ ისეთი სპორტსმენები, რომლებთან პაექრობაც ქართველ მოკრივეებს რეიტინგში წინ წასწევს. ამიტომაც მათი მოწვევა, ან იქ სტუმრობა ხელს არ გვაძლევს. ისინი ჩვენთვის საინტერესო დაახლოებით წელიწადნახევარ-ორ წელიწადში გახდებიან. სომხეთს დიდი საკრივო ტრადიციები აქვს და პარტნიორობა მხოლოდ გვახეირებდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ იქაური მოკრივეები, როგორც კი მინიმალურ რეიტინგს მოიპოვებენ, უმალვე ევროპაში მიდიან, იცვლიან მოქალაქეობას — გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის კლუბებში განაგრძობენ კარიერას. ამ ქვეყნებში მათ თავიანთი კლუბებიც კი შექმნეს. ამერიკის მოქალაქე შეძლებული სომხები უწევენ სერიოზულ მატერიალურ მხარდაჭერას. სომხეთში ფაქტობრივად აღარ რჩება ისეთი მოკრივე, რომელთან პაექრობაც ჩვენებს რეიტინგში წაადგება.

**— პერსპექტიული მოკრივის უცხოეთში გაგზავნა არ გიცდიათ?**

— ჩვენი სპორტსმენები ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვის გარეშე, მოქალაქეობის შეუცვლელად გვინდა მივიყვანოთ მწვერვალამდე. საყოველთაოდ ცნობილია მსოფლიოს ჩემპიონი პროფესიულ კრივში არტურ აბრაჰამი. იგი გერმანიის სახელით ასპარეზობს და ცოტამ თუ იცის, რომ ეროვნებით სომეხია და თავდაპირველად ერევანში ვარჯიშობდა. ფინანსური მხარდაჭერის შემთხვევაში, ჩვენც შეგვიძლია მოვამზადოთ მსოფლიოს დონის მოკრივეები, რომლებიც საქართველოს სახელს და ღირსებას დაიცავენ უცხოეთში. უკეთესი მომავლის იმედს პერსპექტიული სპორტსმენები და ის დიდი ავტორიტეტი გვაძლევს, რაც პროფესიული კრივის სამყაროში, წამყვან ასოციაციებთან, ფედერაციებთან გაგვაჩნია. შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს მენეჯერებთან, რომლებიც ამინდს ქმნიან სპორტის ამ სახეობაში. მერწუნეთ, ჩვენ ძალიან ბევრი რამე შეგვიძლია! მაგრამ, გავიმეორებ, ამ ეტაპზე ყველაზე დიდი პრობლემა ბიუჯეტის სიმცირეა.

**— სარეიტინგო შეხვედრებისთვის ქართველი მოკრივეები უცხოეთში ხშირად გაგყავთ?**

— დიახ, ხშირად და ძირითადად ძლიერ საკრივო ქვეყნების კლუბებში ვაძლევთ თავის გამოჩენის საშუალებას. ამ თვის ბოლომდე ორი მათგანი გერმანიისა და ირლანდიის რინგზეც გავა. უახლოეს ორ თვეში კი ინტერკონტინენტალის ქამრის მოპოვებას ვისახავთ მიზნად. ამ ქამრის მფლობელი ავტომატურად მსოფლიო რეიტინგის თხუთმეტეულში შედის, სამი-ოთხი ორთაბრძოლის შემდეგ კი უკვე შეუძლია მოქმედ ჩემპიონს ტიტულზე შეეცილოს.



გიორგი კანდელაკი

**— ძირითადად რომელი რეგიონიდან იღებთ მოკრივეთა შევსებას?**

— კონკრეტულად ვერავის გამოვყოფ. საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან მოდიან პერსპექტიული ჭაბუკები. პროფესიონალებში გადასვლის მსურველმა 17-18 წლის ასაკში მაინც უნდა დატოვოს სამოყვარულო კრივი, თორემ 25-26 წლის ასაკში უკვე გამოწურულია და დიდი წარმატების იმედი არ უნდა ჰქონდეს. მე ახლაც ვნანობ გადაწყვეტილების დაგვიანებით მიღებას. 400-მდე ბრძოლა მაქვს ჩატარებული სამოყვარულო კრივში. ამდენი ენერგია რომ პროფესიონალებში დამეხარჯა, ბევრად მეტს მივაღწევდი.

**— პროფესიული კრივის მსურველთა რაოდენობა მატულობს საქართველოში?**

— მატულობს და თანაც შესამჩნევად. მათ კარგად იციან, რომ პროფესიულ რინგზე მოპოვებული წარმატება პოპულარობის თვალსაზრისითაც ერთ-ერთი გამორჩეულია სპორტის ყველა სახეობათა შორის. ჩვენთან მოსულს ვცდილობთ კარგი პირობები შევუქმნათ. მაგალითად, ჩემს კლუბ „ჩემპიონში“ მოკრივეები გადასახადს არ იხდიან. არადა, კლუბი კერძოა. ვარიანში ამჟამად 30-მდე პროფესიონალი მოკრივე გვყავს. ამას წინათ გავიგე, რომ რამდენიმე ვარიანელი, რომლებიც სპორტის ერთ-ერთ სახეობაში გორში ვარჯიშობდნენ, გადასახადის გადაუხდელობის გამო დარბაზიდან დაუთხოვიათ. გული დამწყდა. ყოფილი ტიტულოვანი სპორტსმენების დიდ ნაწილს გვაქვს საშუალება იმ სახეობაში, სადაც სახელი გავითქვით, სკოლები დავაარსოთ ან სულაც უკვე მოქმედ სკოლებს მცირედით მაინც დავეხმაროთ. ჩვენზე უკეთ ვინაა გარკვეული ამ სახეობათა ნიუანსებში და შეძენილი გამოცდილება თუ სახსრები ახალგაზრდებს რომ დავახარჯოთ — წყალში იქნება გადაყრილი?

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ვაჟა სიმონიშვილის კვირიკატურა

# მარცხენა თვალი ფეხბურთს, მარჯვენა - კალათბურთს

## პარალელები, რომელიც დრომ მოიტანა



**სადამდე წავიდა ტექნიკა, - თუ კარგად მახსოვს, ეს ფრაზა პირველად მაშინ გავიგონე, ვიდეო რომ შემოვიდა. იმდროინდელი ამბავი ერთმა სპორტსმენმა (არ დავაკონკრეტებ, რა სახეობის წარმომადგენელია) მომითხრო: საზღვარგარეთული ტურნე წარუმატებლად ჩავატარეთ და მწვრთნელმა გვითხრა, სჯობს ამის შესახებ საქართველოში დაბრუნების შემდეგ არაფერი ვთქვათო. იყო დრო, როცა უცხოური მატჩების მერე, ხშირად მოისმენდით ფრაზებს - მსაჯებმა „დაგვწვეს", ასე კარგად აქამდე არ გვითამაშია, მაგრამ მაინც წავაგეთ და ა.შ. ვიდეოს შემდეგ გამოიგონეს მობილური ტელეფონი, დაიხვეწა კომპიუტერი, გაჩნდა ინტერნეტი და ინფორმაციულმა ზღვამ შთანთქა წარუმატებლობის დაფარვის ყოველგვარი მცდელობა.**

■ ■ ■

..."ტექნიკა იქამდე წავიდა", რომ ოთხშაბათს ღამით ერთდროულად ორ თამაშს ერთ ეკრანზე ვუყურე (ორი თვალი ტყუილად როდი მაქვს). ორივე რეპორტაჟი ერთი ქვეყნიდან იყო - სლოვენიიდან.

კომპიუტერის მონიტორის მარჯვენა მხარეს საქართველოსა და სლოვენიის საფეხბურთო ნაკრებების მატჩს ვადევნებდი თვალს. ალბათ, გაგიკვირდებათ, კიდევ რა თამაში იყო ისე მნიშვნელოვანი, რომ **თემურ ქეცბაიას** გუნდის შეხვედრას გაუთანაბრდა. მოდი, ჯერ **ვლადიმერ ბოისას** მოვუსმინოთ:

*- საქართველოსა და სლოვენიის საფეხბურთო ნაკრებების მატჩის ხილვა ძალიან მინდოდა. კოპერში გამართული შეხვედრის ბილეთიც მაჩუქეს. საქართველო ჩემი სამშობლოა და საფეხბურთო ნაკრებს ყოველთვის სიამოვნებით ვგულშემატკივრობ. ამავე დროს, სლოვენიაში ვცხოვრობ, აქაური პასპორტიც მაქვს და საფეხბურთო თუ საკალათბურთო ნაკრების წარმატებები მეც მახარებს. ძალიან მინდოდა, მატჩი საინტერესო გამომდგარიყო და ბევრი გოლი გასულიყო... უფრო მეტად კოპერში ჩასვლა მსურდა, მაგრამ ვერ მოვახერხე, რადგან „ოლიმპიას" ევროლიგაზე პრინციპული მატჩი ჰქონდა ესპანეთის „ვალენსიასთან".*

როგორც მიხვდით, ჩემი კომპიუტერის ეკრანის მარცხნივ „ოლიმპია"-"ვალენსიას" შეხვედრა მიმდინარეობდა, რომელშიც ბოისამ ტრავმის გამო ვერ ითამაშა, **გიორგი შერმადინმა** კი ესპანელთა ძლევაში დიდი წვლილი შეიტანა.

*- მეც ძალიან მინდოდა ფეხბურთზე წასვლა და საქართველოს ნაკრების მხარდაჭერა, მაგრამ მისი და „ოლიმპიას" საევროლიგო მატჩები ერთმანეთს დაემთხვა. სექტემბერში საბერძნეთში ვიყავი, ფეხბურთელთა ნაკრებმა ათენში ითამაშა (იმ შეხვედრას დავესწარი), ახლა სლოვენიაში ვარ და ქეცბაიას გუნდი აქ ჩამოვიდა... თითქოს მე დამდევს...* - იხუმრა შერმადინმა და ნაკრების მომდევნო მატჩის თარიღით დაინტერესდა. 26 მარტს თბილისში ხორვატია ჩამოდის-მეთქი. *არა მგონია, გაზაფხულზე საქართველოში ვთამაშობდეო...*

■ ■ ■

სლოვენია-საქართველო და „ოლიმპია"-"ვალენსია" ერთდროულად, ღამის 23:45 საათზე დაიწყო (თბილისის დროით). რადგან გვიანი იყო, მარცხენა თვალს ძილი მოერია - მონიტორზე მარჯვენა მხარეს მიმდინარე საფეხბურთო მატჩის პირველი ტაიმი მოსაწყენი იყო. მხოლოდ ერთი ეპიზოდი დამამახსოვრდა: მეკარე **ლორიამ** პენალტი ლამაზ ნახტომში მოიგერია. არადა, მსაჯს რომ არ „დავეწვით", არც 11-მეტრიან დარტყმას ვიხილავდი და შეიძლება მართლა დამძინებოდა.

მაშინ, როცა **კახა კალაძე** მსაჯებს პენალტის დანიშვნის უსაფუძვლობას უმტკიცებდა, ეკრანის მარცხენა მხარეს მსაჯთან ერთმა ახალგაზრდამ მიირბინა და საქმე კორექტულად გაურჩია - ეს შერმადინი იყო. „ოლიმპიას" ქართველი ცენტრი არბიტრისგან ჯარიმას ითხოვდა.

*- სხვათა შორის, კამათისას ფოტოგრაფებმაც საინტერესო სურათი გადაიღეს. ერთ ეპიზოდში ჩასატენად ავხტი, მეტოქემ იმდენად უხეშად ჩამარტყა, რომ ბურთი ვერ ჩავაგდე. არბიტრმა არ დასტვინა. მომდევნო ეპიზოდშიც იგივე განმეორდა და მსაჯმა ყოყმანის შემდეგ, როგორც იქნა, ჯარიმა დააფიქსირა. სწორედ მაშინ მივედი და ვუთხარი - მხოლოდ ახლა კი არა, ფოლი წინა ეპიზოდშიც უნდა დაგეფიქსირებინა-მეთქი.*

■ ■ ■

მეორე ტაიმის დასაწყისში საქართველოს ნაკრებსაც გაუჭირდა და „ოლიმპიასაც". ჩვენმა ფეხბურთელებმა ცეზარასგან (ჩემს მეზობელს ასე ვეძახით) თავურით გოლი მიიღეს, ხოლო მარცხნივ „ვალენსია" „ოლიმპიას" წამოეწია. ამასობაში მოედანზე გამოვიდა გიორგი შერმადინი და ორივე თვალით კალათბურთზე გადავერთე. ქართველმა ცენტრმა ერთი ორქულიანი ჩააგდო, ერთიც ჩატენა და „ოლიმპიას" 61-ე ქულა მოუტანა...

ამასობაში საფეხბურთო მატჩმა 60-წუთიანი ნიშნული გადალახა და საქართველოს ნაკრების ორი კარგი ჩატენვა ვიხილეთ: ჯერ **სანდრო გურულმა** შეარხია სლოვენიელთა „კალათის" ბადე, 30 წუთში კი იგივე **ჯანო ანანიძემ** გაიმეორა - 2:1.

შერმადინმა მკითხა, კოპერში როგორი ფეხბურთი იყოო. მოკლედ ვუპასუხე: ქართველებმა კარის ჩარჩოს მიმართულებით ორჯერ დაარტყეს და ორივე გაიტანეს-მეთქი.

*- ორში ორი ტყორცნა გამოუყენებიათ. სროლა თუ წაუვიდათ, ეცადათ და მეტსაც გაიტანდნენ...*

■ ■ ■

ეკრანის მარჯვენა მხარეს მიმდინარე საკალათბურთო მატჩი საფეხბურთოზე ოდნავ გვიან დასრულდა. კოპერში თემურ ქეცბაიას გამარჯვება ჯერ სლოვენიის ნაკრების მწვრთნელმა მიულოცა, შემდეგ საკუთარმა ფეხბურთელებმა. მილოცვა გიორგი შერმადინმაც მიიღო:

*- გასახდელიდან რომ გამოვედი, ერთი სლოვენიელი ჟურნალისტი მოვიდა და მყავე სახით მითხრა - ქართველმა ფეხბურთელებმა მოიგესო. კარგია-მეთქი, ვუპასუხე.*

კოპერისა და ლიუბლიანას მატჩებს კიდევ ერთი მსგავსება ჰქონდა: ერთ ეპიზოდში საფეხბურთო ტრანსლაცია შეფერხდა, რის გამოც ტელეწამყვანმა მოიბოდიშა. საკალათბურთო ინტერნეტ-ტრანსლაციაც არაერთხელ შეფერხდა, მაგრამ უცხოელ კომენტატორს ბოდიში „დაავიწყდა".

...ინტერნეტის სისწრაფე რომ მოიმატებს, მერე უფრო ხმამაღლა ვიტყვით: „სადამდე წავიდა ტექნიკა". უკეთესი იქნებოდა, ასე გვეთქვა: „სადამდე წავიდა" საფეხბურთო ნაკრები...

**ვაჟა სიმონიშვილი**

***P.S.** ფეხბურთელები კალათბურთელებისგან განსხვავებით სლოვენიაში ბურთით მაინც ვარჯიშობდნენ... კალათბურთელთა ნაკრებმა 2001 წელს შეკრება ლიუბლიანაში გაიარა.*

*- ერთ დილას დარბაზში ვერ შევედით. რადგან ბურთი არ გვქონდა, ეზოს მოედანზე გასვლის წინ სასადილოდან ვაშლი წავიღეთ. ერთ-ერთი კომბინაციის ბოლოს რამაზ გოგობერიშვილმა ვაშლი სამქულიანის ხაზთან მიიღო და დაუფიქრებლად ისროლა... ხილი კალათში ჩაეშვა და მიწაზე დაცემისას გაიფაშვა... - გაიხსენა ზვიად ბაბიაშვილმა, რამაზ გოგობერიშვილმა დაამატა:*

*- მწვრთნელმა მკითხა: ეგ რა გააკეთეო? ვუპასუხე: თანაგუნდელებმა ორმაგი ბლოკი კარგად დააყენეს, თავისუფალ პოზიციაზე დამტოვეს და არ მესროლა-მეთქი?!*

*ერთ დროს ვაშლით მოვარჯიშე ნაკრები 2011 წელს ევრობასკეტზე ითამაშებს.*




სუმოს სამყარო



დღეს ტოჩინოშინი ამინიშიკის შეხვდება

# ტოჩინოშინმა ქართულ-ოსური დუელი წააგო

წლის უკანასკნელი ბაშოს მესამედი მიილია და უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვა, რომ ქართველმა სუმოისტებმა თავი ძალიან რთულ სიტუაციაში ჩაიგდეს - წარმოიდგინეთ, 5 დღის შეხვედრებიდან 3-ში ყველა ჩვენებურმა წააგო. ასეთი ცუდი სტარტი არც კი გვახსენდება...

**ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** ოს **არანთან** იორიკირით დამარცხდა. ისე, ორი ევროპელი კომუსუბის ორთაბრძოლა ძალიან კარგი საყურებელი გამოდგა - ერთმაც და მეორემაც შეძლეს მეტოქის მავაშის მოხელთება. სამწუხაროდ, უკომპრომისო რკენაში ოსმა იმარჯვა. ლევანის მდგომარეობა ჯერჯერობით არ არის საგანგაშო, მას 2-3 ბალანსი აქვს, თუმცა გუშინ ისეთ მეტოქეს ვერ სძლია, რომელსაც აქამდე ყველა შეხვედრა წაგებული ჰქონდა. საინტერესო ბრძოლა გველის დღესაც - ტოჩინოშინი მე-2 მაეგაშირა **ამინიშიკის** ხვდება. „მატადორი" სუმოს სამყაროში გამორჩეული რიკიშია, უშიშარი და რისკიანი. ლევანი კი ღონით სჯობს სხვებს და არც ტექნიკა დაეწუნება. მათი ბრძოლების ისტორია უკვე 7 შეხვედრას ითვლის: 4:3 წინაა ქართველი.

**ლევან ცაგურიამ (კოკაი)** ვერაფერი გააწყო მონღოლ „არნივ" **ტამავაშისთან**, რომელმაც ქართველთა რკენაში მარჯვენით სამაგალითო უვატენაგე შეასრულა. კოკაი აღმოსავლეთის მე-6 მაეგაშირაა, მისი ბალანსი 2-3-ია. დღეს „შავი ზღვა" მე-4 მაეგაშირა **ტაკეკაძეს** (2-3) ხვდება, რომელიც ერთობ უხერხული მეტოქეა მისთვის (5:10 ურთიერთშეხვედრებში).

ჩვენებურთაგან ყველაზე ცუდად საქმეები ელიტის უმძიმეს რიკიშის, **თეიმურაზ ჯუღელს (გაგამარუ)** მისდის. გაგამარუმ მონღოლ **ტოკიტენკუსთან** იორიტაოშის ილეთით წააგო. ჩვენებური (1-4) დღეს ტამავაშის დაეჭიდება, რომელთანაც კოკაი ვერას გახდა.

ტურნირის მე-5 დღეს ესტონელ ჩემპიონ **ბარუტოს** დაუმარცხებელი სვლა შეწყდა. სამაგიეროდ, მოიგო დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ**, ისევე როგორც **კაიომ** და სეკივაკეს რანგის ორივე სუმოისტმა. კუნძულ კიუშუზე ელიტაში მხოლოდ ერთი დაუმარცხებელი დარჩა — მე-16 მაეგაშირა **შოტენრო**. ბუნებრივია, შოტენრო ჯერჯერობით რანგში მეზობლად მყოფებს ეჯიბრება, უფრო ძლიერ მეტოქეებთან კი ძალიან გაუჭირდება.

**კიუშუს ბაშო. 14-28 ნოემბერი.**
**ფუკუოკა (იაპონია)**

V დღე (სულ 9 ილეთი)

**იორიკირი (6):** ჰაკუჰო-ასასეკირიუ, კისენოსატო-კოტოოშუ, ტოჩიოძანი-კოტოშოგიკუ, არანი-**ტოჩინოშინი**, კიოკუტენჰო-კიმურაიამა, ტოსაიუტაკა-სოკოკურაი.

**იორიტაოში (4):** ჰომაშო-ბარუტო, ვაკანოსატო-ჰაკუბა, მოკონამი-შიმოტორი, ტოკიტენკუ-**გაგამარუ**.

**უვატენაგე (3):** კაიო-კიტატაიკი, ტოკუსეგავა-ტაკეკაძე, ტამავაში-**კოკაი**.

**ოშიდაში (2):** კორიუ-კასუგაო, შოტენრო-ოკინოუმი.

**ჰატაკიკომი (1):** კაკურიუ-ამინიშიკი.

**უვატედაშინაგე (1):** იოშიკაძე-კოტოკასუგა.

**ცურიდაში (1):** ტოიონოშიმა-ტაკამისაკარი.

**შიტატედაშინაგე (1):** ტოჩინონადა-ბუშუიამა.

**ჰიკიოტოში (1):** გოეიდო-მიაბიამა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# მოგებებით დაწყებული ოპოლე

საჩოგბურთო სეზონის მიწურულს კორტებს მხოლოდ საქართველოს მე-2 ჩოგანი **ოქსანა კალაშნიკოვა** (207) შემორჩა. ჩვენებური პოლონეთის ქალაქ ოპოლეში 25-ათასიან ტურნირში მე-3 ნომრად განთესეს. პირველ წრეში 20 წლის კალაშნიკოვამ ძალიან ადვილად დაამარცხა „უაილდ ქარდით" მიწვეული გერმანელი **კიმ-ალის გრაიდეკი** - 6:0, 6:1. მერვედფინალში ოქსანას რუსი **იანა ბუჩინა** (856) ხვდება, რომელიც ტურნირში საკვალიფიკაციო ბადიდან ჩაერთო.

კალაშნიკოვა წყვილთა ბადეშიც ყოჩაღობს - ოქსანა და ბელარუსი **პეხოვა** პირველ წრეში იოლად გაუმკლავდნენ ბუჩინასა და პოლონელი **დომაგალას** დუეტს - 6:1, 6:4.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ოქსანა კალაშნიკოვა

საპატიო სტუმრები











# მზად ვართ დახმარება გავიზარდოთ

## ჩელენჯ ტროფი შესაძლოა თბილისში ჩატარდეს

საქართველოში ერთდღიანი ვიზიტით რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) პრეზიდენტი **ბერნარ ლაპასე**, ევროპის რაგბის საერთაშიროსო ფედერაციის პრეზიდენტი **ჟან კლოდ ბაკე** და IRB- ის რაგბის განვითარების კომიტეტის ხელმძღვანელი **მარკ იგანი** იმყოფებოდნენ.

ასეთი მაღალი რანგის დელეგაცია ქართული რაგბის თემს პირველად სტუმრობდა, რაც ვიზიტს მეტ მნიშვნელობას სძენდა. მსოფლიო რაგბის მმართველები, რაგბის კავშირის პრეზიდენტ **გიორგი ნიჟარაძესთან**, პრემიერ-მინისტრ **ნიკა გილაურთან** და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ლადო ვარძელაშვილთან** ერთად ყოფილ „შევარდენის" სტადიონზე ახალაშენებულ რაგბის სანაკრებო ბაზას ეწვივნენ.

სტუმრები ნანახით კმაყოფილნი დარჩნენ. სანაკრებო ბაზაზე ორი სტანდარტული ზომის მოედანია, რომელთაგან ერთ-ერთი ხელოვნურსაფრიანია, რომელიც რაგბის კავშირს IRB-მ აჩუქა. კეთილმოწყობილია გასახდელები, მსაჯთა, ექიმისა და დოპინგკონტროლის ოთახები, ყოველივე ეს იმ ტრიბუნის ქვეშაა მოწყობილი, რომელიც 1500 მაყურებელს იტევს.

საძირკველი ჩაეყარა სასტუმროს მშენებლობას, რომელიც 50 კაცზეა გათვლილი. სანაკრებო ბაზის შესასვლელიდან მარცხნივ კი ადმინისტრაციული შენობაა, სადაც სარაგბო აკადემია იფუნქციონირებს, საკლასო ოთახებითა და სათანადო სათავსებით.

სანაკრებო ბაზის გახსნას ქართული რაგბის თემის თითქმის ყველა თაობა დაესწრო. აქვე ხელოვნურსაფარიან მოედანზე ჩვეული ჟინით ბურთაობდნენ ნორჩი მორაგბეები. ბერნარ ლაპასე ბავშვებსაც გაესაუბრა. ჰკითხა, მოედნის ხარისხი თუ მოგწონთო, და, ცხადია, დადებითი პასუხი მიიღო.

ბერნარ ლაპასე: *„ქართული რაგბის წინსვლა შთამბეჭდავია. საქართველოს ეროვნული და სხვადასხვა ასაკის ნაკრებები საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებებს აღწევენ. რაგბი, როგორც ვხედავ, ქვეყანაში განუხრელად ვითარდება. შორს არ არის ის დრო, როცა ეროვნული ნაკრები მსოფლიო რაგბის ელიტურ გუნდებს გაუთანაბრდება.*

*საქართველოში ჩამოსვლის მიზანი ყოველივე ამის საკუთარი თვალით ნახვა და რაგბის კავშირის საქმიანობის ადგილზე გაცნობაა. თუ რაგბის განვითარება საქართველოში ასეთი ტემპით გაგრძელდება, სამომავლოდ რაგბის კავშირთან ერთად არაერთ ახალ, ძალიან სასარგებლო პროექტს განვახორციელებთ. მზად ვართ საქართველოს რაგბის კავშირს განვითარებისთვის იმაზე მეტი დახმარება გავუწიოთ, ვიდრე აქამდე ჰქონდა.*

*ამასთან, გვინდა შემოგთავაზოთ მომავალ წელს საქართველოში საერთაშორისო ტურნირის, „ჩელენჯ ტროფის" გამართვის ორგანიზება. ეს შეჯიბრება 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირია და მასში საკმაოდ ძლიერი რვა სარაგბო ქვეყნის ნაკრები იასპარეზებს. ვფიქრობ, კანადის, აშშ-ის, ურუგვაის, ზიმბაბვეს, რუსეთის, სამოას და იაპონიის ახალგაზრდული გუნდების სტუმრობა და მათთან პაექრობა საქართველოში რაგბის პოპულარობას მეტად გაზრდის.*

*ეს ტურნირი სახელმწიფოს დახმარების გარეშე ვერ ჩატარდება და ამ საკითხთან დაკავშირებით პრემიერ მინისტრთან დეტალურად ვისაუბრებთ"*

**ნიკა გილაური:** *„რაგბის სანაკრებო ბაზა საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ" ააშენა, რისთვისაც მას მადლობას ვუხდით. რაგბის საერთაშორისო საბჭომ კი უსასყიდლოდ ხელოვნურსაფრიანი მოედანი გვაჩუქა. სახელმწიფო, ყოველივე ამაში, რაგბის განვითარების ოთხწლიანი გეგმის ფარგლებში მონაწილეობს, რომელიც წარმატებით ხორციელდება.*

*ქართულ რაგბის უდიდესი პოტენციალი აქვს. ის ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო პოპულარული ხდება და დღესდღეობით №1 სპორტის სათამაშო სახეობაა. იმედი გვაქვს, რომ ასე გაგრძელდება. საკმაოდ სერიოზულ ბიძგს რაგბის განვითარებას, ვფიქრობთ, „ჩელენჯ ტროფის" გამართვა მისცემს. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ თბილისი ამ ტურნირის მასპინძლობის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი გახდეს.*

*აქვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სარაგბო ბაზების მოწყობა გრძელდება და ორ წელიწადში სულ 19 ასეთი სტადიონი გვექნება."*

**ჟან კლოდ ბაკე:** *„ძალიან კარგია, რაგბი საქართველოში მეტ პოპულარობას რომ იხვეჭს. ასეთი ბაზების მშენებლობა კი მისი განვითარებისთვის აუცილებელია. ახლახან საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი მოიგო. ეს ქართული რაგბის პოტენციალზე მეტყველებს, მისი რეალიზებისთვის კი ყველა ერთად უნდა გავისარჯოთ".*

ბერნარ ლაპასე, ჟან კლოდ ბაკე და მარკ იგანი ასევე შეხვდნენ თბილისის მერ **გიგი უგულავას** და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროს **დავით ტყეშელაშვილს.**

ავტორის ფოტოები

საქართველოს ნაკრები



# ანტილოპას დაბრუნება გადაიდო

## ბირთვი ისევ ძველია

საქართველოს ნაკრები ხვალ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე კანადის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. „ბორჯღალოსნები" მატჩისთვის დიდ დიღომში, „ვისოლის" სარაგბო სტადიონზე ემზადებოდნენ. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რიჩი დიქსონმა** გუნდის 22-კაციანი შემადგენლობა, როგორც წესია, თამაშამდე 48 საათით ადრე გამოაცხადა.

ნაკრების ახალი მწვრთნელი კანადელებთან მატჩისთვის იმ ძირითად ბირთვს დაეყრდნო, რომელმაც წლეულს ერთა თასის ბოლო შეხვედრაში, რუსეთის ნაკრებთან ითამაშა. თუმცა დიქსონმა ოთხი ცვლილება მაინც განახორციელა. შერკინების მეორე ხაზში ტრავმირებული **ილია ზედგინიძის** ადგილი პარიზულ „მასიში" მოასპარეზე **შალვა სუთიაშვილმა** დაიკავა. მან დიქსონს თავი ივნისში, ბუქარესტში გამართულ IRB-ს ერთა თასის გათამაშებაში მოაწონა.

ტრაბზონში ლელოელი **ალექსანდრე თოდუა** იყო ერთ-ერთი გარემარბი, რომელიც ამჟამად ტრავმირებულია. იგი ქუთაისის „აიას" მოთამაშე-მწვრთნელ **ბესიკ ხამაშურიძეს** უნდა შეეცვალა, მაგრამ „ანტილოპა" დაშავდა და, თითქმის სამწლიანი პაუზის შემდეგ, მისი დაბრუნება ეროვნულ გუნდში გადაიდო. დიქსონმა ძირთად შემადგენლობაში შეიყვანა „ლელოს" გარემარბი **ლექსო გუგავა,** რომელსაც „ჩერჩილის თასის" გათამაშების მერე ნაკრებში აღარ უთამაშია. ლექსომ ნაკრებში გამოძახება „ლელოს" შემადგენლობაში საქართველოს ჩემპიონატსა და „შავი ზღვის თასზე" კარგი თამაშით დაიმსახურა.

ძირითად შემადგენლობაში იქნება ქუთაისის „აიას" შუამარბი **ირაკლი ჩხიკვაძეც,** რომელიც ტრაბზონში მოედანზე შეცვლაზე გავიდა. **დავით კაჭარავამ** სათადარიგოთა შორის გადაინაცვლა.

ტრავმა მოიშუშა და ნაკრების ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი შერკინების კვაჭი **აქვსენტი გიორგაძე.** მისი დუბლიორი რუმინულ „ფარულში" მოთამაშე **ირაკლი ნატრიაშვილი** იქნება.

საქართველო: **15. მალხაზ ურჯუკაშვილი, 14. ლექსო გუგავა, 13. ირაკლი ჩხიკვაძე, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. ირაკლი მაჩხანელი, 10. ლაშა მალაღურაძე, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. აქვსენტი გიორგაძე, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ლევან დათუნაშვილი, 5. შალვა სუთიაშვილი, 6. გიორგი ჩხაიძე, 7. გია ლაბაძე, 8. ბესო უდესიანი.**

*16. ირაკლი ნატრიაშვილი, 17. გოდერძი შველიძე, 18. გიორგი ნემსაძე, 19. სიმონ მაისურაძე, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. დავით კაჭარავა, 22. მერაბ კვირიკაშვილი.*

კანადა: **15. კირან ჰერნის, 14. ჯასტინ კოკერი, 13. ფან დერ მერვე, 12. ფილიპ მაკკენზი, 11. ჯეიმზ პრიტჩარდი, 10. კონორ ბრეიდი, 9. შონ ვაითი. 1. კევინ ტკაჩუკი , 2. პეტ რიორდანი, 3. ჯეისონ მარშალი, 4. ჯოშ იაკობსენი, 5. ჯებ სინკლერი, 6. ჩონსი ოტოოლე, 7. ადამ კლიბერგერი, 8. აარონ კარპენტერი.**

*16. ტომ დოლეზელი , 17. ენდრიუ ტიდმანი, 18. ჯონ ფილანი, 19. ტაილერ ჰოტსონი, 20. შონ სტივენი, 21. ჯიმი მაკკენზი, 22. ნიკ ბლევინსი*

ტესტები

# მაკქოუ და მულიაინა რეკორდსმენები იქნებიან

ხვალ დუბლინში, ირლანდიისა და ახალი ზელანდიის ნაკრებების მატჩში „ოლ ბლექსის" საუკეთესო მოთამაშეები **რიჩი მაკქოუ** და **მალილი მულიაინა** 94-ე კეპს მოიხვეჭენ, რაც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყნის ნაკრების რეკორდია.

მაკქოუმ და მულიაინამ ლეგენდარული ახალზელანდიელი მორაგბის **შონ ფიცპატრიკის** რეკორდი გასულ უქმეებზე შოტლანდიასთან მატჩში გაიმეორეს. „ოლ ბლექსი" იმ მატჩში შეუდარებელი იყო და დიდი ანგარიშით გამარჯვება შეძლო - 49:3.

ამჟამინდელი მეტოქე ბევრად ძლიერია. ირლანდიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონი სამხრეთ აფრიკა ბეწვზე გადაურჩა და, არც ახალზელანდიელებთან აპირებს რამის დათმობას.

ახალი ზელანდია: **15. მალილი მულიაინა, 14. კორი ჯეინი, 13. კონრად სმითი, 12. მაა ნონუ, 11. ჰოსე გეარი, 10. დენ კარტერი, 9. ენდი ელისი. 1. ტონი ვუდკოქი, 2. ჰიკა ელიოტი, 3. ოუენ ფრენქსი, 4. ბრედ თორნი, 5. ტომ დონელი, 6. ჯეროม კაინო, 7. რიჩი მაკქოუ, 8. კირან რიდი**

*16. ენდრიუ ჰორი, 17. ჯონ აფოა, 18. ენტონი ბორიჩი, 19. ლიამ მესამი, 20. ელბი მეთიუსონი, 21. სტივენ დონალდი, 22. სონი ბილ ვილიამსი.*

ირლანდია: **15. რობ კირნი, 14. ტომ ბოუი, 13. ბრაიან ოდრისკოლი, 12. გორდონ დარსი, 11. ლუკ ფიცჯერალდი, 10. ჯონათან სექსტონი, 9. ეოინ რედანი. 1. კირან ჰილი, 2. რორი ბესტი, 3. ტომ კურტი, 4. დონჩა ოკალაჰანი, 5. მაიკ ოდრისკოლი, 6. სტივენ ფერისი, 7. დევიდ ვოლესი, 8. ჯიმი ჰისლიპი.**

*16. შონ კორინი, 17. ჯონ ჰეისი, 18. დევინ ტონერი, 19. დენის ლამი, 20. პეტერ სტრინგერი, 21. რონან ოგარა, 22. კეიტ ირლზი.*

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

sport.gov.ge

● კალათბურთი



ტონი და ევა ერთად აღარ იქნებიან

# გაყრა გადაწყვეტილია

გუშინდელ ნომერში ვწერდით „სან ანტონიო სპურსის“ გამთამაშებლის **ტონი პარკერისა** და მსახიობ **ევა ლონგორიას** გართულებული ურთიერთობის შესახებ. ამერიკული პრესის ცნობით, ფრანგმა განქორწინების შესახებ განცხადება შეიტანა, რაც ლონგორიას პიარსამსახურის წარმომადგენელმა უარყო.

მაგრამ ახლა ირკვევა, რომ საქმე სერიოზულადაა და განქორწინებაზე ზრუნვა მსახიობმაც დაიწყო. უფრო მეტიც, სწორედ 35 წლის მსახიობმა გადაწყვიტა 28 წლის ტონისთან დაშორება და ამის მიზეზი ქმრის მხრიდან ღალატი ყოფილა. ევამ „ტვიტერის“ სოციალური ქსელში საკუთარ გვერდზე შემდეგი დაწერა: *„ძალიან სამწუხაროა, რომ შვიდი წელი თანაცხოვრების შემდეგ მე და ტონიმ განქორწინება გადავწყვიტეთ. ისევ გვიყვარს ერთმანეთი და თითოეული ჩვენგანის ბედნიერებისთვის ვლოცულობთ“.*

ჰოლივუდის ვარსკვლავის მეგობრები ამბობენ, რომ პარკერი სისტემატურად ღალატობდა ევას. ლონდგორიას ახლო მეგობარი, მსახიობი **მარიო ლოპესი** ჰყვება, რომ ტონიმ მეუღლეს არა ერთ, არამედ ორ ქალთან უღალატა. ევას ინფორმაციით, მან პარკერის მობილურში ასობით შეტყობინება იპოვა ქალისგან, რომელთანაც კალათბურთელს ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიმოწერა ჰქონდა. როგორც აღმოჩნდა, ტონიმ რომანი გააბა **ერინ ბერისთან** - „სპურსში“ ყოფილი თანაგუნდელის **ბრენტ ბერის** მეუღლესთან. სხვათა შორის, ერინმაც შეიტანა განაცხადი განქორწინებაზე, ასე რომ, ამ რომანმა ორი ოჯახი დაანგრია. ლონგორიას თქმით, ეს არ არის ღალატის პირველი შემთხვევა. ადრე ევამ აღმოაჩინა, რომ ტონის რომანი ჰქონდა ქალთან, რომელიც Facebook-ის საშუალებით გაიცნო.

*„ის უბრალოდ განადგურებულია,* - განაცხადა მარიო ლოპესმა. - *ევას უნდა, რომ ყველამ სიმართლე იცოდეს. მაგრამ ის ძლიერია“.*

ევა ლონგორია და ტონი პარკერი 2007 წლის ივლისში შეუღლდნენ. მათ საკალათბურთო მატჩის დროს გაიცნეს ერთმანეთს. ევას თქმით, პარკერს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ახლად გაცნობილი ქალი ვარსკვლავი იყო - ფრანგს არასოდეს ენახა სერიალ „სასოწარკვეთილი დიასახლისის“ სერიები. მათი ქორწილი პარიზში ჩატარდა. 2002-04 წლებში ლონგორია სერიალების მსახიობ **ტაილერ კრისტოფერის** მეუღლე იყო.

● კრივი



დევიდ ჰეი

# შავი ჯეიმს ბონდი

როგორც ცნობილია, სუპერმძიმე წონაში WBA-ის ჩემპიონი **დევიდ ჰეი** მომავალ წელს აპირებს კარიერის დასრულებას. ბრიტანელმა მოკრივემ უკვე იცის, რა საქმიანობას აირჩევს რინგიდან წასვლის შემდეგ. ინგლისელს კინოში სურს ძალების მოსინჯვა და პირველი შავკანიანი **ჯეიმს ბონდის** თამაშს აპირებს.

*„ამ ჟანრის ფილმების დიდი თაყვანისმცემელი ვარ,* - ამბობს დევიდ ჰეი. - *არნოლდ შვარცენეგერი ბავშვობიდან ჩემი კერპი იყო, იმავეს თქმა შემიძლია სილვესტერ სტალონეზე. რაც შეეხება ჩემს სამსახიობო კარიერას, უარს არ ვიტყოდი ჯეიმს ბონდის როლის შესრულებაზე. პირველი შავკანიანი ჯეიმს ბონდი? საინტერესო პროექტია“.*

ჰეის თქმით, ის უკვე ესაუბრა ცნობილ ბრიტანელ მსახიობებს **ჯეისონ სტეტჰემსა** და **რიკი ჯერვეიზს** მათი ამერიკაში წარმატებული კარიერის შესახებ.

*„სასიამოვნოა, როცა ადგილობრივი ნიჭიერი მსახიობები ოკეანის გაღმა მიემგზავრებიან და იქ აღიარებას პოულობენ. მეც შემიძლია იმავეს მიღწევა“,* - თქვა ჰეიმ.

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ჰორნეტსის რევანში

"ნიუ ორლეან ჰორნეტს" რეგულარულ ჩემპიონატში მხოლოდ ერთი დამარცხება აქვს. რამდენიმე დღის წინ ამ გუნდის რვამატჩიანი მოგებათა სერია "დალას მავერიქსმა" შეწყვიტა და ახლა „ჰორნეტსმა“ ამ მარცხისთვის რევანშის აღება შეძლო.

აღნიშნულ შეხვედრაში „დალასის“ სასტარტო შემადგენლობაში დაბრუნდა **კერონ ბატლერი**, რომელმაც ზურგის ტრავმა მოირჩინა. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ 30 წლის ფორვარდმა თავი ვერაფრით გამოიჩინა. მან 22 წუთი დაყო მოედანზე და თამაშიდან შვიდიდან მხოლოდ ორი ბურთი ჩააგდო. ბატლერი საბოლოოდ ხუთი ქულითა და 2 შედეგიანი პასით შემოიფარგლა. ისევე როგორც ამ გუნდების წინა შეხვედრაში, ახლაც „დალასის“ თამაში **ჯეისონ ტერისა** და **დირკ ნოვიცკის** მიჰყავდათ, რომლებმაც ერთი კვირის წინანდელ შეხვედრაში ერთად 50 ქულა დააგროვეს. ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო რეზერვისტმა ისევ ეფექტურად ითამაშა - 16 ქულა დააგროვა და მხოლოდ ორი შეცდომა დაუშვა. გერმანელის ანგარიშზე კიდევ უფრო მეტი - 29 ქულა იყო. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ სწორედ ნოვიცკიმ დაკარგა ბურთი გადამწყვეტ მომენტში, რომელიც გუნდს წაგებად დაუჯდა.

თავიდან ინიციატივა „დალასს“ ჰქონდა. დაცვის სპეციალისტმა **დეშონ სტივენსონმა** ორი სამქულიანი ჩააგდო, მას **ჯეისონ კიდი** და **ტაისონ ჩენდლერი** დაეხმარნენ - 12:2. სტუმრებმა ტემპი არ დააგდეს და დიდ შესვენებამდე შეინარჩუნეს 10-ქულიანი უპირატესობა - 52:42. ამაში მათ ისიც დაეხმარა, რომ მეტოქის რეზერვისტები ვერ ბრწყინავდნენ.

გარდატეხა მესამე მეოთხედში მოხდა. **კრის პოლმა** ამ პერიოდში 13 ქულა მიითვალა და ამას 5 შედეგიანი პასი დაუმატა. „ნიუ ორლეანმა“ ფანტასტიკურად ითამაშა დაცვაში, პრაქტიკულად ყველგან ასწრებდა და მოწინააღმდეგეს შეცდომებს აშვებინებდა („დალასმა“ 12 წუთში 7-ჯერ დაკარგა ბურთი და სულ 12-ჯერ ისროლა თამაშიდან). ამ ყველაფრის წყალობით „ჰორნეტსმა“ 27:7 გაქცევა მოახერხა და 10-ქულიანი ჩამორჩენა 10-ქულიან უპირატესობად აქცია - 71:61. მიუხედავად ამისა, ნოვიცკისა და ტერის გმირული თამაშით შეხვედრას ინტრიგა დაუბრუნდა. „კოვბოებმა“ წინ გასვლაც კი მოახერხეს - 91:90, მაგრამ ამას დიდი ენერგია შეალიეს და გადამწყვეტ ეპიზოდებში კონცენტრაცია დაკარგეს. პოლმა, **ბელინელიმ** და **უესტმა** მეტოქეს თითო ბურთი ჩაუგდეს, ხოლო უესტმა ბოლო წამებზე ორი ჩაჭრა მიითვალა. „ნიუ ორლეანმა“ 99:97 მოიგო. სხვათა შორის, **მონტი უილიამსის** გუნდს ამ სეზონში ჯერ არ მიუღია 100 ქულა.

დასავლეთი კონფერენციის აუთსაიდერთა მატჩში „მინესოტამ“ დაძაბულ ბრძოლაში „კლიპერსს“ მოუგო, რომლისთვისაც ეს ზედიზედ მეშვიდე მარცხი იყო. 48 წუთის განმავლობაში არც ერთ გუნდს არ მიუღწევია ორნიშნა უპირატესობისთვის და მატჩის ფინალიც დაძაბული გამოვიდა. საფინალო სირენამდე წუთნახევრით ადრე **ალ-ფარუკ ამინუმ** „კლიპერსი“ ორი ქულით გაიყვანა წინ, მაგრამ შემდეგ შეტევაში **კორი ბრიუერმა** რთული ტყორცნით გაათანაბრა ანგარიში. ბოლო წუთზე გუნდებმა შეცდომები გაცვალეს, „მინესოტას“ კი გამარჯვება ბრწყინვალე ფორმაში მყოფმა **მაიკლ ბისლიმ** მოუტანა. 2008 წლის დრაფტის მეორე ნომერმა 2.3 წამით ადრე საშუალო დისტანციიდან ჩააგდო - 113:111. საბოლოოდ, ბისლის ანგარიშზე 33 ქულა (თამაშიდან - 14/23, 2/3 სამქულიანი) და 7 მოხსნაა. „კლიპერსი“ კი საცოდავი სანახავია. როგორც ჩანს, ამ გუნდისთვის სეზონი დასრულებულია.

„მაიამიმ“ საკუთარ მოედანზე საშინელი დღე აყარა „ფინიქს სანზს“. როგორც იქნა კრიტიკოსებს პასუხი გასცა ფლორიდული კლუბის ერთ-ერთმა ვარსკვლავმა **კრის ბოშმა**. მას ამისთვის 10 მატჩის ჩატარება დასჭირდა.

შეხვედრის საბოლოო ოქმი ნათლად გვიჩვენებს 26 წლის ფორვარდის მიღწევას - 35 ქულა (თამაშიდან - 12/17, საჯარიმოები - 11/11), 6 მოხსნა, 4 პასი და ერთი ჩაჭრა. და ეს სტატისტიკა 30 წუთში დაფიქსირდა. **ერიკ სპოელსტრამ** ბოშის დასვენება გადაწყვიტა და მეოთხე მოეთხედში მოედანზე აღარ გამოიყვანა. ამის საჭიროება არც იყო, რადგან იმ დროისთვის „მაიამი“ 27 ქულით იყო წინ. რა თქმა უნდა, კრისის გარდა ამაში მისი ვარსკვლავი პარტნიორების - **დუეინ უეიდისა** და **ლებრონ ჯეიმსის** დიდი წვლილიც იყო. მათ ჯამში 37 ქულა, 15 შედეგიანი პასი და 14 მოხსნა დააგროვეს. ამასთან, „მეფეს“ მეტი სათამაშო დრო რომ ჰქონოდა, იქნებ კარიერაში საიუბილეო - 30-ე სამმაგი დუბლიც მიეთვალა.

**მაიამი-ფინიქსი 123:96**

**27:24, 37:19, 36:30, 23:23**

**მ:** ბოში (35+6 მოხსნა), ჯეიმსი (20+9 პასი+8 მოხსნა), უეიდი (17+6 მოხსნა+6 პასი), ჰაუსი (15), აროიო (10), ჰასლემი (8+10 მოხსნა).

**ფ:** ნეში (17), ჰილი (15), ფრაი (14+6 მოხსნა), რიჩარდსონი (11), დრაგიჩი (11), თურქოგლუ (10).

**ფილადელფია-ტორონტო 86:94**

**26:25, 21:21, 24:23, 15:25**

**ფ:** ბრენდი (27+8 მოხსნა), ჰოლიდეი (17+7 პასი+6 მოხსნა), ტერნერი (11+12 მოხსნა), იანგი (10+5 მოხსნა).

**ტ:** ბარნიანი (30+7 მოხსნა), უიმსი (25), კალდერონი (12+8 პასი+5 მოხსნა).

**ბოსტონი-ვაშინგტონი 114:83**

**33:28, 27:16, 29:25, 25:14**

**ბ:** პირსი (23), გარნეტი (18+7 მოხსნა), შ. ო'ნილი (13+6 მოხსნა), რონდო (12+13 მოხსნა), უესტი (12+5 მოხსნა), ალენი (11+5 პასი).

**ვ:** იანგი (20), ტორნტონი (15), ჰაინრიხი (10+5 მოხსნა), ბლეტჩი (10), მაკგი (8+10 მოხსნა).

**დეტროიტი-ლეიკერსი 90:103**

**25:34, 20:25, 18:25, 27:19**

**დ:** სტაკი (18), პრინსი (13+6 მოხსნა), დეი (12+7 მოხსნა).

**ლ:** ბრაიანტი (33+9 მოხსნა), გასოლი (25+12 მოხსნა), ოდომი (15+14 მოხსნა).



ბოში დღის მოთამაშე გახდა

**ნიუ ორლეანი-დალასი 99:97**

**23:31, 19:21, 33:17, 24:28**

**ნ-ო:** პოლი (20+11 პასი), უესტი (17+6 მოხსნა), ბელინელი (17), ოკაფორი (13+10 მოხსნა), არიზა (12+5 პასი).

**დ:** ნოვიცკი (29+9 მოხსნა), ტერი (16+7 პასი), კიდი (11+8 პასი), ჩენდლერი (10+7 მოხსნა).

**მინესოტა-კლიპერსი 113:111**

**28:28, 33:33, 27:24, 25:26**

**მ:** ბიზლი (33+7 მოხსნა), ლავი (24+14 მოხსნა), ბრიუერი (14), რიდნური (12+8 პასი), მილიჩიჩი (11).

**კ:** გორდონი (30+7 პასი), გრიფინი (26+17 მოხსნა), ჯორდანი (11+7 მოხსნა), ბლედსოუ (10).

**ოკლაჰომა-ჰიუსტონი 116:99**

**28:23, 36:30, 30:26, 22:20**

**ო:** დურანტი (24), უესტბრუკი (21+12 პასი+6 მოხსნა), უაიტი (12), იბაკა (11+8 მოხსნა), კრსტიჩი (11+7 მოხსნა), ჰარდენი (10).

**ჰ:** სკოლა (26+8 მოხსნა), მარტინი (19), სმიტი (12+5 პასი), ჰილი (10).

**იუტა-ნიუ ჯერსი 98:88**

**24:25, 29:22, 24:23, 21:18**

**ი:** უილიამსი (23+8 პასი), მილსეპი (19+15 მოხსნა), ჯეფერსონი (16+9 მოხსნა), ბელი (15+5 მოხსნა), კირილენკო (15).

**ნ-ჯ:** მორროუ (24+7 მოხსნა), ჰარისი (19+8 პასი), ლოპესი (17+8 მოხსნა), ჰემფრიზი (8+15 მოხსნა).

**სან ანტონიო-ჩიკაგო 103:94**

**18:25, 19:22, 37:12, 29:35**

**ს-ა:** პარკერი (21+7 პასი), ჯინობილი (20+5 პასი), დანკანი (16+18 მოხსნა+5 პასი), ჰილი (14).

**ჩ:** როუზი (33), დენგი (18+7 მოხსნა), ნოა (10+14 მოხსნა), ბრიუერი (10+5 მოხსნა), კორვერი (10).

**საკრამენტო-ნიუ იორკი 106:113**

**27:14, 22:40, 25:29, 32:30**

**ს:** ევანსი (23+5 მოხსნა+5 პასი), ლენდრი (21+9 მოხსნა), უდრიხი (18), კაზინსი (15+10 მოხსნა), ჰედი (13).

**ნ-ი:** სტაუდმაიერი (27+10 მოხსნა), გალინარი (27), ფელტონი (16+5 მოხსნა), დაგლასი (14), ჩენდლერი (13), ფილდსი (10+5 მოხსნა).

# ოდენი ინვალიდად ყალიბდება

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ ახალგაზრდა ცენტრი **გრეგ ოდენი** კალათბურთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე უიღბლო მოთამაშედ ჩამოყალიბდა. ოდენი, რომელიც 2010 წლის ბოლოსთვის გეგმავდა მოედანზე დაბრუნებას, მიმდინარე სეზონს სრულად გამოტოვებს. მიზეზი კვლავაც მუხლის ქრონიკული ტრავმა გახლავთ.

ცენტრს შარშან დეკემბრის შემდეგ არ უთამაშია და აღდგენითი პროცესის მსვლელობისას ძველი ტრავმა გაუმიზეზდა. გრეგს ახალი ოპერაცია ელის, რომელიც ოთხშაბათისთვის არის დანიშნული.

*„სამედიცინო გამოკვლევის შედეგების გამო ისეთი შოკი მივიღეთ, თითქოს უახლოესი ადამიანი გარდაიცვალა“,* - განაცხადა „პორტლენდის“ ფიზმომზადების მწვრთნელმა **ჯეი ჯენსენმა**.

ოდენი 2007 წლის დრაფტის პირველი ნომერია. მუხლის ტრავმა მან 2007-08 წლების სეზონის წინ მიიღო და მთელი რეგულარული გამოტოვა. მომდევნო სეზონში ოდენი მწყობრში ჩადგა, 61 მატჩში მიიღო მონაწილეობა და ისევ ტრავმა მიიღო. მკურნალობის შემდეგ 2009-10 წლების სეზონში ოდენმა სტარტი ს აილო, მაგრამ 21 მატჩის შემდეგ მუხლი ისევ დაიზიანა და მას შემდეგ მოედანზე აღარ გასულა.

ასე რომ, ოთხ სეზონში გრეგ ოდენმა ჯამში მხოლოდ 82 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 9.4 ქულა და 7.3 მოხსნა მიითვალა.

**გვერდი მოამზადა გია თვალაბეიშვილმა**



გრეგ ოდენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი

# მოიამ წასვლა დაადასტურა



კარლოს მოია

როგორც უკვე ვწერდით, ცნობილმა ესპანელმა ჩოგბურთელმა **კარლოს მოიამ** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. მან რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ინფორმაცია სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე დაადასტურა.

მოიას განცხადებით, ის ბოლო ორი წლის განმავლობაში ვერ გაუმკლავდა ქრონიკულ ტრავმებს და სპორტიდან ამის გამო მიდის. ამ ორ წელიწადში კარლოსი იშვიათად ჩნდებოდა ოფიციალურ ტურნირებში და ATP-ის კლასიფიკაციაში 519-ე ადგილზე ჩამოქვეითდა. მოიამ ბოლო გამარჯვებას 2007 წელს, ხორვატიის ქალაქ უმაგში მიაღწია, ხოლო ბოლო მატჩი პროფესიულ ტურში წელს მაისში ჩაატარა, როცა მადრიდის მასტერსის პირველ წრეში პირწმინდად დამარცხდა გერმანელ **ბენჯამინ ბეკერთან** - 0:6, 2:6.

მოიამ პროფესიული კარიერა 1995 წელს დაიწყო და დღემდე 20 ტურნირის მოგება მოასწრო, მისი ყველაზე დიდი გამარჯვება კი 1998 წლით თარიღდება, როცა ესპანელმა როლან გაროსზე მთავარი პრიზი მოიპოვა. კარლოსმა კორტზე ჯამში 13 443 970 დოლარი გამოიმუშავა, 1999 წელს კი რეიტინგის პირველი ნომერი გახდა. ამით ის ესპანური ჩოგბურთის ისტორიაში შევიდა - მოია გახდა ამ ქვეყნის პირველი მოთამაშე, ვინც კლასიფიკაციის სათავეში მოექცა.

2004 წელს მოიამ დევისის თასიც მოიგო. მაშინ ფინალში ესპანეთმა ამერიკის ნაკრები 3:2 დაამარცხა და გადამწყვეტი მესამე ქულა გუნდს სწორედ კარლოსმა მოუტანა, როცა სამ სეტში მოუგო **ენდი როდიკს** - 6:2, 7:6, 7:6.

მოიას ოფიციალური გაცილება ლონდონში შედგება, სადაც 21 დეკემბერს წლის შემაჯამებელი ტურნირი დაიწყება.

# ელტონ ჯონმა კურნიკოვას მოუგო

საინტერესო საჩვენებელი ტურნირი გაიმართა ვაშინგტონში, სადაც პოპ-ვარსკვლავმა **ელტონ ჯონმა ანა კურნიკოვას** დამარცხება შეძლო. ტურნირი საქველმოქმედო იყო - მისი ორგანიზატორი გახლდათ შიდსთან ბრძოლის ფონდი.

შეჯიბრებაში უცნაური სახელწოდებით - „სქესთა ბრძოლა" მამაკაცები ქალების წინააღმდეგ თამაშობდნენ. ქალების გუნდში კურნიკოვა და **მარტინა ნავრატილოვა** ირიცხებოდნენ, კაცებში - ელტონ ჯონი და **ენდი როდიკი**. როგორც აღმოჩნდა, 63 წლის ელტონი შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იმყოფება და როდიკთან მისმა დუეტმა ნავრატილოვასა და კურნიკოვას წყვილს სძლია. რაც მთავარია, ტურნირში ელტონ ჯონის მონაწილეობამ ფონდს 500 ათასი დოლარი მოუტანა.



ელტონი კარგ ფორმაშია

● ფორმულა 1

# რენო ლოტუსი გახდება

მალაიზიურმა ავტოკორპორაცია Proton-მა ფორმულა 1-ის გუნდ Renault F1-ში ფრანგული ავტოკონცერნის „რენოს" წილის შეძენა გადაწყვიტა. ამასთან, „პროტონი", რომელიც კომპანია Lotus Car-ის მფლობელია, „რენოსთვის" სახელის შეცვლას აპირებს და მას „ლოტუსს" დაარქმევს. რაც შეეხება ფრანგულ ავტოგიგანტს, ის მსოფლიოს ჩემპიონატში ძრავების მიმწოდებლის სტატუსით დარჩება.



რენო სახელს შეიცვლის

2009 წლის ბოლოს კომპანია „რენომ" უკვე მიჰყიდა გუნდის აქციები კორპორაცია Genii Capital-ს, რომელსაც სათავეში უდგას **ჟერარ ლოპესი**. ამ მომენტისთვის, „რენოს" საჯინიბოს აქციათა მხოლოდ 15-25 პროცენტი ეკუთვნის. სწორედ ამ წილზე აცხადებს პრეტენზიას „პროტონი", რომელსაც ძველი კავშირები აქვს ლოპესთან.

გაზეთ „ეკიპის" ინფორმაციით, გარიგების შესახებ უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. ამასთან, ვარაუდობენ, რომ „ლოტუსი" გუნდის სატიტულო სპონსორი გახდება და საჯინიბოს განვითარებისთვის ხუთი წლის განმავლობაში ყოველწლიურად 30 მილიონ დოლარს დახარჯავს.

● ამბები

**ჩოგბურთი**

## სიოდერლინგი და მიურეი გახსნიან

წლის შემაჯამებელი ტურნირის ორგანიზატორებმა პირველი ორი დღის განრიგი გამოაქვეყნეს. 21 ნოემბერს თბილისის დროით 16 საათსა და 15 წუთზე გაიმართება პირველი შეხვედრა წყვილებს შორის - ამერიკელი **ბობ და მაიკ ბრაიანების** დუეტი (რეიტინგის პირველი ნომერი) უიმბლდონის ჩემპიონებს - **იურგენ მელცერსა** და **ფილიპ პეტცშნერს** შეხვდება. ამის შემდეგ კორტი დაეთმობათ შვედ **რობინ სიოდერლინგსა** და ბრიტანელ **ენდი მიურეის** (18 საათი). ამას მოჰყვება დუეტების (**ლუკაშ დლუჰი/ლეანდერ პაესი-მარიუშ ფირსტენბერგი/მარცინ მატკოვსკი**) მატჩი - 22 საათსა და 15 წუთზე. სათამაშო დღე დასრულდება შვეიცარიელი **როჯერ ფედერერისა** და ესპანელი **დავიდ ფერერის** შეხვედრით (00:00).

ორშაბათს ასევე ორ-ორი შეხვედრა გაიმართება წყვილებსა და ერთეულებში: **მაეშ ბჰუპატი/მაქს მირნი-ლუკაშ კუბოტი/ოლივერ მარაში** (16:15), **ნოვაკ ჯოკოვიჩი-ტომაშ ბერდიხი** (18:00), **დანიელ ნესტორი/ნენად ზიმონჯიჩი-უესლი მუდი/დიკ ნორმანი** (22:15), **რაფაელ ნადალი-ენდი როდიკი** (00:00).

**ფორმულა 1**

## მიკა შუმის აკრიტიკებს

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **მიკა ჰაკინენი** კრიტიკულად შეხვდა **მიხაელ შუმახერის** ტრასაზე დაბრუნების გადაწყვეტილებას. ფინელის ამგვარი რეაქცია გამოიწვია აბუ დაბის გრან-პრიზე ლეგენდარული გერმანელის ავარიამ, როცა შუმის „მერსედესი" **ვიტანტონიო ლიუცის** ბოლიდს შეეჯახა. იტალიელის „ფორს ინდიამ" კინაღამ უმძიმესი ტრავმა მიაყენა მიხაელს.

*„რაში სჭირდებოდა დაბრუნება? რატომ უშვებს პლანეტის უდიადესი პილოტი ისეთ შეცდომებს, რომელიც ფაქტობრივად სიცოცხლის ფასად დაუჯდა? შუმახერი ჩემთვის ტრაგედიის გმირია. მეც გამივლია ეს ეტაპი: წასვლის შემდეგ რამდენჯერმე დავბრუნდი. უნდა გვესმოდეს, რომ დროის შეჩერება არ შეიძლება. ასაკის მომატებასთან ერთად პროფესიული თვისებები იკარგება. ვფიქრობ, შუმახერმა სამუდამოდ უნდა შეწყვიტოს რბოლებში გამოსვლა"*, - განაცხადა ჰაკინენმა.

## ავსტრალიას რბოლა აღარ უნდა

ავსტრალიის შტატ ვიქტორიას გუბერნატორმა **ჯონ ბრამბიმ** აღიარა, რომ ავსტრალიის გრან-პრი, შესაძლოა, 2015 წლიდან ამოიღონ მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდრიდან. „დიდი პრიზის" ორგანიზატორებთან კონტრაქტის გაგრძელების გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. ბრამბიმ მთავარ პრობლემად ფინანსები დაასახელა: ეტაპის ორგანიზებაზე ყოველწლიურად სულ უფრო მეტი თანხა იხარჯება, ადგილობრივი გულშემატკივრების მხრიდან რბოლის პოპულარობა კი თანდათან იკლებს.

ადგილობრივი მთავრობა ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას მომავალი წლის მარტში მიიღებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისის თასი** | |
| ეგსფლიტი-უიმბლდონი | 2:2 დ.დ. 2:3 |
| **პოლონეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| პოგონი-კატოვიცე | 3:4 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| საემიროები-ინდოეთი | 5:0 |
| კატარი-ჰაიტი | 0:1 |
| **ავსტრალია** | |
| მელბურნი-სენტრალ კოუსტი | 2:2 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| ჟალგირისი-ხიმკი | 73:65 |
| მაკაბი-პროკომი | 99:58 |
| ბამბერგი-უნიკახა | 65:69 |
| მილანი-პანათინაიკოსი | 71:81 |
| ეფესი-ცსკა | 86:72 |
| **ფრენბურთი** | |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **კაცები** | |
| რადნიჩკი-ნოლიკო | 1:3 |
| **ხელბურთი** | |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **კაცები** | |
| ჩ. მედვედი-პიკი | 25:26 |
| კონსტანცა-უნივერსიტეტი | 29:28 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ამური-ვიტიაზი | 1:0 |
| მეტალურგი (ნ)-დინამო (მ) | 2:4 |
| **ბელარუსი** | |
| შახტარი-მეტალურგი | 2:1 |
| ხიმვოლოკნო-შინიკი | 1:2 |
| გომელი-იუნოსტი | 2:4 |
| ნემანი-ვიტებსკი | 2:1 |
| სოკილი-ლიეპაიასი | 4:2 |
| ბრესტი-ხიმიკი | 5:1 |
| **გერმანია** | |
| ჰამბურგი-აისბარენი | 3:2 (ბ) |
| **ნორვეგია** | |
| სტავანგერი-ფრისკ ასკერი | 7:1 |
| სტიორნენი-რუსენბორგი | 4:2 |
| ლილეჰამერი-მანგლერუდი | 7:1 |
| სპარტა-ვოლერენგა | 2:3 |
| ლორენსკოგი-სტორჰამარი | 0:2 |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-იუვიასკიულა | 0:3 |
| ჰიფკ-ლუკო | 3:4 (ბ) |
| კალპა-იოკერიტი | 2:1 |
| საიპა-კერპეტი | 2:3 |
| ტაპარა-ტპს | 3:0 |
| ესეტი-ილვესი | 3:4 (ბ) |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-ბოლესლავი | 0:6 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-ბრიუნასი | 2:0 |
| ლულეო-ტიმრა | 3:4 (ო) |
| მოდო-აიკ | 2:1 (ო) |
| სიოდერტალე-ფრიოლუნდა | 5:2 |
| შელეფტეო-ჰ371 | 4:1 |
| იურგორდენი-ფერიესტადი | 1:3 |

● TV პროგრამა

**19 ნოემბერი. პარასკევი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:05** ამხანაგური მატჩი. ინგლისი-საფრანგეთი.
**08:55** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ფრაიბურგი.
**10:40** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**11:10** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ოსასუნა.
**13:00** ახალი ამბები.
**13:20** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-აინტრახტი.
**15:05** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**15:10** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ვილიარეალი.
**16:55** ახალი ამბები.
**17:10** ამხანაგური მატჩი. ინგლისი-საფრანგეთი.
**18:55** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**19:00** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. სპორტინგი-რეალი.
**20:45** ახალი ამბები.
**21:10** სასტვენი.
**21:55** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**22:00** საფეხბურთო კლუბი.
**22:50** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**22:55** საფეხბურთო პროგრამა.
**23:25** იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-კატანია.
**01:10** ახალი ამბები.
**01:30** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლორიანი-პსჟ.
**03:15** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კორინთიანსი-კრუზეირო.
**04:05** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. გერმანიის ჩემპიონატი. მაინცი-ჰანოვერი.
**06:50** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. კანი-ლილი.

**EUROSPORT**

**11:30** მულტისპორტი.
**11:45** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. მაკაო. ჩინეთი (LIVE).
**12:45** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
**13:45** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. იტალია-რუმინეთი.
**14:30** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. პოლონეთი-კოტ დ'ივუარი.
**15:30** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ჰოლანდია-თურქეთი.
**16:15** ოლიმპიური თამაშები. ვანკუვერი 2010. საუკეთესო მომენტები.
**17:15** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
**18:15** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. იტალია-რუმინეთი.
**19:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. პოლონეთი-კოტ დ'ივუარი.
**20:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ჰოლანდია-თურქეთი.
**20:45** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
**21:45** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:55** ტიმბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სანკტ-იოჰანი. ავსტრია.
**23:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჩემპიონთა ლიგა. უკრაინა.
**23:45** მულტისპორტი.
**00:00** პოკერი. კანი. საფრანგეთი.
**02:00** ოლიმპიური თამაშები. ვანკუვერი 2010. საუკეთესო მომენტები.
**03:00** ექსტრემალური სპორტი.
**03:15** მულტისპორტი.
**03:30** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ატლანტა-ფლორიდა 1:2**
1:0, 0:2, 0:0
**გოლები:** 1:0 ბოგოსიანი-1 (ოდუია-5, ბურმისტროვი-5), 1:1 უეისი-4 (სტილმანი-5, ფროლიკი-7), 1:2 დვორაკი-4 (ჰიგინსი-2, რისონერი-7).

**კაროლინა-ოტავა 7:1**
4:0, 0:0, 3:1
**გოლები:** 1:0 გლისონი-2 (ლაროუზი-5, სამსონოვი-5), 2:0 ე. სტაალი-7 (ი. იოკინენი-10, პიტკანენი-8), 3:0 ე. სტაალი-8 (ი. იოკინენი-11, კორვო-4), 4:0 ლაროუზი-5 (გლისონი-3, ე. სტაალი-12), 5:0 ლაროუზი-6 (მაკბეინი-4, ე. სტაალი-13), 5:1 ალფრედსონი-8 (გონჩარი-9, კუბა-2), 6:1 ე. სტაალი-9 (სამსონოვი-6, ლაროუზი-6), 7:1 ტ. რუუტუ-4 (ე. კოული-6).

**აილენდერსი-ტამპა ბეი 2:4**
0:1, 1:1, 1:2
**გოლები:** 0:1 სტემკოსი-16 (სენტ ლუისი-14, მელოუნი-8), 0:2 ბ. კლარკი-3 (სენტ ლუისი-15, სტემკოსი-14), 1:2 მოულსონი-7 (კონოპკა-1), 1:3 სენტ ლუისი-8 (დაუნი-7, ლუნდინი-4), 2:3 ტავარესი-7 (მოულსონი-5, ვიშნიევსკი-12), 2:4 ტომპსონი-2.

**რეინჯერსი-ბოსტონი 2:3**
0:0, 1:2, 1:1
**გოლები:** 1:0 დუბინსკი-11 (კელეჰანი-12, ლუნდკვისტი-1), 1:1 ლუჩიჩი-7 (ჰორტონი-7), 1:2 სეგუინი-4, 1:3 რეკი-2 (მ. სტიუარტი-2, საიდენბერგი-7), 2:3 გაბორიკი-4 (სტეპანი-5).

**პიტსბურგი-ვანკუვერი 3:1**
1:0, 2:1, 0:0
**გოლები:** 1:0 კროსბი-13 (ტელბოტი-3, ორპიკი-2), 2:0 ტელბოტი-4 (კუკი-7), 3:0 ეშემი-2 (რუპი-4, მარტინი-9), 3:1 ჰამჰუისი-2 (ჰ. სედინი-22, დ. სედინი-12).

**ლოს ანჯელესი-კოლამბუსი 3:5**
1:1, 1:1, 1:3
**გოლები:** 0:1 მიურეი-1 (დორსეტი-3), 1:1 ჰანძუში-3 (კოპიტარი-12, დაუტი-4), 1:2 კლესლა-1 (დორსეტი-4, კომოდორი-1), 2:2 რ. სმიტი-6 (ჯასტინ უილიამსი-10, დაუტი-5), 3:2 ჯასტინ უილიამსი-9 (სტოლი-10, დაუტი-6), 3:3 ბოლი-2 (უილსონი-4, მიურეი-1), 3:4 ნეში-7 (ბრასარი-8, ვორაჩეკი-7), 3:5 ნეში-8 (უმბერგერი-4, მეტოტი-9).

**ვაშინგტონი-ბაფალო 4:2**
2:0, 1:2, 1:0
**გოლები:** 1:0 ბექსტრიომი-6 (სიომინი-11, ლეიჩი-8), 2:0 ბრედლი-2 (ჩიმერა-4, ელზნერი-2), 3:0 შტეკელი-3 (ჩიმერა-5, ბრედლი-4), 3:1 დ. როი-9 (ვანეკი-8, ტიმ კონოლი-7), 3:2 ლეოპოლდი-5 (მაკორმიკი-3, რ. ნიდერმაიერი-6), 4:2 სიომინი-14.

**მინესოტა-ანაჰაიმი 2:1 (ო)**
0:0, 1:1, 0:0, 1:0
**გოლები:** 0:1 სელიანე-8 (პერი-13, გეტცლაფი-13), 1:1 ჰავლატი-2, 2:1 მიეტინენი-5 (სკანდელა-1).

**კოლორადო-სან ხოსე 4:3 (ო)**
1:1, 0:2, 2:0, 1:0
**გოლები:** 0:1 კუტური-7 (ქლოუ-9, პაველსკი-10), 1:1 შატენკირკი-1 (ჰეიდუკი-15, ლაილსი-14), 1:2 დ. ბოილი-3 (ჯ. ტორნტონი-11, ქლოუ-10), 1:3 მური-1 (ჰიტლი-11), 2:3 კ. სტიუარტი-11 (ლაილსი-15), 3:3 პ. შჩასტნი-8 (კ. სტიუარტი-11, დ. ჯონსი-4), 4:3 პორტერი-4 (ჰენანი-4).

**კალგარი-ფინიქსი 1:3**
0:0, 0:2, 1:1
**გოლები:** 0:1 ვოლსკი-2, 0:2 ჰანჟალი-4 (ვრბატა-5, ა. ოკუანი-8), 1:2 ბურკი-9 (ბ. მორისონი-10, სტაიანი-10), 1:3 კორპიკოსკი-4 (ჰანჟალი-3, ა. ოკუანი-9).

**ედმონტონი-ჩიკაგო 0:5**
0:2, 0:2, 0:1
**გოლები:** 0:1 ტეუვზი-6 (სიბრუკი-9, პ. კეინი-11), 0:2 ტეუვზი-7 (მარიან ჰოსა-6, შარპი-10), 0:3 ტეუვზი-8 (პ. კეინი-12), 0:4 შარპი-11 (დოუელი-4), 0:5 ბიკელი-4 (სკილი-5).

**დეტროიტი-სენტ ლუისი 7:3**
1:1, 2:2, 4:0
**გოლები:** 1:0 მილერი-1 (აბდელკადერი-2, კრონვალი-3), 1:1 ბოიესი-4 (ენდი მაკდონალდი-8, ბეკსი-6), 1:2 ვინჩესტერი-1 (ენდი მაკდონალდი-9, ბერგლუნდი-7), 2:2 აბდელკადერი-3 (რაფალსკი-4, მილერი-2), 3:2 კლირი-8 (რაფალსკი-5), 3:3 ენდი მაკდონალდი-4 (ბოიესი-5), 4:3 კლირი-9 (მოდანო-5, სალეი-5), 5:3 ზეტერბერგი-5, 6:3 ბ. სტიუარტი-2 (კრონვალი-4, დაციუკი-11), 7:3 ჰოლმსტრიომი-6 (რაფალსკი-6, დაციუკი-12).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი. ინტერვიუ რობერტო მანჩინისთან

# მენტალიტეტის შესაცვლელად

**პრემიერლიგის ყველაზე მდიდარი კლუბის „მანჩესტერ სიტის" მთავარი მწვრთნელი რობერტო მანჩინი ლონდონური გაზეთის Daily Mail-ის კორესპონდენტს ესაუბრა. იტალიელი ინტერვიუში თავის გეგმებზე ლაპარაკობს და თან ცხოვრებასა და ფეხბურთზე საკუთარ შეხედულებებს გვიზიარებს. იტალიელის ნააზრევი მხოლოდ ინგლისელებს არ მოეჩვენებათ უცნაურად.**

**რობერტო მანჩინის აქვს გამარჯვებებზე ლაპარაკის უფლება. მშობლიურ იტალიაში ამ სპეციალისტს იმდენად აფასებენ, რომ „ფიორენტინას" გაწვრთნა ჯერ კიდევ სამწვრთნელო კურსების დასრულებამდე მიანდეს - ეს იყო ერთადერთი შემთხვევა იტალიური ფეხბურთის ისტორიაში. ფლორენციაში შესაბამისი გამოცდილების მიღების შემდეგ, მანჩინიმ რომში „ლაციოსთან", შემდეგ კი მილანში „ინტერთან" იმუშავა. მისი ტიტულების სია შთამბეჭდავია: სამი გამარჯვება იტალიის ჩემპიონატში, ოთხჯერ იტალიის თასზე და ორჯერ - სუპერთასზე. ახლა იტალიელი მწვრთნელი მანჩესტერის მეორე კლუბს ავარჯიშებს, რომელსაც ძალიან უნდა გახდეს პირველი და რომელმაც თავისი ბოლო ტიტული - ინგლისის ლიგის თასი შორეულ 1976 წელს მოიგო, როცა მანჩინი ჯერ კიდევ მშობლებთან ცხოვრობდა.**

**- რისთვის ჩამოხვედით მანჩესტერში?**

- რა თქმა უნდა, ინგლისური ამინდის გამო არ ჩამოვსულვარ. „მანჩესტერ სიტიში" სამუშაოდ ერთი მიზნით მოვედი: მხოლოდ გამარჯვება.

**- თავიდან ვარჯიშების დღის მეორე ნახევარში დანიშვნამ და კლუბის კულტურის შეცვლის მცდელობამ უკმაყოფილება გამოიწვია. როცა მოთამაშეები მიიჩნევენ, რომ ევროპის ლიგის ნაცვლად ჩემპიონთა ლიგაზე უნდა თამაშობდნენ, სირთულეები იქმნება. საიდუმლო არ არის, რომ თქვენ პრობლემები გქონდათ რამდენიმე განსაკუთრებით იმედგაცრუებულ ფეხბურთელთან - შეი გივენთან, ემანუელ ადებაიორთან...**

- ვიცოდი, რომ პრობლემები შემექმნებოდა ვარჯიშებთან დაკავშირებით, რადგან ჩემს მეგობრებთან - დევიდ პლატთან და ჯანლუკა ვიალისთან საუბრის დროს შევიტყვე, რომ ინგლისში ფეხბურთელებს დილით მუშაობა ურჩევნიათ. მაგრამ, როცა დღის მეორე ნახევარში გიწევს თამაში, მხოლოდ დილით ვარჯიში არასწორია, რადგან ორგანიზმი მზად არ არის დატვირთვებისთვის. ამიტომაც შევცვალეთ ეს პრაქტიკა.

**- და რა უთხარით თქვენს მოთამაშეებს?**

- ვიცოდი, რომ ეს რთული იქნებოდა, მაგრამ მოთამაშეებს ვუთხარი, რომ მათი სამუშაო ფეხბურთია და ამის წყალობით ცხოვრობენ კარგად. თანაც არა მარტო ისინი, არამედ მათი ოჯახები და ნათესავები. ამიტომაც ასი პროცენტით მზადყოფნაში უნდა იყვნენ, ამის მიღწევა კი მხოლოდ ჩემ მიერ არჩეული გზით შეიძლება. აქ კომპრომისი არ არსებობს. გასულ წელს ცოტათი დავთმე, მაგრამ ახლა დათმობები აღარ იქნება. წელს ყველაფერი შეიცვლება.

**- ამას როგორ ხსნით?**

- რა თქმა უნდა, არიან ისეთი მოთამაშეები, რომლებისთვისაც მთავარი - თავისუფალი დღეებია. ისინი დიდ პრობლემას წარმოადგენენ და მათ შევცვლით იმ მოთამაშეებით, რომელთა მიზანია „ჩელსიზე", შემდეგ „არსენალზე", ბოლოს კი „მანჩესტერ იუნაიტედზე" გამარჯვება და რომლებიც ამისთვის ყოველდღე იმუშავებენ. დიახ, გამოსასვლელი დღეები არავის გაუუქმებია, მაგრამ ამ დროსაც არ უნდა დავივიწყოთ მიზანი. ადრე ამ კლუბში თამაშობდნენ არასწორი მიზნის მქონე ფეხბურთელები, მაგრამ ახლა ისინი გუნდიდან წავიდნენ და მენტალიტეტი შეიცვალა.

**- ვინც დარჩნენ?**

- მე მათ ვუთხარი, რომ თავისუფალი დღე უქმდება. უმაღლესი დონის მოთამაშეები შაბათს პრემიერლიგაში იმუშავებენ, ხუთშაბათს - ევროპის ლიგაზე, შაბათს - ისევ პრემიერლიგაში და ა. შ. დასვენების დრო არ არის. მართალია, არსებობს ერთი დღე აღდგენისა და მასაჟისთვის, მაგრამ გონებრივად ფეხბურთელი მინდორზე უნდა იყოს.

**- ასეთ შემთხვევაში ფეხბურთელები ძალიან ხომ არ იქნებიან დატვირთული?**

- ფეხბურთი ბოლო წლებში ძალიან შეიცვალა. როცა მე ვიყავი პროფესიონალი ფეხბურთელი, ხანდახან კვირაში მხოლოდ ერთი თამაში გვიწევდა. ახლა თავისუფალი დრო არ არსებობს, ოჯახისთვისაც კი. მესმის რამდენად მნიშვნელოვანია ერთი დღე, როცა ყველაფერს დაივიწყებ, მაგრამ ახლა ჩვენ ვერ მივცემთ თავს ამის უფლებას, რადგან კლუბის მენტალიტეტის შეცვლაზე ვმუშაობთ. თუ ამას მოვახერხებთ, ჩემს მოთამაშეებს არა ერთს, არამედ ორ დღეს მივცემ დასასვენებლად. მე მათ ვეუბნები, რომ მათი სამუშაო არა მხოლოდ მინდორზე სირბილი, არამედ გადაწყვეტილებაზე ფიქრიცაა. უნდა ვიფიქროთ მომავალ მეტოქეებზე, ტაქტიკის შემუშავებაზე და ა. შ. ასეთი მიდგომა ყველასთვის ნორმა უნდა გახდეს.

■ ■ ■

23 აგვისტოს „მანჩესტერ სიტი" დამაჯერებლად გაუსწორდა „ლივერპულს" და ყველას დაანახა ახალ სეზონში საკუთარი ამბიციები. შემდეგი თამაში პრემიერლიგაში „სანდერლენდის" წინააღმდეგ ჰქონდათ. მანჩინიმ გააფრთხილა თავისი შეგირდები, რომ ეს მატჩი უფრო რთული იქნებოდა. მწვრთნელმა აღნიშნა, რომ „ლივერპულთან" მისი ფეხბურთელების მენტალიტეტი სწორი იყო, რადგან ის შეხვედრა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს. საბოლოოდ, „სანდერლენდმა" მოუგო „სიტის". მატჩის შემდეგ მანჩინის არ დაუწყია ნივთების სროლა და ლანძღვა-გინება, უბრალოდ მოთამაშეებს უთხრა, რომ ის მართალი იყო და ეს გაკვეთილი არასოდეს განმეორდება.

იტალიაში რობერტო მანჩინიმ ქვეყნის თასი რამდენჯერმე მოიგო, რადგან სერიოზულად აღიქვამდა ამ ტურნირს. „მანჩესტერ სიტიში" ის თავიდანვე მიხვდა, რომ მთავარი ამოცანა - ჩემპიონთა ლიგაზე გასვლაა, მაგრამ იმასაც აცნობიერებს, რომ კლუბს სათამაშო კულტურის შეცვლისთვის ნებისმიერი ტიტულის მოგება გამოადგება.

**- ძალიან ბევრს ლაპარაკობთ მენტალიტეტზე. ეს ასე მნიშვნელოვანია?**

- დიახ, ზოგიერთ კლუბში მისი შეცვლა საჭირო არ არის . „ჩელსის" კარლო ანჩელოტის მისვლის მომენტში უკვე ჰქონდა საჭირო მენტალიტეტი, რადგან რამდენიმე წელი სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში იმყოფებოდა. მათ ზუსტად ის მენტალიტეტი გააჩნიათ, რომელიც ჩვენ გვჭირდება, რადგან როცა კლუბი გათამაშების ცხრილის შუა ნაწილში ყოფნით კმაყოფილდება ან გადარჩენისთვის იბრძვის, ეს რთული და ცუდია.

**- სხვა მწვრთნელებისგან ვინ წააწყდა ასეთ პრობლემას?**

- ალექს ფერგიუსონი „მანჩესტერ იუნაიტედში". ალბათ, ის ხუთი წლის განმავლობაში ძლიერ იმედგაცრუებას გრძნობდა, სანამ გუნდში მენტალიტეტი არ გაუმჯობესდა. მეც ასეთი ვარ, მაგრამ როცა გამარჯვებას აღწევ და იხსენებ ყველაფერს, რა გააკეთე შენს თანაშემწეებთან და მოთამაშეებთან ერთად, ფანტასტიკური გრძნობა მეუფლება. მე ვეუბნები მოთამაშეებს, რომ მნიშვნელოვანია ცხრილის ზედა ნაწილში ადგილის შენარჩუნება, რადგან ახალი წლის შემდეგ შეიძლება ყველაფერი მოხდეს.

**- რას გულისხმობთ?**

- ამჟამად საუკეთესო გუნდია „ჩელსი", მაგრამ მათ ყოველ კვირას უწევთ ჩემპიონთა ლიგაზე თამაში და თებერვალში კრიზისი დაეწყებათ. მთავარია ამ მომენტში მათ გვერდით ვიყოთ. „მანჩესტერ სიტიში" ჩემი მისვლის შემდეგ კლუბმა გაცილებით კარგად დაიწყო თამაში. ამ ხუთი თვის განმავლობაში უფრო ვგავართ ერთიან გუნდს, მაგრამ ამასთან, საკუთარი პოტენციალის მაქსიმუმ 75 პროცენტს ვიყენებთ.

**- როდის ამოქმედდება სრულად ეს პოტენციალი?**

- „მანჩესტერ სიტიში" ექვსი ინგლისელი თამაშობს. რამდენიმე მათგანი ახალგაზრდაა და მათი მენტალიტეტი შეიძლება შეიცვალოს. ამის წყალობით, ადამ ჯონსონი მომავალში შეიძლება ძლიერ ფეხბურთელად ჩამოყალიბდეს. დღეს კი ჩვენთან ცალკეული ფეხბურთელები მოდიან, ხურდებიან, მატჩს ჩაატარებენ და უკან ბრუნდებიან. მათ იმათგან უნდა აიღონ მაგალითი, ვინც ვარჯიშს, როგორც მატჩს ისე უდგება. ასეთი ფეხბურთელები ერთი საათით ადრე მოდიან, მუდმივად სამუშაოზე ფიქრობენ და ვარჯიშების შემდეგ მასაჟის მისაღებად რჩებიან, რათა უკეთ მოემზადონ შემდეგი დღისთვის. მხოლოდ ამის შემდეგ ბრუნდებიან შინ, განიტვირთებიან და ისევ ფეხბურთზე ფიქრს იწყებენ. მინდა, რომ ასეთი საქციელი ნორმა გახდეს ჩემი ყველა ფეხბურთელისთვის, მაგრამ ამას ერთი-ორი წელი დასჭირდება.



■ ■ ■

დევიდ პლატი იხსენებს, რომ რობერტო მანჩინი ნორმალური ბიჭი იყო, მაგრამ მთლიანად იცვლებოდა მატჩების დღეს და ნებისმიერი წვრილმანის გამო წყობიდან გამოდიოდა. *„თუ თამაში ჩვენთვის ცუდად მიდიოდა, შესვენებაზე უბრალოდ აუტანელი იყო. ასეთ დღეებში გასახდელში ყველაზე მეტად ხმაურობდა".*

როგორც ჩანს, მას შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა. შესაძლოა, ამით აიხსნება მანჩინის სამწვრთნელო ფილოსოფიაში ერთ-ერთი წინააღმდეგობა: ერთი მხრივ, ძლიერი მენტალიტეტის მოთხოვნა, მეორე მხრივ კი იმ თეორიის აღიარება, რომლის მიხედვითაც რთულია ნიჭიერი ადამიანების კონტროლი. ეს იმას ნიშნავს, რომ რობერტო მანჩინი უმაღლესი პროფესიონალიზმის მომხრეა, მაგრამ ამასთან დადებითი დამოკიდებულება აქვს ფეხბურთში ზოგიერთი ყველაზე დიდი „სიმულანტის" მიმართ, როგორებიც არიან მარიო ბალოტელი, ემანუელ ადებაიორი და „სიტის" კაპიტანი კარლოს ტევესი.

**- რატომ მოგწონთ დისციპლინის მოწინააღმდეგეები?**

- მოგება შესაძლებელია ძლიერი ფეხბურთელებით და არა ანგელოზებით. კარგად ვიცნობ ბალოტელის - მას 17 წლის ასაკში ჩემ თვალწინ ჰქონდა დებიუტი. ბოლო სამი წლის განმავლობაში, როგორც ადამიანი დიდად არ შეცვლილა, მაგრამ ის ფანტასტიკური მოთამაშეა და 100 პროცენტით იხარჯება. დიახ, მოედნის მიღმა საეჭვო მოქმედებები აქვს, მაგრამ ის მხოლოდ 20 წლისაა. რაღაც ვერ ვიხსენებ 20 წლის ბიჭებს იდეალური საქციელით. სხვათა შორის, ახალგაზრდობაში არც მე ვყოფილვარ „კარგი ბიჭი". კარგი მოთამაშე და უნაკლო საქციელი - შეუთავსებელი ცნებებია.

**- როგორ აგებთ ფეხბურთელებთან ურთიერთობას?**

- ზოგიერთი იტალიელი მწვრთნელი, მაგალითად, ფაბიო კაპელო თავის შეგირდებთან დისტანციას იცავს, მაგრამ მე ასეთი არ ვარ. მე უფრო კარლო ანჩელოტის ვგავარ. მოთამაშეთა მოქმედებაში ჩემთვის ბევრი რამ გაუგებარია, მაგრამ მინდა, რომ ისინი აფასებდნენ ჩვენს სიტუაციას. თუ ისინი ამას აკეთებენ, მაშინ მე მათ პატივს ვცემ და მზად ვარ ყველაფერი გავაკეთო მათ დასახმარებლად. ჩემს განკარგულებაში ხუთი ფანტასტიკური ფორვარდია, მაგრამ მხოლოდ ორის არჩევა შემიძლია. ასე რომ, ვისაც ამ ადგილის დაკავება სურს, უნდა იმუშაოს, კარგად ითამაშოს, გოლები გაიტანოს და პარტნიორებს დაეხმაროს.

**- მაგრამ ადებაიორი არ უნდა იყოს კმაყოფილი შექმნილი მდგომარეობით...**

- ადებაიორი ყველაფრით კმაყოფილი რომ იყოს, მაშინ არანორმალური იქნებოდა, რადგან ის არ თამაშობს. ადებაიორმა ბევრი უნდა იმუშაოს, რათა დამარწმუნოს იმაში, რომ შეცდომა დავუშვი მისი სათადარიგოთა სკამზე დატოვებით. სხვათა შორის, შემიძლია საკუთარი შეცდომების აღიარება. მე გეტყვით, როგორი დამოკიდებულებაა ფეხბურთში მოთამაშეებსა და მწვრთნელებს შორის: თუ ფეხბურთელი თამაშობს, შენ - საუკეთესო მწვრთნელი ხარ, თუ არა - ყველაზე ცუდი.

**- ინგლისში პირველად არ ხართ. რა ცვლილებები შეამჩნიეთ ამ დროის განმავლობაში?**

- ათი წლის წინ, როცა „ლესტერ სიტიში" ვთამაშობდი, ინგლისური ფეხბურთი განსხვავებული იყო. მას შემდეგ ის გაძლიერდა. მაშინ ვერ შევძლებდი ინგლისში მწვრთნელად მუშაობას, რადგან ათი წლის წინ ძალიან დიდი იყო კულტურაში სხვაობა. ახლა ბევრი რამ შეიცვალა და ჩვენ უფრო დავახლოვდით.

**- რა არ მოგწონთ ყველაზე მეტად ინგლისურ ფეხბურთში?**

- ალკოჰოლის რაოდენობა, რომელსაც აქაური ფეხბურთელები ილებენ. ჩვენთან, იტალიაში სულ სხვა კულტურაა. ჩვენ ქალთან შეხვედრა გვირჩევნია. ყოველ შემთხვევაში თამაშის შემდეგ მე სწორედ ამას ვაკეთებდი. საკუთარ მოთამაშეებს ვურჩევ: უმჯობესია გოგონას შეხვდეთ, ვიდრე პაბში დასალევად წახვიდეთ. რა თქმა უნდა, მესმის, რომ მატჩის შემდეგ დალევა - ინგლისური კულტურის ნაწილია. „ლესტერში" თამაშის დროს, ვარჯიშის შემდეგ პაბში ლუდის დასალევად მივდიოდით. როცა ახალგაზრდა ხარ, შეიძლება ის აკეთო, რაც გსურს, მაგრამ 28-29 წლის ასაკში ალკოჰოლის ზედმეტი დოზა უფრო ძვირი გიჯდება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**